

ლიტერატურული გაზეთი

დიმიტრი ნიკლაური

თეხას გზა

1

ალექსის დაკრძალვაზე მისული თებე პირქუშმა გარემომ დაამწუნა. სკამებზე ჩამომსხდარი ჭირისუფლები ძუნწად მოთქვამდნენ, სხვის პანაშვიდებზე მანამ ვივლით, სანამ სხვებს არ მოუწევთ ჩვენი დატირებაო. ცხოვრება კერძო სიმართლეს გვაკუთვნებს, თუნდაც საყოველთაობისკენ ვისწრაფოდეთ და დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ხანს ვიარსებებთ, რადგანაც თუკი მარადიული არა ვართ, სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრს ვერაფერს შეცვლისო. საინტერესოდ კი მსჯელობდნენ, მაგრამ ნუგეშს ვერ პოულობდნენ. კიდევ ორნი იდგნენ განცალკევებით, მათ შორის ერთი დარბაისელი კაცი, ღანვებზე ცრემლი რომ ჩამოსდიოდა, ხმას არ იღებდა, გეგონება, მდუმარება უდაბნომ ასწავლაო. იგი ალექსის ძველი მეგობარი აღმოჩნდა, თითქოს ადრეც რომ ენახა. აი, ვინ გლოვობს ჭეშმარიტად, გაიფიქრა თებემ და მასთან გამოლაპარაკება სცადა:

— არ გეჩვენებთ, რომ ილიმება?
მან მხრები აიჩეჩა და ეთერ-ქალს მიუჩოჩდა, ჭირისუფლების ლაპარაკში რომ არ ერეოდა და ფეხზე მდგარი ფსალმუნებს ბუტბუტებდა. ასე მეზობლები ეძახდნენ, მაგრამ არა პატივისცემის გამოსახატად, არამედ იმიტომ, რომ შემოიღობდა მიაჩნდათ.

იქნებ ქელებზე მაინც მოეხერხებინა დალაპარაკება, ალექსიზე რამეს უამბობდა, ყოველთვის დიდ პატივს რომ სცემდა, მის სიბერეს კი ისე აღიქვამდა, როგორც თავის უკანასკნელ დღეებს. ალექსის ისეთი საინტერესო თხრობა სჩვეოდა, იფიქრებდი, ამდენს სწორედ ძველი ამბების მოსაგონრად ცოცხლობსო, ფილოსოფიური დასკვნების გამოსატანად. ომმა ჩვენი წარსული ნახანძრალს დაამსგავსაო, იტყოდა, მოგონებები კი ცეცხლით ამოტვიფრულს. იმ ეპოქის გახსენება მისი ხმის ტემბრსაც უცნაურად ერწყმოდა, გეგონება, სადაცაა ძველ დიალექტზე დაილაპარაკებსო. მიაჩნდა, რომ სასაფლაოს მიწა ხრწნილების გადაფარვას ემსახურებოდა, მაგრამ სიკვდილს არ აღიარებდა. მზერაც ისეთი ჰქონდა, თითქოს პირამიდების აგებას მოსწრებოდა. ვეება ტალღების დამშაშვრელი მარილისგან თეთრად გაჯერებული ზღვაოსნის მათხური, რომელსაც ტანიდან არ იშორებდა, ერთიანად გახუნიებოდა. გეგონებოდა, ოდესღაც იმ ხომალდის ეკიპაჟში ირიცხებოდა, ნაპირს ალექსანდრიის შუქურით რომ აგნებდნენ. სისხლი მდორედ უჩქეფდა და სუნთქვა დახშული ჰქონდა, ხოლო ფილტვებით ისე უსტვენდა, ბელის ყარაული ხორბალს შემოჩვეულ გველხოკერებს აფრთხობსო. წარღვნას შემთხვევით გადარჩენილი მითოლოგიური არსებასავით მძიმედ გადაადგილდებოდა, ამ დროს კი ხმებიც იმგვარი გაისმოდა, რომელიც ლეგიონერი მძიმე აღჭურვილობას მოათრევსო — ჯავშანს, ბექთარსა და დაჩეჩქვილ ჩაჩქანს. მის ფიქრებში ჩანდებოდა ისეთივე ძნელი საქმე იყო, როგორც ქარის მოხელთება. გეგონებოდა, დაბადებიდან ბებერი ყოფილიყო, ასწლოვან შენობათა ქვის ქანდაკებებს, თაღოვან არკებს რომ შებჯენოდნენ, ისე გახედავდა, თითქოს ძველ ახლობლებს ხვდებო, ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, თაბაშირის ნაცვლად ხორცი რომ ემოსათ. მერე სახლის პარმალთან დინჯად მიმოდიოდა, ხელს კი არაფერს აკარებდა. ბუხრის კენ რომ წასულიყო, შეშის ნაჭერსაც არ ამოიჩრია, თითქოს შეუძლოდ მყოფს ილღია მხოლოდ თერმომეტრის ჩასადებად ჰქონოდა. არავის ახსოვდა, ოდესმე ცოცხი აეღოს და იქაურობა გამოეგავოს. ამას სხვების მოვალეობად მიიჩნევდა. ფოთლების შვავით სავსე ბაღჩაში ამოჩემებულ სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, უფრო სწორედ კი მეზღვაურივით განერთხმებოდა გემბანის მსგავსად, ცხოვრება განგებას რომ მიანდო, გემი კი დინებას. ამიტომაც ჰქონდა მეზობლებთან დავა, გარდა ეთერ-ქალისა, უსუფთაო ეზო უპასუხისმგებლო კაცის სინდისს რომ აგონებდა.

— შეეშვით, მე მივხედავ! — გამოექომაგებოდა ხოლმე ეთერ-ქალი, ცოცხს ხელს დაავლებდა და იქაურობას მისდგებოდა. ზოგიერთები დედაოსაც ეძახდნენ, რახან კვირადღეებს ტაძარში ატარებდა.

მეზობლების დაცინვას ყურადღებას არ აქცევდა, ეს ბებერი გულში ხომ არ ჩაგივარდაო. ახირების მსურველნი მიზეზს ყოველთვის გამოძებნიდნენ. მე ჩემს ამბებს დიდი ხანია მოვრჩიო, შესჩიოდა ალექსი, მეზობლები კი მემდურნიან, მაგრამ მანყევარს მაინც მაგინებელი მიჩვენიაო.

— თუმცა ორივე ერთი ჯანდაბაა! — დააყოლებდა ბოლოს.

ძუკნებს რა გამოლევსო, იტყოდა ხოლმე და ცივ ზამთარში ასფალტზე მდგარ მოკანკალე ბოზანკალებს წარმოიდგენდა. როცა ახალგაზრდობას იგონებდა, ძირითადად ომის წლებს გულისხმობდა. თვალებს მოჭუტავდა და ხელს საფეთქელთან მიიტანდა, თითქოს იარაღის ჟღერით ჩაესმისო, ფიქრებით კი ყუმბარებით დამსხვრეულ სახლებს დასტრიალებდა. ბევრი რამ ენახა, მაგრამ არც ერთი ფრაგმენტი არ ავიწყდებოდა. ბრძოლის ველიდან ავარდნილი მტვრით გაჯერებული ჰაერის სურნელებაც კი ახსოვდა, წვიმით გაჟღენთას რომ აგვიანებდა, რათა მაცოცხლებელი წყალი ჰკურებოდათ, თუნდაც თავსხმაში მოყოლილებს მერე სველი პერანგები სცმოდათ.

რაულ ჩილაჩავა

რატომ უფალო, ასე უცებ და ასე ჩქარა?!

ერთხელ ყველაფერს ეშველება: ჩადგება ქარი, მოკვდება ცოლი, მას კვალდაკვალ მიჰყვება ქმარი. რაც იყო დღემდე, ალიგვება პირისგან მიწის... ეს ყველაფერი ბევრმა ჩემზე უკეთა ციცის, მაგრამ რა დიდი შელავათი ვითომ ეგ არი, რომ გრძნობ და ხვდები — შენი ყოფის ბოლო ზეკარი არ გაპატიებს არც ერთ ნაბიჯს, გადადგმულს მცდარად, რომ თავის დროზე „ჰოს“ მაგივრად არ გითქვამს „არა“, რომ ჩაიღინე, რაც ამჯერად არ გიხარია... დიახ, ცხოვრება მაცდუნებლად ღია კარია, ოღონდ შეხვალ და ვერ იპოვი. გასასვლელს უკან, ვერც ჯიპიესი, ვერც კომპასი და ველარც რუკა, ვერ დაგაბრუნებს იმ სივრცეში, სადაც ტრფიალი და ეჭვის, შიშის, გაორების ორომტრიალი გინვადა გულ-ღვიძლს, გამფოთებდა, ძილს გიკარგავდა და შენ გეგონა, შენი ვნება სხვისას არ ჰგავდა. ეჰ, ყველაფერი სულ ერთ ნაშში წარსულს ჩაბარდა, გადაარაკდა, გადასიზმრდა, გადაზღაპრდა! მას, რაც მზესავით კაშკაშებდა, ბურუსი ფარავს. რატომ, უფალო, ასე უცებ და ასე ჩქარა?!.

VIII-IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

— დაფშენილ აგურებში გვიწევდა ხოხვა, ძირს დაცვენილი გილზები ჯერაც თბილი რომ იყო. გაკანრული ხელებით დამზრალ მინას ვებლაუჭებოდით და მწვანე სარეველებს ნითლად ვღებავდით. ალბათ სამობლოსათვის დაღვრილ სისხლშიც ამას გულისხმობენ. ფრონტის ხაზს კენესა მუდამ ახლავს, როგორც მჭახე ყაშყაში და გამყიფანი ჩხავილია ყვაყ-ყორანთა თანმდევი. გმირობის თავი სადღა გვექონდა. შაშხანები კი გვეჭირა, მაგრამ ენთუზიაზმი გაგვენლებოდა. ზალპების ზრიალი მძაფრ აკოვრდებდა ევინგინდა მიდამო. ჩვენ კი, მძვინვარე ხმებით გაბრუებულნი, დაისს იმ იმედით ველოდით, იქნებ ღამეს სიმშვიდე მოეტანა. სამყაროს მთელ დახვეწილობას მზის ჩასვლაში აღვიქვამდით. ოქროს მნათობი მხოლოდ ზედაპირს კი არ ანათებდა, დისკოს სიღრმესაც სწვდებოდა. ომებს ზედიზედ ვაგებდით. ტერიტორიებს ვკარგავდით და მტრის შეჩერებას ვერ ვახერხებდით. თუმცა განლაგებას როგორღაც ვინარჩუნებდით. სინამდვილეში მხოლოდ ბედის ახლებურ გათვლას ველოდით, სასწაულის აღსრულებას, როგორც ოდესღაც სამხრეთ ევროპასთან მისულ ვიკინგებს მზის გარუჯვამ დაახვეინა უკან. თუკი ვდუმდით, მხოლოდ იმიტომ, მტრის ყურადღება ზედმეტად რომ არ მიგვექცია. არც დრტვინვა იყო ჩვენი საქმე, რადგანაც სანამ მსხვერპლი ვიყავით, ჯალათებდა ვერ ვიქცევოდით, ხოლო თუკი ისტორიის ფურცლებზე ჩვენივე სახელების ხმლებით ამოკანვრას მოვინდომებდით, ამას ხელის კანკალით აღვასრულებდით. ირგვლივ დახოცილები ისე ეყარნენ, გეგონებოდა, ადამიანობა მოჰბერებოდათ. კი არ მოკვდნენ, სული მოითქვესო. ქვიშის ნახტებში ქუსლებით ღრმა კვალს ვტოვებდით, უკიდვანო უდაბნოს შესაფერისს, დროშას კი იმდენ ხანს ვაფრიალებდით, სანამ ნაფლეთებდა არ გვექცა. თუმცა უკან დახვევისას მტრის ნაცვლად მტომავ ქარებს ვანყდებოდით, სახეში წვრილ მარცვლებს რომ გვყაროდა. მაშინ სხვა კრიტიკიუმებით ვცხოვრობდით, თუნდაც ხელმოკლედ, მაგრამ მეფური ოცნებებით და სიხარულის განცდას არ ვკარგავდით. გვეჯეროდა, რომ ცოცხლები დავბრუნდებოდით. გონიერი კაცი თვინიერად იქცევა, უგუნური კი სოროს ეძებს მიმალვისთვის. მერე რა, რომ პატივი და ქონება არა გვრგებია. შეძლება ჩრდილში წამოწოლას ჰგავს, სილატაკე — პაპანაქებაში წანწალს, ყოველი წვრილმანი კომპრომისი კი კოსმოსთან მიმართებაში კომიკურ სახეს იძენს. განა მათ გახარჯვას საუკუნეების გამიჯვრა სჭირდება? ახალგაზრდობა მალე გადავა, სიბერე კი ის დროა, როცა წამლებში მეტ ფულს ხარჯავ, ვიდრე საკვებში! — მერე გაჩუმდებოდა და იტყოდა, დანარჩენზე სხვა დროს ვილაპარაკოთო და დასაძინებლად მიაშურებდა თავის ზუღრუგანას. ასე დაფხავებულ ოთახს ეძახდა.

თებე ქალაქში პირველად პაპამისმა ჩამოიყვანა. სრულწლოვანი რომ გახდა, მისი აქ გამწესება გადაწყვიტა. ჩათვალა, რომ ობლად გაზრდილ შვილიშვილს, სჯობდა, ბედი აქცვალა. მიზეზი კი ის იყო, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბოსტანში ფუჭად დაყალიბდნენ, რადგანაც თებე რეჰანს წინაკისგან ვერ არჩევდა, კომბოსტოს ფოთლები კი სულაც დუმფარები ეგონა, ხოლო როცა მოქნიულ წერაქვს გაპობილ კარტოფილს ამოაყოლებდა ხოლმე, პაპამისს იმედს უნდოდა.

— ჯერ ძირები უნდა მოუფხვიერო! — მის უნიათობაზე გაღიზიანებული მკაცრად გაჰყვიროდა. მერე ხელი ჩაიქნია, შენისთანები სოფლის საქმეში ხეირს ვერ ნახავენო. ამიტომაც შეუძინა ბინა ქალაქში, დაფხავებულ შენობებს მიღმა, ფული რამდენზეც გასწვდა. იქ ისეთები ცხოვრობდნენ, გაკოტრებასა და გაპარტახებას ყოველი მეორე დღეს რომ ელოდნენ. პაპამისი პირველად ვისაც გამოელაპარაკა, სწორედ ალექსი იყო. რალაციტ ერთმანეთს ჰგავდნენ კიდევ, ერთი შეხედვით რომ ამოიცნეს ერთმანეთში მეომრული სული.

- სად ომობდი? — ჰკითხა ალექსიმ.
- უდაბნოში! — უპასუხა პაპამისმა — შენ?
- ზღვაზეც და უდაბნოშიც! — უპირატესობა მოიპოვა ალექსიმ.
- ქვეითი იყავი?
- ჰო!

— მე კი არტილერიაში! — მდგომარეობა გათანაბრდა, რის მერეც საქმეზე გადავიდნენ. აგერ ის ოთახი იყიდებო, მიუთითა ალექსიმ მეორე სართულის შუშაბანდზე. ადვილად დაგთანხმდება, დიდი ხანია, ნასვლას აპირებდსო.

— გზისპირა ტერიტორიები ისედაც ქვეყანას დასჭირდება! — მიუბრუნდა შვილიშვილს, როგორც კი სახლის პატრონს მოურიგდა და მარტონი დარჩნენ, — სჯობს, სიღრმეში დაგასახლო, თორემ გამოსაჩენ ადგილას ვინც ცხოვრობს, როცა მოუნდებათ, მაშინ აყრიან!

— ამიტომაც არჩივ გარეუბანი? — მკვახედ გაეპასუხა თებე, ნაღვლიანად რომ



დიმიტრი ნიკლაური
თებეს გზა

გაჰყურებდა მდიდრების უბანს, სადაც იშვიათი ბრწყინვალეების წვრილად გაცრილი ქვიშა ეყარა, მზის შუქზე ოქროსფრად მოციალე.

ერთხანს ოცნებობდა კიდევ იქით გადასვლაზე, თუმცა ამ უსაფუძვლო ვნებამ მალე გაუარა. პაპამისს გამჭოლად უმზერდა. მალე გაიზრდებოდა დასახლება ირგვლივ და როცა ეს სახლი შუაგულში აღმოჩნდებოდა, მერე დააფასებდა მის ჩანაფიქრს. პაპამისი ხომ სხვანაირი გაგების კაცი იყო. ასეთებს ზღურბლთან ეგებებიან, ნასვლისას რომ გამოეტირონ. მერე, როცა გარდაიცვალა, სოფელში დაკრძალეს. პარამალთა მდგარი თებე ბევრისგან იღებდა სამძიმარს. ჩოხა-ახალუხში გამონყოფილი პაპამისის ფოტოს ამაყად უჩვენებდა მათ, მაგრამ ისინი ვერაფერს ამჩნევდნენ მნიშვნელოვანს, თუმცა გულს ხომ არ დასწყევტდნენ და ომახიანად ამხნევედნენ, დიდებული კაცი იყოო. პანაშვიდზე ალექსიმ ჩამოვიდა, ოღონდაც ცოტა მოგვიანებით და პირდაპირ სასაფლაოს მოაშურა. თებეს გაუხარდა მისი დანახვა, სახე გაეხადრა, ხოლო როცა თავდახშულ კუბოს ნიჩბებით მიწის ბელტებს აყრიდნენ, ალექსიმ ჯობიდან ნაგანი ამოიღო და რამდენჯერმე გაისროლა ჰაერში. ომში ასეთი ნესი ჰქონიათ. სოფლები შეცბნენ, თუმცა მის მიმართ პატივისცემით განიმსჭვალნენ. ალექსიმ თებეს ცოტაოდენი ფული შესწირა, ისეთი დღეები გიდგას, უსათუოდ დაგჭირდებაო. მერე დაარიგა:

- საფლავის ხშირ მონახულებას დიდ

მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ. რაც დასრულდა, უნდა შეელო, თორემ მუდამ წარსულის გამოკიდებაში იქნები, აჩრდილების დევნაში. ვინც თვალს მიეფარა, ველარ მოიხელთებ. კაცმა ხელი საითაც არ უნდა გაიშვიროს, ბოლო გზა მაინც აქეთ მიემართება!

ამ სიტყვებზე ხელი მიწაში ჩასობილი ჯვრების კენ გაიშვირა, სულდგმულთა აღსასრული მოხატული ფილებითა და მოპირკეთებული ქვებით რომ დაეგმანათ, ვინრო ბილიკი კი, ადრე თვალსაჩინოდ გამოკვეთილი, საფლავებში ჩაკარგულიყო. პაპამისის მერე თებეს დარიგება ალექსიმ განაგრძო. ბოლოს ველარც იხსენებდა, რომელი სიტყვა რომლისგან მოესმინებოდა.

ეტი უქმად რომ არ მოცდენილიყვნენ. შემოსავალიც გაუჩნდა და დროც ოხრად რჩებოდა, პირველი ხელფასით სარეცხი მანქანა შეიძინა. ჭუჭყისგან გაზინთული სამოსი გახამებულ ზენრებთან ერთად შეყარა, მერე გრძელ თოკებზე რომ გაეფინა. დიდი ჯაფა ადგა, მაგრამ კვირადღეს ასეთ თუ არ მოიქცეოდა, სხვა დღეებში ამისთვის ვერ მოიცილიდა. მერე პაპროსს დაეჩვია, დერეფანში ბორიალობდა და აბოლებდა. თან ღრმა ნაფაზებს ქაჩავდა და ცდილობდა, რგოლი რგოლში გაეძვინა. თუმცა არაფერი გამოსდიოდა. ბოლქვები გაფანტვამდე მცირე ხნით ჭერთან ჩერდებოდა, სანამ ნასვრეტებში არ გაიწვინებოდა. ეს რა კარგი რამე გისწავლიაო, საყვედურით ამხილა ალექსიმ. ამ სიტყვის მერე თავი დაანება.

ღარიბული შენობის კედლებიც ლერწმისგან ნათლს ჰგავდა, ეზოს გასწვრივაც რომ გრძელდებოდა. თებეს შეეძლო, მის გასწვრივ ევლო, სანამ გასასვლელს მიადგებოდა. სამზარეულოს ფანჯრიდან ქუჩის ფრაგმენტი ჩანდა, ხოლო საძინებლიდან — ეზო. ქუჩაში დამფრთხალი ძაღლები სხვა ძაღლებს გაუბრუნდნენ და აუთვისებელ სადარბაზოებს ეძებდნენ თავის შესაფარებლად. ისეთი ჭუჭყიანი ბენვი ჰქონდათ, ცხოვრებას ლაფში ატარებდნენ. გაუსაძლის წესს შეგუებულებს სხვა გზა არცა ჰქონდათ.

თებემ საძინებელში გადაინაცვლა და ფანჯრიდან ფარდულისკენ მიმავალი მეზობელი შენიშნა, მკლავები სვირინგებით რომ ჰქონდა აჭრელებული. მას საშუა ერქვა და ამფსონები ყოველთვის ეტორლიალებოდნენ. ციხიდან ახლახან გამოსულს დიდ ავტორიტეტად თვლიდნენ და მარტო არასდროს ტოვებდნენ. ახლაც ორნი უცდიდნენ, ჭრილა მაგიადაზე მოწინებით რომ ჩამოერიგებინათ კარკ და თამაშის დროს დიდსულოვნად ესაუბრათ. სიმშვიდე მალე დაირღვეოდა და ყვირილზე გადავიდოდნენ, როგორც აზარტულ თამაშს სჩვევია. როცა გაცხარებით იკამათებდნენ, მრავალჯერ ნათქვამის გამეორება მოუწევდათ, ძირითადად ლანძღვანებით რომ იქნებოდა გამოხატული.

წვიმის წინ ისედაც ძიმე ცა კიდევ უფრო მუქდებოდა. ფარდულში მბჟუტავი ნათურა ენთო, რადგან იქ მეტად ბნელოდა. გარეთ ლამპიონები მაინც ციმციმებდა. სიო, როგორც ეს თავმდაბალ ნიაგ შეჰფერის, ზუზუნით დაძრწოდა ფარღალა-ლა სათავსოებსა და უბადრუკ საძირკვლებში. მოღუშული შენობა ნესტიან მღვიმეს ემსგავსებოდა, სადაც ჩვეულებრივ ღამურები ბინადრობენ ხოლმე ჩინჩამორთმეული ფრინველებივით, ერთფეროვან სისავსეს ფრთების საგსავით რომ არღვევენ. აქაც, მათ მსგავსად დაბალი ფენა ტრიალებდა, ძველებიჭთა მოდგმა, თუმცა თავს ჭეშმარიტ მემამოხეებს უწოდებდნენ და საზოგადოების წარმოსადგენ ნაწილად მიიჩნევდნენ. ფუჭ დიდებას აყოლილნი ამ უბადრუკი მდგომარეობის შესამარჩუნებლად რას არ გაიღებდნენ. ხარჯს მითუმეტეს არ მოერიდებოდნენ. ახალბედებს მასხრად იგდებდნენ და კიცხავდნენ. ვისაც არ გაიკარებდნენ, გარიყავდნენ. ამგვარი ყაიდით ცხოვრობდნენ და არავის გაუწევდნენ ანგარიშს. სისხლში გამჯდარი ჩვევების დაძლევა არც აპირებდნენ, თითქოს უკვდავი ყოფილიყვნენ. სპაზმები კი სტანჯავდათ და დაღუპვის ნიშნებს ატარებდნენ. სულეთი მათთვის სულერთი გამხდარიყო. მტაცებლებს წარმოადგენდნენ და მჩაგვრელთა როლში ყოფნას შეჩვეულთ, შარის მიზეზს რა გამოუვლევდათ. მოსანევის შემდეგ ყავას მოხალავდნენ და ელეგანტურად ხვრებდნენ, ყოველი ყლუპი რომ განეცადათ. ჭურჭლის თაროზე გაურეცხავი ჭიქებისთვის ჭუჭყიანი ფარდა ჩამოეფარებინათ, უსიამოვნო ლაქებით რომ იყო მოსვრილი, მაგრამ არავინ გარეცხავდა. მათ ბუნაგში სტუმრობა სექტაში მისვლის ტოლფასი იყო. საუბრისას ჭოჭმანობდნენ, მაგრამ ბოლოს ისეთ სიტყვას დაავადებდნენ, იძულებული ხდებოდა, ყური გეგდო, თუნდაც ბრიყვულად გაუღერებულყო. რახან მოფიქრებას დიდი დრო მოანდომებ, პასუხიც გამოიწვლილვით უნდა განეხილათ. არიფს თუ გამოიჭერდნენ, მსჯელობით ხიბლავდნენ. დიდაქტიკური მიდგომა მსმენელზე კარგად მოქმედებდა და ფულის დაცინცვლა უადვილებოდათ, მაგრამ სანამ გადასახადს შეაწერდნენ, სიბრძნეს აზიარებდნენ. დაარიგებდნენ, ბა-

ზრობაზე ხელები ჯიბეში გენყოსო. იქ უამრავი გაიძვერა ტრიკლებს და რამე არ აგნაპნონო. ამ ფულს თვითონვე ართმევდნენ. ასე ვთქვათ, რჩევაში უქვითავდნენ, როგორც გაკვეთილის გადასახადს და მიუხედავად იმისა, რომ ხეობრებით დაიარებოდნენ, დაგრეხილი ხელებისა და დაკრუნხული სახსრების წყალობით, მაინც ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ყველაფერი რიგზე ჰქონოდათ. მიმქრალი მზერა მათ შესახებ თავისას მეტყველებდა, თუნდაც სადა ჩაცმულობით სიდარბაისლე შემატებოდათ.

იქნებ ალექსის შესახებ არც გაუგიათო, გაიფიქრა თებემ, ეზოში ჩასვლა გადაწყვიტა და საშუალო მომხდარის შესახებ აუწყა. მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, ერთმა იმათგანმა შემპარავად რომ დაარღვია, ორიოდე კაპიკს ვერ გაიღებ სამოსთვისო, მაგრამ საშუალო მკაცრად ანიშნა, შეშვებოდა და გაჩუმებულიყო.

— მადლობა, რომ გაგვავებინე! — სევდიანად წამოიწყო ხელებში თავჩარგულმა, — ნუთუ დილეგს თავი იმისთვის დავაღწევთ, ჩიხში ალვესრულოთ?! სანამ მშობლები ცოცხლები გვყავდა, არაფერზე ფიქრობდით. გვეგონა, სულ ასე იქნებოდა. ისინი კი ჭკუას გვარიგებდნენ, მაგრამ შენიშვნებს განსწავლულობის წარმოსაჩენად კი არ გვაძლევდნენ, სურდათ, რომ ჩვენს მომავალს ნათელი მოჰფენოდა. ჩვენ კი როგორ ვიქცეოდით. ოცნებების დევნამ გაძევებულ მეძავეებს გადაგვყარა, ტუსალებსა და განდევნილებს დაგვაახლოვა და რა გასაკვირია, აქლემების გამრეკავნიც უდაბნოში ჩავიკარგეთ ქარავანთან ერთად...

მერე განჯინიდან ცოტაოდენი ღვინო და ჭიქები გამოიღო და საძმოს განუცხადა, ალექსის მოსაგონარი შევსვათო. ასეთმა კაცმა, რომელიც სახლიდან მხოლოდ იმ მიზნით გამოდიოდა, ვინმესთვის რამე წაეგლიჯა, უცებ ჯიბიდან ქალაქის ფული ამოიღო და თებეს გაუწოდა, გარდაცვლილს ჩვენ სახელზე კელაპტარი დაუნთეთო.

2

შინ მიბრუნებული თებე ერთხანს ისევ ამეცხვზე ფიქრობდა. რახან მათი ცხოვრება არ შედგა, თავი სწორედ ამ არშემდგრობით მოჰქონდათ. ეს კი ცარიელ სცენაზე თამაშს ჰგავდა, სადაც დარბაზში კენჭად თვლებდა მოხუცებული, ალტაცების შეძახილებს მთქნარებით რომ ხვდებოდა და ეს ერთადერთი მაყურებელი ალექსი იყო, ხშირად რომ უნახავს მათთან მოსაუბრე. ხომ იცი, თქვენ მშობლებს რა დიდ პატივს ვცემდითო. რახან აღარ არიან, გგონიათ ვერ გხედავენო? ჭკუას მოუხმეთ, ცხოვრება ადვილი საქმე არ გვეგონათო. ადვილი სულაც არ ეგონათ, მაგრამ რამსები ჰქონდათ არეული. ცხოვრებაც თეატრად მიანდათ. ეჩვენებოდათ, რომ ამგვარი სცენის დეკორაცია, თუმცა მწირი, მაგრამ მაინც საუცხოოდ მოწყობილი გახლდათ. საზეიმო განწყობას ჭყეტელი ფერები განაპირობებდა. თეატრის მსახურები ხარაჩოებს ბრჭყვიალა თვლებით ამკობდნენ, თუმცა ამაღენი ზიზილ-პიპილოებით უფრო აყალბებდნენ და ნამდვილ სახეს უკარგავდნენ. მთრმობილ ტყავსაც ისეთ ბრწყინვალეობას სძენდნენ, თითქოს ოქროს სითხეში ამოველოთ გასაყდენთად. ბუნებრივ ფერს სიკაშკაშეს მატებდნენ, მაგრამ ქსოვილი ვერ იხდენდა ხელოვნურ ბრწყინვალეობას.

ხედავს, ალექსი არც მათთან ჩაჭრილა, გაიფიქრა თებემ. ნეტავ კიდევ დამცლოდა მასთან ლაპარაკი, რამდენ სიბრძნეს გამოვკითხავდი, სინანულით გაიქნია თავი. მერე ის დღე გაახსენდა, ალექსიმ რომ შესთავაზა, ქალაქში წახეტიალების სურვილი ხომ არ გაქვსო.

— რატომაც არა! — უპასუხა თებემ. ისე გამოეწყვენენ, მის დღეში რომ არ სცმიათ. სადარბაზოდან გამოსვლისას კი საშუალო გადაეჩხენენ, ალექსის მოწინებით რომ მიესალმა. მერე უბრად განაგრძეს მოკირწყლული გზა, ფართო სავანის ვინჩრო შესასვლელს რომ ჰგავდა, ბიბლიოთეკის სერობასთან კი შეისვენეს. ხელნაწერების თვალთვლება ორივეს ხიბლავდა, მაგრამ თებეს უფრო ადრე ჰბეზრდებოდა. ძველ წიგნებს მთელ პომპეზურობას სატიტულო გვერდი ანიჭებდა. დანარჩენი გვერდები მოსაწყენი ციფრებითა და უსახური ასოებით აეჭრებოდა. წიგნის მნიშვნე-

ლობას გაცვეთილი ფურცლებით ადგენდნენ. უფრო მოთხოვნადს ყდა დაშლოდა, თითქოს ჯადოსნური კარიბჭე ყოფილიყო. მის წინაშე მდგარო რალაც დიადის შექმნა რომც გადაეწყვიტათ, ამ წამოწყებას უმალ უარყოფდნენ და უილაჯო მცდელობად მიიჩნევდნენ. ძვირფას ეტრატებს, ზედ ციტატები რომ ამოეტვიფრათ, ხანძარი თუ აქცევდა ნაცარტუტად. ბიბლიოთეკის მოზრდილი ოთახი სამკითხველოს წარმოადგენდა. იქ ჩამომსხდარნი წიგნს ფურცლავდნენ, ყოველ გვერდზე ბიბლიური სცენები რომ იყო გამოსახული.

— ხომ არ წავსულიყავით, ალექს? — შეაპარა თებემ, მაგრამ ალექსი ტექსტს გულისყურით ჩასჩერებოდა. თებეს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, ნამდვილად ხეტიალმა დალალო, წიგნს კი მხოლოდ იმიზეზებსო. ფანჯრიდან ბიბლიოთეკის წინ მდებარე შადრევანს გახედა, შეფეხებით კენწეროს რომ ეპოტინებოდა, თითქოს ზედ აცოცებას ცდილობდა, მაგრამ თავს ვერაფრით ართმევდა და ისევ ფილაქანს ეღვრებოდა უღონოდ.

იქიდან წამოსულები ღია სცენას მიადგნენ, სადაც დარბაისელ პოეტებს მოეყარათ თავი. ერთი მათგანი ტექსტს გამოთქმით კითხულობდა, რატომღაც რუსულად რომ შეეთხზა. დუელის შესახებ იყო, ციმბირში გადასახლების. თავისი დაკარგული წინაპრისთვის მიეძღვნა და სტრიქონებში შიში და სიცვიე გამოეჭვიოდა:

— მისტუ, ნა მესტე მისნი, ნა პოლჩასა რანშე პრინილი. ასტანეტსია ჟივიმ ესლი, აკაჟეტსია დალშე სიბირ... ბოლო ორი ხაზი შემდგომ სტროფშიც მეორდებოდა, ოღონდ თავში მოქცეულ სიტყვებს უკან გადაეხადაცვლინა:

— რუსულადაც ვერ? — ჰკითხა ჟღალთმიანმა ქალმა.

— ყველა ენაზე ვწერ, რომელსაც ვფლობ. ეს ამბავი კი რუსეთში მოხდა! — რა ნიჭიერი ბრძანდებით! — შეაქო მან, თითქოს მშვენიერ მეტაფორებს ბოლო წვეთამდე ხაპავდა, უმნიშვნელო ფრაზებისთვის დიდსულოვნად რომ წაეყრებინა. შორიხლო მდგარი ახალგაზრდა პოეტები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. არ მოსწონდათ, იმ ენაზე რომ იყო დანერვილი, მტრულად განწყობილ ქვეყნად რომ მიაჩნდოდა.

— ამ თაობაზე რას იტყვი? — მიუთითა ჟღალთმიანმა. — რის თაობაზე? — ამ თაობის თაობაზე! პოეტმა მხრები აიჩქრა. ალექსი ადგილიდან მოწყდა, რადგან მოედანზე გამოჩენილი მიტინგი შენიშნა და აედევნა. ასე ოცდაათი კაცი იქნებოდა. წინამძღოლი დროდადრო გამარჯვების ყიჟინას დასცემდა ხოლმე, რასაც დანარჩენები შეძახილებით ხვდებოდნენ.

— რა კარგად ილანძლება! — ალტაცებით აღნიშნა ერთმა, — ნამდვილი პატრიოტია!

— მისი წყევლა მოგისმენიათ! — მგზნებარედ დაუდასტურა მეორემ, — შეუდარებელია!

— ნეტავ გამაგონა! — იმ ორს გულდაწყვეტით შეჰლაღადა მესამემ და ხელების ფშვინტას მოჰყვა.

— დრო ამკარად შეიცვალა! — ბურტყუნებდა ნირნამხდარი ალექსი, თებე კი ცდილობდა, თვალთახედვიდან არ დაჰკარგოდა და ფხედაფხე დაჰყვებოდა. მალე ფარმაცევტულ სანარმოს მიადგნენ. სანყობთან მდგარი თეთრხალათიანი ქალბატონი მოშლილი ზარის გამო წუნუნებდა და რკინის კარზე შემფოთებული აკაკუნებდა. როდის-როდის გაუღეს.

— აცეტილ ნიტრილი გაქვთ? — გვაქვს, ოღონდ როთის! — აუწყა ექსპედიტორმა, — ავანტორის გამოგველია! — ჯანდაბას, შეველევი, ერთი კასრი შემომანოდეთ!

ლაბორატორია წარმოების გვერდით მდებარეობდა, სადაც შეთავსებით კერძო პირებსაც უტარებდნენ ანალიზებს. ამის შესახებ ჩარჩოსთან გაკრული წარწერაც იუნყებოდა. სარკმელზე ვიღაც მოხუცმა დააკაკუნა, რომელიც იმ თეთრხალათიანმა ქალბატონმა გაუღო, მთელი დღე კაკუნით რომ დაჰბეჭდებოდა.

— რა გნებავთ? — ნახველის ანალიზი!

— ნახველი მოტანილი გაქვთ? — მოტანა რად უნდა, სულ თან დამაქვს! — ხველა აუტყდა მოხუცს, თითქოს ნივთმტკიცება წარმოადგინაო, სამყაროსთან შეხმინება ამ გზითლა რომ შეეძლო.

— დადის და ახველებს, ვითომც აქ არაფერი! — აღშფოთდა თეთრხალათიანი და სახეზე ხელები აიფარა. მოხუცი ისედაც ძალუმ განიცდიდა, ამქვეყნიურ არსებობას ხველებით რომ გამოხატავდა.

— მანდ იდექი, ჭურჭელს მოგანვიდი! — დაემუქრა თეთრხალათიანი. თუმცა მოხუცი ამას ყურადღებას არ აქცევდა. მისი ნება რომ ყოფილიყო, არც მოვიდოდა. ოჯახის ნევრებმა აიძულეს. პასუხზე ხვალ მოდი, გულგრილად მიაძახა ქალბატონმა და ფანჯარა რომ გაიხურა, მინა აზრილდა, საიდანაც კედელზე გაკრული ფარდაგი მოჩანდა, ზედ იარლიყები და მკრთალი გამოსახულებები რომ აღბეჭდილიყო, მრავალი მომცროსი და ცოტაოდენი ზორბა ლაქა, როგორც რუკაზეა ხოლმე დატანებული — კუნძულები ბლომად და კონტინენტები კანტიკუნტად. გაცრეცილი ქსოვილი, შუაგულში ფარმაცევტული ლოგო რომ გამოესახათ, ერთხანად გახუნებულიყო.

მიმდებარედ ფინანსური განყოფილება ჩანდა. ახალგაზრდა კაცი ველოსიპედით მოვარდა, ბულალტერიაში სტვენით შეაბიჯა და სალაროსთან შედგა მოთმინებით აღჭურვილი სალოსივით.

— ნუ უსტვენ, სილარიბე იცის! — შეულრინა მოლარემ.

— ქსელიდან ფული გადმორიცხეს? — არ გადმოურიცხავთ! — მკაცრად გაეპასუხა მოლარე.

— რატომ აგვიანებენ? — გაფრთხილებდი, ნუ უსტვენ-მეთქი, შენ კი შენსას განაგრძობდი!

— სტვენა ოდითგან მოგვდამა! — თავი იმართლა ველოსიპედით მოსულმა, — სისხლში გვაქვს გამჯდარი. ჩემს წინაპრებს ფინ. აგენტის გამოჩენამ დააჩვია. პაპაჩემი საბჭოთა ხელისუფლების დროს უსტვენდა, მამაჩემი — გარდაქმნის პერიოდში. ზედმეტ საქონელს სახელმწიფო ართმევდა, ჰოდა, იძულებული იყვნენ, გზისთვის ედარაჯათ, საეჭვო პირის გამოჩენას სტვენით რომ შეეცდებინათ ერთმანეთისთვის და საქონლის გადაამალვა მოესწროთ.

— შინ წავიდე! — თქვა ალექსიმ, რომელმაც უცებ დაღლილობა იგრძნო. წინ კიდევ ნახევარი დღე იყო, მაგრამ ალექსი აღარ გადათქვამდა, თებეს კი ისე მოეწონა მისი თანამგზავრობა, ხვალაც წამოვიდეთო, შესთავაზა.

— დაგვრედი! — იუარა ალექსიმ, — სეირნობა სასჯელად მექცა! მართლაც, მინ რომ დაბრუნდნენ, ორი დღე აღარც გამოჩენილა.

3

დაკრძალვის ხარჯებისთვის საჭირო ფულის ნაწილი სახლში აღმოჩნდა. ცოტაოდენი მეზობლებმაც შეაგროვეს. ნეკროლოგის გაზეთში განთავსება თებეს დაევალა. იგი ავტობუსის გაჩერებასთან ციფერბლატს შეაჩერდა, სადაც ტრანსპორტის განრიგი გამოეკრათ. მინა მბჟუტავ შუქს უილაჯოდ ირეკლავდა. მალე ავტობუსიც მოჩქაჩაქდა. მძღოლს რადიო ჩაერთო და თებე იძულებული გახდა, ესმინა. რედაქცია ქალაქის მეორე ბოლოში მდებარეობდა. ავიაციის დეტალებზე იყო ლაპარაკი, ბოლოს მილოცვით რომ გაასრულეს. ავტობუსიდან ჩამოსულმა მალალ შენობას მიაშურა. რედაქცია ცვათამჯუნში იყო განთავსებული. მალაღი სართულ-იდან ქალაქი ისე ჩანდა, თითქოს რუკას დაჰყურებო. ჩრდილოეთის მიმართულებას სამრეკლოს მიხედვით გაარკვევდი, გეგონება კომპასის ისარი ყოფილიყო. როცა თებეს სიტყვების რაოდენობა დაუანგარიშეს, თანხა გადაიხადა და ქვითარი გამოართვა, მეზობლებისთვის რომ ეჩვენებინა. შენობიდან გამოსვლისას შუშის ჩამსხვრევის ხმა მოესმა, გეგონება ბრეზენტი გაფატრესო. ბრჭყვიალა ნამცეცხე ირგვლივ ჭახანით მიმოიფანტა. ხმა ეტყობა, მალაღ სართულსაც მისწვდა, რადგან ფანჯრები ზედიზედ გამოაღეს და თანაბარი ზომის უჯრედებში ერთდროულად უამრავი თავი გამოჩნდა.

რა ხმაურიანი ქალაქია, გაიფიქრა თებემ და გზა განაგრძო. მალე ეკლესიას მიადგა — ბარემ კელაპტარს დავანთებო. გუმბათთან მტრედების გუნდი ირეოდა,

თითქოს ანგელოზთა თითები ყოფილიყო. თუმცა ანგელოზებს ხომ ფრთები ესხათ, მაგრამ როცა ხატს მიუახლოვდა, ნახა, რომ მთავარანგელოზი ვეება ფრთებითა და ხელში მახვილით იყო გამოსახული. ხმლის ვადა თითებით ჩაებლუჯა და თებემ ზეციური სიცხადე სხვაგვარად აღიქვა.

მრევლის ნაწილი გარეთ იდგა. ფაშა ქალბატონს, ეტყობა, უსაქმოდ ყურყუტი არ სჩვეოდა და პრიალა ქლიბით ფრჩხილებს ინესრიგებდა. ფერხითი პროდუქტებით სავსე ცელოფნის პარკი ედო, სტიქაროსნებისთვის რომ ჰქონდა განკუთვნილი, მთელი დღის მშვივები იქნებოდა.


— ცოტაოდენ ჰალვას ვერ მიწილადებთ? — მორიდებით მიმართავდა გლახაკი, ფულის არქონამ თავშეკავება რომ ასწავლა. ისედაც ჰეგემონისა არ ემხრობოდა და თავდახრილი ეტრფოდა ბალახებს. ქალმა მხოლოდ ნაფშვებები გაუწოდა, რომელსაც მადიანად შეექცა, ნამცეცხეები კი ჩიტებს გადაუყარა, მყისვე რომ შეუდგნენ აკენკვას. მსცოვანი მღვდელი, ყოველგვარ განცხრომას გაუცხოებული, თავის დღე და მოსწრება მჩხიბავებს რომ ამხელდა, ამბიონიდან მჭექარე ხმით მრევლს მკაცრად მოძღვრავდა:

— თქვენ გგონიათ, ეშმაკი ეკლესიის შესასვლელთან დგას და ღვთის ხობტა-დიდებას ისმენს მოთმინებით?! ტაძარში შემოდის თქვენთან ერთად, ყველაფერი რომ ააყრიას! ვერ ხედავთ, როგორ მომრავლდნენ უღმერთოები, მალე ალბათ დაკრძალვებაც რომ აკრძალავენ! მათთან კამათში ნუ შეხვალთ, რადგან ქრისტეს ადვილად დამთმობნი ჩანხართ. რის მომქცევნი ხართ, იქით არ გადაგიბირონ! მხდალ კაცს მოსვენება არ უნერია. აკრძალვა საზღვართან არ მიუშვებს, დაშვება კი საზღვარს გადააჯვგინებს. ის ღვთისმოსავი იქცევა სწორედ, განსაცდელს რომ გაურბის, მაგრამ პირისპირ შეჩვენისას შემართებას იჩენს. თქვენ კი როგორ იქცევით, მრისხანებას აფრქევით, თითქოს სწორ გზას ადგეთ და გადახვევას არც აპირებთ. წარსანყმედელ საქმეს სჩადიხართ, მაგრამ ცხონებას იმედოვნებ. ჩლიქებსა და ბრჭყალებს უმზერთ, ანგელოზთა ცრემლებს კი ვერ ამჩნევთ. ერთმანეთს წყევლით, ეშმაკი რომ ისმენს და მას ლოცვად აღიქვამს, მერე კი სიამოვნებით გისრულიებთ, მასთან ვალში რომ იყოთ. ფანტაზია კი არ დაეღვევა, იმდენად მრავალფეროვანი საშუალებები გააჩნია. ერთს რომ კეთრით მოაშთობს, მეორეს სხვა სუნს შეჰყრის. თქვენ კი თქვენსას განაგრძობთ და ახალ-ახალი შეკვეთებით ანებივრებთ!

მრევლის ნევრები მკრეხელობაში გამოჭერილებით იყურებოდნენ. სანთლებსაც მანამ უშტერებდნენ მზერას, სანამ თვალები არ წამოსტკივდებოდათ. მორი-ალე ჩრდილებით აღსავსე სივრცეს ნათურის მკრთალი შუქი მსჭვალავდა და ინტერიერი ისე ჩანდა, ქალაქი რომელიც იცრიცვება და გამოსახულებას კარგავს. საკმეკლის სურნელით გაფაქიზებულ, გამჭვირვალე და ნატიფად მოხატულ კედლებზე წარინჯისფერი ფონი სჭარბობდა, რაც ხატმწერის კაპრიზი უფრო იყო, ვიდრე კანონიკური მოთხოვნა. მოძღვარი კი განაგრძობდა:

— როცა ამქვეყნის მიტოვება მოგინევს, მზის ამოსვლა ყველაზე წარმტაცად მოგვეჩვენება. აქამდე როგორ ვერ ვამწნევდითო, ვიტყვით. თუმცა მალევე ჩავა. თუ ღამე იყო, განთიადიც არ დააყოვნებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ექნება. საქმე ხატმწერის სიფაქიზით უნდა ვაკეთოთ, ერთი წვეთიც რომ არ დავღვაროთ და ნამუშევარი არ დავღაბნოთ, თუნდაც მშრალ კირს სინოტივე შევძინოთ სისხლივით ნითელი საღებავით. აცდენილი ფილა ხომ იმაზე მეტყველებს, ხელოსანი მოკირწყვლას რომ ცდილობდა, აკანკალეული ხელით ეპყრა საჭრეთელი. მოწყალეობას თუ არ ვითხოვთ, მოვიპოვოთ! ალაღბედზე გამდიდრებული ადვილადვე კოტრდებიან, რადგან მადლი ერთმევეათ. მადლი განამედლით არის გამოხატული, გულისპირიდან ჩამოგვეგვიჯონ? ანდა განა ტვირთით მიმავალს სცალია, სხვისი განსჯისა და განკითხვისთვის?..

უცებ თებემ მაგლობლებთან მდგარი ეთერ-ქალი შენიშნა, მასთან შეხვედრას მოერიდა და ტაძრიდან გამოვიდა.



ჯემალ ინჯია

თანამოკალმეაზს

არ ვყოფილვარ სხვისი ხელის შემხედვარე,
რომ მწვეოდა პოეზიის გაზაფხული,
გაფხორილი მწერალი რომ შემხედვდრია,
მიფიქრია — რა აქვს ამას გასაფხორი.

რალაცები მიკრეფია ლომბროზოდან,
არ ვატოლებ ერთს — მეორეს (ბუნინს — ჩოსერს).
მახსოვს, გივი ბერაია რომ ბრაზობდა
ერთ გაფხორილ კოლეგაზე, უნიჭოზე.

კლასიკოსს რომ გვიჩვენებენ სინათლეში,
ჩრდილში ჯუბა ლებელი და ბადილია.
გრძელი როა, პატარაა ხშირად ლექსი,
ხშირად ლექსი მოკლეა და რა დილია.

ნუ შედრკებით, რაც არ უნდა იოლრამონ,
არ მოაკლოს ძალა თქვენმა სისხლმა ჯიგარს.
როცა უნდა გააჭენოთ იორლა შორს,
მისი ფლოქეი აარიდეთ სხვის ნაჩლიქარს.

ზღვის ქაზი

შენ გააცანი ასპინძლებს, ახალციხელებს
თურმე ხახული, არტანუჯი, ბანა, ოპიზა.
შენ მსუბუქი ხარ იმ ქაფივით, რასაც ვიყენებთ
ფეხის გულელების გასახეხად ბანაობისას.

ფუყე სიტყვების რახა-რუხით აღარ მომეშვი,
ნუ გამიშავე ოცნებების სურო ქართული.
მუშტის ბრაგუნი ისეთ მკერდზე უნდა, რომელშიც
წრფელი გული ძველს, წრფელი, არა სუროგატული.

უცხოელ სასიძოს

კაცად კაცი იყავი და
არა ჰგავდე ასკარიდას.
გინდ ჩამოდი ბიყარიდან,
გინდა მადაგასკარიდან.

ჩვენთვის კარგი სასიძოც ხომ
საძებარი არის სანთლით,
ჰაერი ხარ სასიცოცხლო
პანკისიდან პარიზამდის.

მდინარე ხომ ყფვს, აქ მთებიც კი მყეფარებია,
გენიოსები ფსევდონიმებს ევარებია.

შმაგი არაგვის ხეობას რომ მივედეთ აპრილში,
ვინ რაზიკაშვილს მოიგონებს, ვინ დედაბრიშვილს,

არა კაფკას და დოსტოვესკის, ლუი არაგონს,
არამედ კიკნა-ფშაველას და უიარალოს.

არა მოპასანს, არა ბალზაკს, მორჭმულ პარიზელთ,
ჩვენ გავიხსენებთ კარმელსა და მოჩხუბარიძეს.

მდინარე ხომ ყფვს, აქ მთებიც კი მყეფარებია.
გენიოსები ფსევდონიმებს ევარებია.

თუ დათვების სუფრაზე ხარ,
შენ უნდა სვა იქ დათვურად.
ამ უბრალო შეგონებას
ძალზე გვიან მიხვდა ტურა
და ინვინია თავის ტყავზე
ვერაგი ტყის დიქტატურა.

მთანინდა

კურთხეულად წოდებული ეს ადგილი მთნევს,
რაც კრავს კაცის გონებაში
წმინდასა და მთელს,

ისტორიის ნიშანსვეტად აღმართულო მთავ,
ამაყი ხარ იმდენად, რომ უფალს აბჯენ თავს.

მიწა რბილი გაქვს, მთანინდავ, ხასიათი კლდე,
ზოგჯერ, როგორც ბუმერანგი,
უკან ისვრი მკვდრებს.

სამყურას ფოთოლი

ის ამოფრინდა ჩემი ბავშვობის
რვეულებიდან, როგორც თოლია,
განა ფურცელი, განა საშრობი —
სამოცდაათი წლის ფოთოლია.

ჩვენ შევაჩერდით ერთმანეთს, რაზეც
ვერ გავებდავდი ოცნებასაც კი,
ის მე მაგონებს ძველისძველ გაზეთს,
პოეტური გზის ჩემის დასაწყისს.

მას გაცლილი აქვს ტონიც, სურნელიც,
ჰქვია სამყურა ბალახს ენდემი,
ერთ საოცარ ქალს, როგორც სუვენირს,
მივართმევ, ზოგჯერ გავახსენდები.

ინტარნეტისივრცე

თითქოსდა ხდება დიდი ამბები —
ისმის „ბრაგო“ და დითირამები.
„გენიოსია“ ისმის თიკუნი
და მოსდევს „ვაშა“ პათეტიკური
მე მინდა ვითხრა, მასავ, ალალო,
სამწუხაროა და სავალალო,
რომ პოეზიით საალბომოთი
გაჟღენთილია მთელი ბომონდი.

დღის რაჟიმი

უნდა მწერალთა სახლიდან
ნავილო კაფკას „პროცესი“.
ნასაკითხი მაქვს ახლიდან
„ცხოვრება მარი ბროსესი“.

სიონში ვნათლავთ შვილიშვილს,
ციცინო ჰქვია ნათლიას.
მოსაკითხი მყავს თბილისში
სიხარულიძე ნათია.

პირს გავიპარსავ, არ მანყენს
რომ შევისწორო უღვამიცი.
რა შეულოცა ტალმა „ცხენს“,
მოვძებნი ერთ ძველ ჟურნალში,

ვიხსენებ (ძველი ომია) —
მან რომ ბოტვინიკს აჯობა,
ფანებთან გამოდგომია
ჭადრაკში ჩემი მსაჯობა.

არც-რა რის ეიფორია —
დღის რეჟიმს მშვიდად ვწერ დილით,
სალამოს ამ დღის ფორიაქს
ლექსით დაესმის წერტილი.

ორნი მილიან უკვლავების გზით

სანჩო, გზიდან არ გადაუხვიო,
ალვირს ჩაჭიდე მაგრად მუშტები.
მოგმივდა? ჭამე ქადა უღვინოდ,
რამეთუ მალე გამობრუნდები.

სანჩო, ნუ უწყებ ბედს დამღურებას,
თორემ, შეხედე — მაგ შენს იდაღოს
ხელები ისე ეცმანდურება,
მზად არის კარგად წამოგითაქოს...

ჰქრის დონ კიხოტი დროში, სიმართლის
შარავანდებით გმირი მოსილა,
სანჩოს ვირს უძღვის წინ როსინანტი,
ხანდახან უსწრებს ვირი როსინანტს.

თავს მახსენებ

თავს მახსენებს: მარტყოფი და იკორთა,
გმირნი, ბერნი, მეფენი და ლაშქარნი,
ჩურჩხელა, რაც ომში საგზლად მიჰქონდა
ჩემს წინაპარს ხარის ტყავის ვაშქარნი.

დრო გადის და კვლავ იმ ჰანგით ვამაყობთ,
ძველ ქართველებს რომ ესმოდათ ურმიდან.
ამ მთას, ამ ზღვას, ამ მდინარეს, ამ ახოს
პაპაჩემის პაპის პაპა უვლიდა.

ჩვენი ჯიში

მამულს როდესაც გვილანძღავენ,
ბრაზობს ნუგზარი,
დიტომ გინება ჯერ არ იცის, დაჩი ავდება.
დახტის პატარა იოანე ირმის ნუკრსავით,
იმედით — ჩვენი ჯიში რომ არ დაჩიავდება.

ტამერლანი ხარ, მურვან ყრუ თუ ბაყათარი ხარ,
სისხლისმსმელებო უჯიშოთა ერთი ბრიგადის,
თქვენ ისტორიამ რვაასი წლით დაგათარილათ,
ჩვენ გვაქვს 80 საუკუნის სერტიფიკატი.

დროგამძლე სულმა და სხეულმა გადაგვარჩინა
ვუმკლავდებოდით სახადს,
ლატს, ჭირს და საპყრობას,

მტერს ვიფერთხავდით ისე, როგორც მთა ქაბარჯინა
მტვერივით ფერთხავს,
ვინც ფეხს შედგამს მის დასაპყრობად.

ანბალოზა ჩამოგვკახს

მე გაგაცნობთ განცხადებას,
ვინც მგოსნებად ყალიბდებით:
ერთურთისგან განსხვავდება
თქვენი ყოფნა ხვალისდელი.

წერთ სახლში თუ წერთ დილეგში,
ღმერთი განჩხრეკს სათითაოდ —
ზოგი დარჩეს ერთი ლექსით,
ზოგი დარჩეს ათითაოდ.

დრო იყო...

მოკვდა თუ არა
ზოგიერთი, მაშინვე მოკვდა,
ზოგი სიკვდილს არ
დაელოდა — მოკვდა მანამდე.
ზოგმა კავშირი
დაამყარა ტყვიასთან, თოკთან,
ზოგიერთები,
ცოცხლები რომ იყვნენ, მაღავდნენ —

მუტანტს ნაჯვარის
ეშინოდა, ნაჯვარს მუტანტის,
ძალით სიკვდილიც
არსებობდა, შესამუსრავე,
ახალი დროის
კუდიანთა და ჯვარცმულთათვის
საკმაოდ იყო
ლოზუნგები, შეშა, ლურსმანი...

დნეარმა კინაღამ დაუსრფო შვილი

გაექცა ლექებს, თუმცა სუნთქვა ესმოდა მდევრის,
არ დასცდენია — ღმერთო, რატომ შეი ეგენიო.
კიტრი იპოვნა, ახალი რომ შემოხვდა ტევრი,
მაგრამ წაართვა წყალმა კიტრი მშიერ გენიოსს.

გადარჩა, უცხო მინა-წყალზე გაშალა მხრები
და სახადივით მოიხადა გადასახლება.
შვილს გზავნის ქართლში და...
კვლავ წყალი, ყველაფრის მხერები,
შვილს „დავითიანს“ დაემუქრა გადასაყლაპად.

დნეპრს გადაურჩა წიგნი, რადგან დავითი ხშირად
ღმერთს ახსენებდა ოქრო-ლექსთა ქადაგებისას.

კაცი, ლექსების წიგნს რომ თვლიდა ერთადერთ შვილად,
არ იქცა მსხვერპლად უშვილოდ გადაგებისა.

**შესავალი
შარისხული ლექსების ამინსტიისთვის**

გელოდებიან, სიტყვა ვისაც მუდამ უჭრიდა,
ვინც ზუსტი ხმებით უხერხებდა ტაეპს გავსებას,
ბოთლიდან ჯინის ამოსვლას რომ დაემსგავსება,
ისე ამოყრი აღვირახსნილ ლექსებს უჯრიდან.

ვერვინ გაბედავს ჯილდოს შენთვის დასაარსებლად,
რა არ იქნები — მოფრენილი ცის სილურჯიდან —
„უცხო ფრინველი, არლეკინი, თუმცა მუნჯი და
საკუთარი „მეს“ ნარცისივით მჭვრეტი არსება.

ფეხქვეშ გავუფენ მკითხველს
სევდით დალდამულ წარსულს
დროს, როცა სიტყვა ითვლებოდა ადრენალინად,
როცა დასდევდი თურმე სხვისთვის გაჩენილ ასულს —

დილის მზის სხივს რომ ერქვა შენთვის ადრე — მარინა.
ეს ის დრო იყო, გამზათოვს რომ თარგმნიდი, რასულს
და მეტაფორებს სცხებდი სატროფოს ფერუმარილად.

დღეობა

ექვსის ჭია ღრღნის მოკვდავს მუდმივი,
სხვისი სიმალის უჭირს დანახვა,
ვგრძნობდი, ფარულად მასაც ვძულდი, ვინც
ჩემი თამასა ვერ გადალახა.

ცრუ მენტორების მხარე ბოდავდა,
რომ შევცდი, როცა ნატვრა გავლექსე,
თავი ნაკლებად მყვარებოდა და
მეარა მხოლოდ მათ ნაკვალევზე.

ხელი ვერარამ ამაღებინა
ფილოსოფიის ჩემებრ ახსნაზე,
ჩვენ — ჯიუტები — ამაყები ვართ,
გული გვაქვს სუფთა სისხლით აღსავსე.

ჰო, ინჯიები ვართ ამაყები,
უმსგავსობისთვის ჩვენ არ გავრჯილვართ.
მადლი ჰფარავდეს ჯვართამაღლების
პატარა, მაგრამ გულდიდ გვარ-ჯილაგს.

ცაცხვი ცხინვალის
გზატყეცილზე როგორ იქცევა?
შეჰყარა ტანი
ჭავჭავაძის ქუჩაზე მუხამ?

ჩემს დარგულ ხეებს
ყურადღების უნდა მიქცევა.
ზოგი ხვატს უძლებს,
ზოგი ხე წყალს მოითხოვს უხვად.

გახმა, ციხესთან
რაც კი ნაძვი დავრგე, ყოველი,
ეზოში თავად
ამოვიძირკვე ბლები, კაკლები.

მაგრამ სანაცვლოდ,
გორო, მე რომ არ გეყოლები,
ჩემი ცაცხვი და
მუხა უნებგადას არ მოგაკლებენ.

მსტოვარი

შენ ნიქარათი და ადინანჯალათი
არა ხარ გაზრდილი, არც აი იათი.
მსტოვრული ნაბიჯით დადინარ, ჯალათის
როლში ჯერ არა გაქვს გაცლილი ნიათი.

დაძრნოდი აჯამეთს, გადასწვდი ჭალადიდს
და მსტოვართუხუცესს პატაკი მიართვი.
ბულლამა შეჭამე, სირცხვილის ჭამამდის —
ლიაა დუქანი მაჭავარიანთი.

დაკარგე სინდისის მსაზღვრელი პლანშეტი,
მას ველარ იპოვნი (სადა გაქვს ილბალი?!),
შვეული ბაკები შეცვალე ბლანჟეტი.

ადრეც სულ „ძიების პროცესში“ იყავი.
ქალაქსაც რა ექნა, იზრუნა მან შენთვის,
როგორმე კაცად რომ გარდაცვლილიყავი.

სანუთროსადმი

ჰაერის ერთი ჩასუნთქვის ტოლო,
იქ უამლექსოდ არ გავიშვები.
სანუთროვ, დროა, ბოლოს და ბოლოს,
რომ გავასწოროთ ანგარიშები.

გამოვირკვიო ვალი და ვახში,
მტერ-მოყვარე კი შენ მაცოდინე,
ამოშენებულ საფლავის თაღში
სანამ ჩემს თავ-ტანს შევაცოდვილებ.

ჰაერის ერთი ჩასუნთქვის ხელავ,
მკვდრის მზემ ყვითელი ქარვა მაგემა.
ალბათ ჩემსავით განიცდის ყველა
ათი წლის სწრაფად გარვამაგებას.

სულ ჩემთან იყავ მანუგეშებლად,
როგორც კოვბოის ქუდი სომბრერო,
მგონი ვიყრებით, ანუ გვეშველა,
ჩემებრ დალლილო ნუთისოფელო.

ჰაერის ერთი ჩასუნთქვის დარო,
შენდობას ჩემსას დაესმის „ამინ“,
დასაბუთებით შუმერულ „ტაროსს“
რომ ვადარებდი ჩვენებურ „ამინდს“.

მოთოკილია, ჯემალ, სიგიჟე,
ნუ დააყოვნებ ნასვლას ნამეტურ
და შეენივთე მინას, იგი შენს
ლექსებში ხშირად იძვრის რამეთუ.

ახალი ცნობით დავრეტიანდი,
ალარ მახარებს კარგი ამინდი,
რადგან ეს ჩემის თვრამეტიანი
„კოვიდ-19“ არსად არ მიდის.

ვისაც სისხლში აქვს გასვრილი ხელი,
ვერ დაამთავრებს ცხოვრებას ლხენით.

მე ვარ მეგრელი!
რომ მზრდიდა ქართლი,
ვილაც რეგვენი
მეგრელად არ მთვლის.

ბოდვა! ვიეთის
გამოგონილი!
მე სერგიეთი
მიყვარს გორივით.

თვითმფრინავის საქმა

დაამტკიცა მონმემ დილით,
რომ ცა იყო მონმენდილი.



დასასრული

4

დღეს გადასვენების დღეა, მინას კი ხვალ მივაბარებთ, გაიფიქრა თებემ გამოთენისას. სამეზობლოში გადაწყდა, ქელების სუფრა ეზოში გაეშალათ, ორი მათგანი კი ნემსს გააყოლოდა სოფელში, სადაც თვითონ დაიბარა დაკრძალვა, წინაპართა მიწაზე. მსურველი მხოლოდ თებე აღმოჩნდა, რომლის თანამგზავრობა იმ მოხუცმა დაიჩქარა, ზანაშვიდზე ხმას რომ არ იღებდა. დაკრძალვას მეც უნდა დავესწრო, დიდი ხნის მეგობრები ვიყავითო, თქვა. ენვერი რქმევია.

თითქმის ნახევარი დღე მიჩაქჩაქებდნენ კატაფალკით, სანამ რომელიღაც სოფელს არ მიადგნენ, ნიადაგი მჭმუნვარე სხეულს რომ უგავდა, დაბებკილ ხორცს, ნაშალი ქვები კი მიძიდა ნალომნ ძვლებს. როგორც იქნა, სახლს მიაღწიეს, სადაც რამდენიმე თანასოფელი ელოდათ. დაფხავებულ სახლს ქოხი უფრო ეთქმოდა და შეუღებავი ღობეც უღიმღამოდ ჭრიალებდა, მაგრამ ვინღა იყო მიმხედავი. შორი-ახლო გაუქმებული წისქვილიც იდგა, რომელსაც ქარი ფუჭად დასტრიალებდა, სანამ დასაკვნიდა, აქ საჩემო საქმე არ გამოიძებნებოდა. მერე ცოტაოდენ ფოთოლს მოხვეტდა, თითქოს ამისთვის იყო მოსული და უმალ სხვაგან გადაინაცვლებდა. თანასოფლელებმა ნემსი შუა ოთახში დაასვენეს. მერე მოიგონეს, ალექსიმ სოფელი ადრევე დატოვაო. სათქმელი მალე გამოელოდა და შეიშმუშნენ. საფლავს დღისით გავთხრით, ხვალ კი ორი საათისკენ მოვალთო, დაიბარეს წასვლისას.

— სოფელი ხომ არ დაგვეთვალა იერებიანა?! — დაიჩქარა თებემ. სურდა, ის ალაგი მოეხილა, ალექსის ბავშვობამ სადაც ჩაიარა, მაგრამ ენვერმა დადლილობა მოიმიზეზა და ქოხში დარჩენა არჩია. თებე მოშორებით მოზრდილ ტბას მიადგა. მეთევზე იმ სიღრმეზე ჩამდგარიყო, რეზინის ჩექმებს ყელიდა უჩანდა. ქარაფშუტა ქალთეზათა ჭირვეულობით გატანჯული სახე ჰქონდა და დინჯად ირჯებოდა. იქ რაც უფრო დიდხანს დაყოფდა, მით მეტ ნადავლს მოიპოვებდა. თუმცა მერე ჭანჭრობში გადაინაცვლა, რომელსაც ისე უტრიალებდა, თითქოს შიგ გასაღები ჩავარდნოდეს. უცებ კი ბანცალი იწყო, თავბრუ დაეხვია და წყალში ისე გაიშხლართა, თითქოს ტყვიების ჯერმა მოცელაო. ფეხზე რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და ერთიანად დასვრილი ნაპირისკენ წაბარბაცდა. ჩათვალა, დღეისთვის მეყოფაო, თებეს მისალმებაზე კი თავი ჩაღუნა და რაღაც ჩაიდუღუნა. არ ესაიამოვნა, დაცემული რომ წახეს. ნაპირთან ბლომად ჯოჯგვიანები ეყარა, შარაზე კი გრძელი ხერხით მიმავალი გამვლელი გამოჩნდა.

— ვერაფერი დაიჭირე? — მიმართა მეთევზეს.

— შენ გაჩეხილ ხეებს მიხედე! — მკვახედ გამოსძახა იმანაც.

— მეტყევე იყო? — ჰკითხა თებემ.

— ვინ?

— ნელან რომ ჩაიარა? — გზაზე მიუთითა.

— ჰო! — უპასუხა მეთევზემ.

— შენ სულ მცენარეებთან ტრიალებ და ხეებს ეწურჩელები! — მალაღფარდოვნად მიმართა თებემ, როგორც კი შემოლობილ სასიმინდეებთან წამოუნია. მეტყევემ დაეჭვებით გამოხედა, ვაითუ, ეკოლოგიიდან გამოგზავნესო დარღვევების აღმოსაჩენად. თებე შფოთვის მიზეზს მიუხვდა და ორი სიტყვით აუხსნა, ვინც იყო, მერე კი ჰკითხა, ცხოვრების აზრი რაში ჰპოვეო. მეტყევემ, რახან დარწმუნდა, არაფერს ერჩოდნენ, სახეზე გონიერების გამოხატველ ყველა შესაძლო ელემენტს მოუყარა თავი. ეს ბევრისთვის მიაბნინაო, ღიმილით გაუმხილა. ტყე მხოლოდ ხელის განწვედნაზე იმიტომაც დარჩა, გაჩეხამ გამეჩხერაო. ეს რომ თქვა, დარჩენილ ხეებს თანაგრძობით გახედა, უკბილო ბებრებს რომ დასგავსებოდნენ გამომპალი ფულუროები. სადაღა იყო პირველქმნილი წიაღი, ფერიუმარლიჩაურეველი სილამაზე, ოდესღაც საყოველთაო ალტაცებას რომ იწვევდა. ზედ ჩიტებიც აღარ სხდებოდნენ. მაგრამ მეტყევის მსოფლმხედველობა რახან ამით ამოიწურა, თებე გამოემშვიდობა. მას რაღაც დიადის შეცნობა ენადა და მეტყევემაც კმაყოფილმა განაგრძო გზა, ცოლისთვის რომ ეამბა, ქალაქელი კაცი გადაამე-

ყარა და მის შეკითხვას ფრიადზე ვუპასუხეო. თებე კი შორიასლო მდებარე მალა-ზიაში შევიდა და სარკმლიდან შემოგარენს გახედა.

— ჯერ სეზონი არ დაწყებულა, მოაგარაკეები კი უკვე მოდიან! — თქვა გამყიდველმა, თებეც მოაგარაკედ თუ მიიჩნია.

ისინი მართლაც დაბარებულებივით გამოჩნდნენ, მზრუნველი ბებიები ცელქი შვილიშვილებით, ათ ნაბიჯზე მეტი დაშორების უფლებას რომ არ აძლევდნენ, რათა პირველივე შეძახილზე გამოჩნილიყვნენ. შეზღუდვისკენ სწრაფვა მთელ არსებაში გასჯდომოდნენ, ესოდენი გარჯა წყალში რომ არ ჩაჰყროდათ. შვილიშვილები მხოლოდ გარეგნულად იქცეოდნენ მისაბაძად, სინამდვილეში ყალთაბანდობდნენ და შენიღბვის ოსტატებად ყალიბდებოდნენ. პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით აღჭურვილი ბებიები მათთან ერთად ტყისკენ იღებდნენ გეზს. ერთიანად მდინარის დუღუნისთვის ეგდოთ ყური, წინვების ცქერით დამტკბარიყვნენ და არომატი-

იყო, რომ ვეღარც დასახლება გასტანდა დიდხანს. გამგრძელებელი აღარ ჩანდა. შვილების თაობა თავს სასმელით იბანგავდა, რადგან ღვინო იმდენი ჰქონდათ, ქვევრების ქვეყანა გეგონებოდა. მერე აზიელი ფერმერები გამოჩნდნენ, ცნობისმოყვარედ რომ ითვისებდნენ ადგილობრივ ტერიტორიებს. საქმეები კეთილად მისდიოდათ, მათ ზეიმს კი ადგილობრივების დალონებული სახეების ფონი განსაზღვრავდა.

როცა დაღამდა, მიდამო შემზარავი ხმებითა და ხილვებით გაივსო. მოცეკვავე ჩრდილები მოჩვენებებს დაემგვანა. მათ წრეს ჯუჯა ჯაგნარები დარაჯობდნენ. ლამპიონებთან ელექტროსამა ჩაიარა, სადენებით აღჭურვილი ვარსკვლავებთან მებრძოლს რომ ჰგავდა იგი გაჩანჩახებაზე ზრუნავდა, ხოლო ბინდს თავისივე სიმუქე ამწურებდა. გორაკზე მიმავალ მწყემსს კომბალი ისე გაედო მზარზე, თითქოს ისიც ვარსკვლავებთან მიმართებოდა. კვალდაკვალ ბერიკაცი ადევნებოდა ოჩოფხებით და ბორძიკით უმკლავებოდა ოღროხო-



დომიტრი
ნიკლაური
**თეხას
გზა**

გაჯერებული ჰაერი ესუნთქათ, შორიდან ალბათ ლურჯად რომ აღიქმებოდა. ქალაქელ დამსვენებლებს ყველაზე მეტად რაც ალიზინებდათ, სამხრნაოები იყო, მხერხავეებს კი დამსვენებლები. სოფლის ცხოვრება სხვაგვარად მიმდინარეობდა. ზაფხული ზამთრისთვის მზადებას ნიშნავდა, ზამთარი ზაფხულის მოლოდინს. ზამთრის მკაცრ ფერებს შერეულნი, ყინვასაც სითბოს მეორე მხარედ აღიქვამდნენ. ყოველდღიურობა შეთანხმებას ჰგავდა, სიტლანქემ და უხეშობამ სწრაფვა რომ დაუხშოთ და ცხოვრებას როგორღაც განაგრძობდნენ. ისინი არც თავის გამოჩენას გეგმავდნენ და არც მნიგნობრებთან იჭერდნენ საქმეს. შვილებს მეცადინეობასაც კი უშლიდნენ, მუშახელი რომ არ მოჰკლებოდათ, კალმის ნაცვლად ნერაქეს რომ ჩასჭიდებოდნენ და სარჩო არ გამოელოდათ. უქმად ყურყუტი ისედაც არ სჩვეოდათ, თუმცა ხელები სავსავს ჰქონდათ შეჩვეული, ბაგეები კი თავის მართლებას. ზამთრობით შინ მოლიპული გზებით ბრუნდებოდნენ და ბორცვის თავზე დამხობილ ავზასთან ტორტმანებდნენ. ტატრობზე ბლომად ფიჩი ეყარა, ხოლო ტაფობივით ბრტყელი ჰალატიოს საუთოებელ მაგდას აგონებდათ. მერე არაყს ჩამოისხამდნენ, ძუნწად ბჭობდნენ და თავიანთ სახლებს გადმოჰყურებდნენ, ნაცნობ სახურავებს, სიმორის მიზეზით გაუფერულებულთ. სასმელი რომ მოეკიდებოდათ, ზღაზვნით უმზერდნენ უღიმღამო პეიზაჟს, ნებოვანი ჭაობით გარშემორტყმულ სამყოფელს, ნისლით გამსჭვალული, აბრეშუმის ქსოვილში რომ შეფუთულიყო. თუმცა ზოგან ტოტები ჭუჭყისფრად გამოსჩნოდა. ნასვამზე მინა უფრო მკვეთრი გამოხატარაყო, სიხალავით გამოჩნეულს ლაფი ზედ რომ შეხმობოდა, თითქოს ყელამდე ჩაფლულმა თავი როგორღაც დააღწიაო. აქაურობის მიტოვება პირველ რიგში ჭაობის გატოვას გულისხმობდა.

მოედანზე ფოსტის ბათქაშამოცვნილი შენობა სნეულის ღვიძლს ჰგავდა, დამოსპარის მყოფს, რაც იმის მაუწყებელი

რობეს. მათ თავი იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდათ, მისალმებაზე გაიფიქრეს, ხომ არ გვაშაყირებსო, თებემ კი მზერა მოაშორა და თითებით ბელტი მოფშვნიდა. ფაშარი მინა წვრილი ქვებით მოფენილიყო, თითქოს პეშვებით მოაბნეისო. ნაცრისფერი ბორცვები ჩამქრალ კოცონთან ეფერებოდა ნარმოშვა. სადღაც, შორს კოცონი გაკრთა. ცეცხლის ტკრციალის ხმაც გაისმა, იქ მყოფთ სახეს რომ უნათებდა, მის მოქნილ მოძრაობას მზერას რომ ვერ წყვეტდნენ. განთიადზე კი მხოლოდ ნაცარი დახვედებოდათ და ცეცხლის ფუფუნებას ფერფლი გაასრულებდა.

თებე ქოხში რომ მიბრუნდა, ენვერს ეძინა. იგი აივანზე წამოწვა გასაშლელ, ზამბარებიან ლოგინზე და კაშკაშა ვარსკვლავებს ახედა. ქალაქში მსგავსს ვერაფერს ნახავდა, ეს კი მის სულს ისე შეეხო, ეტყობა შენას რომ მიაგნო, სხვა მზარეს უნდა გაეშუროო, გაიფიქრა, მაგრამ ვინრო ლეიბი მხოლოდ იმის საშუალებას აძლევდა, მოკუნტულს სძინებოდა.

გამთენიისას ჰორიზონტი ოდნავ გაბაცდა, გეგონებდა მიმავალ ბინდს დეტალები უნდა გამოჰკითხოსო. ცა იმაზე დიდრონი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივ, თითქოს მინას იდაყვებით დაჰყრდნობოდა. უპრეტენზიო ყვავილები მინდორს ფერად ელფერს მატებდა. ძილ-ბურანიდან გამოსვლას სხვა ბგერები განაპირობებდა, ჯალამბრების ჭრიალი და საქონლის ზმუილი, განსხვავებით ქალაქის ხმაურისგან, ქარხნის საყვირებით რომ იყო მოცული. მზე საითაც იხრებოდა, ყველაფერს ხრუკავდა. მინდორს ერთ მზარეს სიმავე დასტყობოდა, როგორც ცეცხლის ნაკვალევი დახოკილ ლანჯებზე. ჩამწყვდარი ჰამაკივით მზინავ აბლაბუდებში ჭირხლი ისე ციმციმებდა, თითქოს ბრჭყვიალა თვლები დაჰბნეოდეთ, ხოლო სივრცე იმიტომაც იყო უკიდევანო, მრავალთა ოხერა რომ დაეტი.

ალექსის ქოხთან მალე ხალხმა იწყა მომოსვლა. შუადღისას ნემსი წასვენეს და მინას მიაბარეს. ენვერი სასაფლაოს მიმდე-

ბარედ არსებულ თავისუფალ ნაკვეთებს გააყურებდა. ნელ-ნელა ესეც შეივსება, გაიფიქრა მან და ხალხს გახედა. უმეტესობა იმისთვის იყო მოსული, იქიდან სუფრაზე გადაენაცვლაო. როცა წამოიწიწილა, ნაბიჯს აუჩქარეს. ქელები დაფხავებულ დარბაზში გაიმართა. ხალხის მიმოსვლით გაბეზრებულ ზღურბლზე დაფენილი ტილო, ნაფლეთებად ქცეული, წვიმიან ამინდში კიდევ უფრო ითელებოდა. იქაურობის განუყოფელი ხმა კარის ჭრიალი, ონკანის ჩხრიალი და ჭურჭლის ჩხარუნი იყო. სასადილოს ინტერიერი სოფლის ზემს გამოხატავდა, უბრალოების ხაზგასმას. მაგნიტის უმეტესად ზორბა ხალხი მისხდომოდა. მადლისად თქვეფდნენ და თვალდახელშეუა სუქდებოდნენ. არასწორი კვებისგან ნივთიერებათა ცვლა დარღვეოდათ. გამხდარ მიმტანებს დადლილობა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამოჯდარი, სხვის გამოკვებას ჯეროვნად ემსახურებოდნენ, მაგრამ თვითონ როცა შიოდან, იძინებდნენ.

ფანჯრიდან განუზომელი სივრცე ჩანდა, სულ მცირედი რომ აკლდა უკიდევანობამდე. მთელი ელიტა აქ შეკრებილიყო — მეტყევე, პროდუქტების ჩასაბარებელი პუნქტის მმართველი, ზაზრის დირექტორი თუ სატრანსპორტო საშუალებების მეთვალყურე. ასეთები საძირკვლის მინას რუდუნებით ათხრევინებენ, სახლს კი შემადლებულზე აგებენ, თავი კათედრაზე რომ იგრძნონ, თუნდაც იქიდან დაბრეცილი გზა, ქვეაღრიანი დაბლობი და თუნუქის სახურავები ჩანდეს და მდინარე, მრავალი განშტოებით. ისინი თავს ჭინჭებით ინონებენ და მოქცევის წესსა და მანერებს ხვეწენ, უფრო შთამბეჭდავად რომ გამოიყურებოდნენ, რადგან იმ ხალხში ტრიალი არ უყვართ, ცხოვრების სიმძიმემ რომ დაამცრო და ნელში გასტყვა.

მზარეული იმდენად მსუქანი კაცი იყო, იქაურობის მეპატრონე გეგონებოდა. სუნელთა სურნელი ჭამის სურვილს უძლიერებდა. იმიტომაც იმარაგებდა მთრთილავ ნივთიერებებს, ორგანიზმში ბევრი სითხე რომ არ დაჰგროვებოდა. სტუმრები შესანდობარს სვამდნენ და გარდაცვლილებს იგონებდნენ. აუცილებელი სადღეგრძელოები რომ გამოლიეს, მგზნებარე სიტყვა ჯერ ექოდ იქცა, მერე კი სულაც მიინავლა. თვით ალექსი კი ვეღარაფერს ხედავდა. ხეტიალით გათივლილი ქვეყანა მისთვის აღარ არსებობდა.

როცა სუფრა ჩათავდა, თებე და ენვერი აღარ გაჩერებულან. სასადილოს მეპატრონეს თანხა გაუსწორეს და გარეთ გავიდნენ. სოფელს როცა გამოსცდნენ, ყოველი ბგერა მინწყდა. აღარც ცხენების ჭიხინი ისმოდა, აღარც დეზების ნკარუნი. ცაც კი ღრუბლებით დაიბურა, მსგავსად გვიმრის ფოთლებისა, სინათლე ძლივს რომ აღნეგს მასში, როგორც ჯირკვებით შემორაგულ ტყეში. თითო-ოროლა ქოხი თულა ხვდე-ბოდათ აქა-იქ. ღარიბთა დასახლება იყო. ფარღალადა ქოხები კედლები ისე დაჰბრეცოდა, სადაცაა ჩაინგრევაო. ლატაკები კი განაგრძობდნენ ჯავრით ცხოვრებას. ამ წესს ისე შესწვიდნენ, კიბის ჭრიალიც კი მოსწონდათ, სტუმრის მოსვლას რომ აუნყებდათ.

— ადამიანები განშორებას ადვილად ეგუებიან! — თქვა ენვერმა, — გორაკები კი არსად წავლენ, აქ დარჩებიან ერთგული მცველებით, მზემაც რომ მიატოვოს და მთვარემაც, ვარსკვლავთა გარემოცვით, ზურგი შეაქციოს და მთელი ამალით გაიკრიფოს!

ავტობუსი, სოფლის ბოლოში რომ ტრიალდებოდა უკან წამოსასვლელად, გზაში წამოუნიათ. მგზავრობა უღიმღამოდ გაინელა, როგორც უამინდობისას სჩვევია ხოლმე. როცა ქალაქში ჩამოვიდნენ, ენვერმა თებეს თავისი სახლი დაანახა, აქ ვცხოვრობო და როცა გინდა, მეწვიეო. ფეხით წამოსული თებე სახლში საღამოს მივიდა. ლამპიონების ელვარება რუხ შენობათა მრუმე ჩრდილებს შუქურასავით დასტრიალებდა, მსგავსად ათინათისა. თებემ ფანჯარა გამოაღო და იდაყვებით რაფას ჩამოყრდნო, იქნებ ნუგეშის ერთი სიტყვა მაინც გაეგონა, მაგრამ უმნიშვნელო ბგერაც არ ისმოდა, გარდა რომელიღაც მეზობლის ყრუ და შორეული ხერხინისა. თვით ღამის ჩიტებიც უმოწყალოდ დუმდნენ. როდის-როდის ვილაცამ ჩამოიარა და გამეტებით მოიხოცა ცხვირი. ღამის ცვლაში თუ გაცივდა, მორიგეობისას.

5

რამდენიმე კვირის შემდეგ თებემ ვერაფრით გაიხსენა, ოქტომბრის რომელი რიცხვი იყო ალექსის გარდაცვალების დღე. უნდოდა, ორმოცი თვითონვე გამოეთვალა. ბუნდოვნად მოაგონდა, გაზეთში ნეკროლოგის გამოსაქვეყნებლად მიმავალს ავტობუსის რადიოში მოსმენილი, საჰაერო დისპეტჩერების საერთაშორისო დღე რომ იყო და ავიაციაში დასაქმებულებს ულოცავდნენ. ამის შესახებ შესაძლოა კედლის კალენდარშიც ენახა. როცა შეამოწმა, მართლაც ასე აღმოჩნდა. ორმოცი ხვალინდელ დღეს ემთხვეოდა, მაგრამ მეზობლებს როცა აუწყა, მოუცლელობა მოიმიზეზეს.

თებე გარეთ ადრინად გავიდა. ქათქათა ხელებით შემკულ ქალბატონებს, ჩინური ფაიფურით ნატიფი და ყურძნის მტევნებით გამჭვირვალე თითებით ისე ეპყრათ რუხი ხელჩანთები, თითქოს ზედ რძე გადაღვრილი. დაცვენილი ფოთლები გაუხსნელ კონვერტებს ჰგავდა, დითირამების ამო მიძღვნას, ტყვედ ჩაჯარდნილი ოფიცრების სამხრეების აგლეჯას და ოქროსფერი ეპოლეტების აყრას, ხოლო ბუნების მებოტბედ ქცეული ქარი უჩინარი ცოცხით გამოგვიღო ქუჩას, ცაცხვების სურნელს რომ მოეცვა, მანანალა ბოშასავით მიჰკედლებოდა. იმ უდიდამო დილას თებემ ენვერი მოინახულა, ალექსი ყველამ მიივინყა, დღეს მისი ორმოცი და იქნებ ჩვენ მანაც აღგვენიშნა.

— ცოტაოდენი ფული მაქვს, წყნარი სასადილო ხომ არ გეგულება ახლომახლო?

ენვერი ნაცრისფერ პიჯაკში გამოეწყო და თებეს რომელიღაც კაფესთან მიუძღვა, სადაც უმეტესად ახალგაზრდებს მოეყარა თავი. დარბაზში ოცდაათიანი წლების მუსიკა გაისმოდა, გარდასულ დროთა მელოდია. ეტყობა იმ ეპოქის მცხოვრებნი რომელ ვარსკვლავზეც დაიბადნენ, აპოკალიფსის მინას ჰგავდა უსიცოცხლო ზედაპირით, გაქვავებულ ბელტებში წამახული ქიმები რომ გამოსჩნოდა, ოღორილოდ შექმნილიყო და ისეთი საზარელი ფერი შესძენოდა, გეგონებოდა, ზედ მუჟა გადაესხათო. იმ პერიოდში ლიფტის კარს ხელით კეტავდნენ, ხოლო რადიო ჯაზის დაუვიწყარ ჰანგებს აფრქვევდა. დარბაზის გაჩხინკულ კედლებს ზოგან ლურჯი საღებავი აქერცლოდა, თითქოს დახეული ჯინები ემოსათ.

ენვერმა ნაცნობ ადმინისტრატორს მიმართა, დაახლოებით მისი ასაკის რომ იქნებოდა, ადგილი მოგვინახე, მყუდროდ რომ მოვთავსდეთო. როცა მაგიდას მიუხსდნენ, ცოტაოდენი საჭმელი და ღვინო მოატანინეს. უღერადი ბეგრები იქამდე ვერც აღწევდა.

— ალექსი ომზე ხშირად მიყვებოდა ხოლმე! — წამოიწყო თებემ.

— ერთად წავედით. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ცვლილებების გვეჯეროდა. ერთუზიასტებს დავყვებოდით, შემართებით რომ იღვწოდნენ სამშობლოსთვის. პლაკატებს ბეჭდავენ და არასრულწლოვანებს ატანდნენ ქალაქის კედლებზე გასაკრავად, ისინიც რომ ჩაებათ დიად საქმიანობაში. სულ სხვა ვინმე იყო ალექსი. მას უნდა ვუმაღლოდე, ცოცხალი რომ ვარ. გონებით ერთთავად სამყაროს საიდუმლოებებს დასტრიალებდა. ყოველ წამს, როცა ამეებზე არ ფიქრობდა, დაკარგულ დროდ მიიჩნევდა. მარადისობის არასრულყოფილება მაშინ ვლინდება, მატერიალურ გაგრძელებებში რომ პოვნებსო გამოხატულებას, სანამ ისევ იდუმალში გადაინაცვლებდეს, როგორც არხი შედის მთის ნიაღში და დინებას მინის ქვეშ განაგრძობსო. ეს თაბაშირის დამტყრეულ ქანდაკებას აგონებდა, ლითონის გამოჩრდილი მავთულებით. ომში რომ გავიწვიეს, მარტი თვე დგებოდა, ქარის გამო რომ არ მიყვარდა. მტვერსა და ფოთლებს გვაყრიდა სახეში. ბინა ცივ ყაზარმაში მიგვიჩინეს. იქაურობა რომც დანგრეულიყო, არსად წავიდოდით. სამშობლოს ერთგულებას ვიჩემებდით. ისე მივეჩვიეთ ამგვარ ყოფას, გეგონება, არც ვარსებობდით. იმათ არ ვგავდით, ცივი ომის დროს თბილ წყალს რომ ნატრობენ და ამას დიდ ტანჯვად მიიჩნევენ. სანაპიროზე სროლები კი არ წყდებოდა. ზღვის ღელვა გამოქვაბულებამდე აღწევდა და ცხოველები ზემოთ ინაცვლებდნენ. წყალი იმდენად ღრმად გვეჩვენებოდა, კამკამაც რომ ყოფილიყო, მზერას ფსკერს

მინც ვერ ჩაგანვდნდით. ერთხელაც სასტიკ დაბომბვაში მოყვებით. ალექსიმ დაჭრილი მიპოვა და რამდენიმე კილომეტრი ზურგით მათრია. არეულობა რეალობაში მერეოდა და მხოლოდ მისი მხნე ხმა მაფხიზლებდა. ჩემზე დიდხანს იცოცხლებო, მანუგეშებდა. გონზე ჰოსპიტალში მოვედი. დარდის გამქარვებლად იყო გაჩენილი. მართლაც ხომ ასე მოხდა. გამოჯანმრთელი, მიბრძანებდა, საფლავამდე ნუ მათრევენებ შენ თავსო. ჯერ ხომ ცოცხალმა გამწყვიტე ქანცი, ახლა მკვდარმა გინდა, ბოლო მომიღო? — ლამის ხარხარი ამეტება. მაშინ გმირობა ყოველ ნაბიჯზე იყო, ახლა კი სხვანაირი დროა. პროფესორები ვიცე, დამბლა აქეთ დაცემული, დილაობით ურნებს ქექავენ, ნაგავი კი წაღებული ხვდებათ. განა ეს საქმეა?! — ენვერმა ხელი ჩაიქნია, მევე კი განაგრძო, — ჩემი ცხოვრება გადაფხვილ დაფას დაემსგავსა, დრომ ზედ მრავალი სახელი რომ წამალა, მაგრამ ალექსი ყოველთვის ოქროსფერი ასოებით ეწერება. ფიქრისას თვლებს მოჭუტავდა ხოლმე. ჭვრეტა მზერით განვლილ გზად მიანდა, რომელსაც შესაძლოა აღარც დასდგომოდა. ყოველ წერილმანს აქცევდა ყურადღებას. უცნაური ხასიათი იმიტომ ჰქონდა, თავის პრინციპებს არ ღალატობდა. არ უნდოდა, სხვის იმედზე დამარხულიყო. ბოლო პერიოდში პენსიიდან ორიოდე კაპიკს ყოველთვის გადადებდა ხოლმე და როცა ამას ვერ ახერხებდა, დერეფანში ბოლთას სცემდა ბრაგუნით.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა და დიდხანს გასტანა. ეტყობა, როცა ფიქრები მეტყველებენ, ბაგეები დუმან. გვიან შენიშნეს, მიმტანი სუფრის ალაგებას რომ შესდგომოდა. გარეთ გამოსვლისას ადმინისტრატორმა ჰკითხა, როგორი კმაყოფილები ხართო. როცა ენვერი მადლიერებას გამოხატავდა, თებე ერთმანეთის მიმართ თანაგრძობით გამსჭვალულ ძველი თაობის უკანასკნელ წარმომადგენლებს უმზერდა.

— გახსოვს, სახეზე ღიმილი რომ დასთამაშებდა? — ჰკითხა ენვერს.

— ეთერ-ქალმა ამიხსნა, ანგელოზებს ხედავსო, აი, იმან, შენმა მეზობელმა, ეკლესიურად რომ ცხოვრობს! — დაღლილი ხმით უპასუხა ენვერმა, — ნავალ ანი. როცა შეძლებ, მინახულე! ადრე უბრალოდ ვილგებოდი, ახლა სიბერის დაღლილობას ვგრძნობ. ეს კი სულ სხვა რამეა. ერთ რამეზე კი ვფიქრობ. ალექსის საფლავთან თავისუფალი მიწები ჩანდა. როცა ჩემი დღეები ჩათავდება, სიამოვნებით დავიმარხებოდი იქ. იქნებ უთხრა ჩემს მეზობლებს ამის თაობაზე. ვალდებულებად კი არ მიიჩნო, უბრალოდ ჩემი სურვილი გამოვთქვი!

ამ სიტყვებზე გარუჯული ხელი გაუწოდა. მაგ სურვილს მე აგისრულებო, აღუთქვა, ხოლო შინ დაბრუნებისას ერთხანს იმ სკამთან გაჩერდა, ალექსის რომ უყვარდა ჩამოჯდომა. ფერდობზე მრავალი ბილიკი მოჩანდა, მსგავსად პრიზმაში გარდატეხილი სხივებისა. მას უცებ ეთერ-ქალი დაადგა თავზე, შენო, კარგი ბიჭი ჩანხარო, მაგრამ გზებზე მოხეტიალე უნდა დაგარქვაო.

— ეთერ-ქალო! ვერაფერს დამარიგებ, გამოსადეგს, როგორც ამას ალექსი სჩადიოდა? თორემ ყველა გზას ჩიხთან მიყვარ! — დაიჩივლა თებემ.

— ყველა გზა ჩიხთან მიგიყვანს, გარდა იმ გზისა, რომელიც სხვა გზას გიჩვენებს!


— ეგ გზა სად ვნახო?

— მოგვივით უნდა მისდით ვარსკვლავს, საკუთარ გულთან მიმყვანებელს, ანუ იმ ბაგასთან, სადაც ღმერთკაცი იშვა!

— ეგ ვარსკვლავი სადღა ვეძებო?

— მკრეხელთა საუბარს ერიდე, მოედნების სტუმრობას და სინანული არ დაკარგო, მდინარის გასწვრივ გზა. რწმენა შეხვედრის სიხარულია. სამოთხის ნეტარი ბაღის გზა კედრონის ღელის გაღმა ბაღჩაზე გადის. დროის წყალობა თოვლივით დნება, რომ არ გაქვავდეს. ასეთი თოვლი ხშირად ქვაზე მკვრივია. ტვირთის ზიდვას სასჯელად ნუ მიიჩნევ. მისი შემსუბუქება ბარგის ჩამორთმევით ხდება მწვერვალის ზღურბლთან გამართულ ზეიმზე, სადაც ყველა თავმოწონება ქრება, ამ მწვერვალს კი მწყურვალნი იპყრობს...

იმ ღამეს თებეს პაპამისი და ალექსი დაესიზმრა, ერთმანეთში მხნედ მოსაუბრე. თებეს ეთერ-ქალზე უთითებდნენ, მაგას ყური უგდებო, ჩვენთანიაო. კიდევ ის დაამახსოვრდა, გაღვიძება რომ არ უნდოდა, იმდენად ტკბილი სიზმარი იყო.



რევაზ ტაკიძე

მაჯამაზი

ჩემთვის

სჩანს, ტრფიალი ხართ მაჯამის,
გთხოვთ, გამისინჯოთ მაჯა, მის...

არც ლექსი მშველის და
არც კაფია.

მოერია ბრაზი ლიას,
ვით ნაგებულ ბრაზილიას.

იმდენსა მთხოვს და მავალებს,
გადამკიდებს დამა ვალებს.

მხოლოდ ოქროს ზოდი აქო,
ასეთი აქვს ზოდიაქო.

ვერ აიღებს ეგ „დო“-ს,
სცენაზეც რომ ეგდოს.

რთულს შეეცვლი ისევ მარტივით
და მეც ავურევ მარტივით.

მეტრი — მეტრია, ვერსი — ვერსია,
უნდა ვთქვა, არც მაქვს მე სხვა ვერსია.

რა დარია, რა დარი,
აფიქსირებს რადარი.

როგორ შემხედავ, რა პირით,
თუკი დამჭერი რაპირით.

გააგზავნეს ამანათი,
იმან ერთი, ამან — ათი.

ან არ მოდიხარ, ან აგვიანებ,
მოხვალ და... ადგილს ანაგვიანებ.

მე არ ვთვლი, რომ მაგარია,
სხვას უმღერე მაგ არია.

შეასრულა ბისზე
რაველი და ბიზე.

ვფიქრობ ჩეხოვთან არ ღირს კამათი:
„სჯობს, მსხვერპლი იყო, ვიდრე
ჯალათი“.

ჩემთვის

მე გზა ვერ გამიკაფია,
არც ლექსი მშველის და
არც კაფია.

კაცმა უნდა მოიცალოს,
ბალახი რომ მოიცელოს.

არც ამისტი, არც იმისტი,
ვარ უბრალოდ პესიმისტი.

ჩვენი წყნეთის ვერანდა
ნახდა, სულ გავერანდა.

დაბომბეს სევასტოპოლი,
დარჩა სევასტი ობოლი.

გასტროლებზე ისრაელის,
არვინ იცის, ვის რა ელის.

ერთი კარგი ქეიფი,
მერე თუნდაც დრეიფი.

ისე უხდება ლოტის ბარი,
როგორც კაპელას ლოტბარი.

ბაგე როგორც სავიზიტო ბარათი —
ანდამატი მუდმივი და მარადი.

უნდა იყოს კაფია,
მოკლე — მაგრამ მკაფიო.

ყველას ყველაფერი აპატია,
მიტომ დაემართა აპათია.

სიცოცხლე როცა
წამი-წამზეა,
ყველა ქართველი
კამიკაძეა.

ჩემზე არ თქვათ —
იყო, გაქრა,

ასე ბრძანეთ:
ენტო...
ჩაქრა...



რაულ ჩილაჩავა

დღესვე და ახლა

„მერე“ არ დარჩა, ყველაფერი — დღესვე და ახლა! „მერე“ თქვენ გქონდეთ, დღეს მომეცით ის, რაც ჩემია! მე ბევრი რამე განმიცდია და მიგემია და თუკი მაინც არ მეტყობა აქამდე დალლა, თვითონ ხომ ვიცი: სად, საიდან, რისთვის და რატომ, ვინ არის ჩემთან, ვინ — არასდროს აღარ იქნება... რა მელექსება, ღმერთო ჩემო, რა მენიგნება, სიმართლეს ვეძებ, თორემ ისე — „ამიკუს პლატო!“ დაიწყო უკვე სარწყუნისი, მალე იგრეკაც შემოვა, თუმცა ეს იქნება ერთი თვის მერე, მე კი დღეს მინდა ყურს ვუგდებდე სანუკვარ ბგერებს, ვიდრე ჯერ კიდევ არ ვქცეულვარ იქსად, იგრეკად. შენზე ფიქრები დავიგულე საკუთარ სახლად, თვითონვე მზიბლავს მისი სითბო და სისადავე. ოღონდ ეგ არი: შესართავად იქცა სათავე და ამიტომაც — ყველაფერი დღესვე და ახლა!

განდობილი მაქვს რიჟრაჟისთვის გულისნადები...

მე უფრო ხშირად ის მეძლევა, რაც არ მინდოდა, ცუდს და უარესს შორის მიწევს ბედის არჩევა. ბევრ სასახლეში, რომც მეხვეწონ, მაინც არ შევალ, უწინამც მზეერას დამიბინდავს რაზმი ინდოთა. ხშირად მეცემა ჩრდილი დღეთა უამინდოთა, ვთამაშობ, თუმცა თამაშვარე მოთამაშე ვარ, ყვავ-ყორნებს ბევრჯერ დავუპირე მკაცრად აქმევა, მაგრამ ყოველთვის ნავებორძიკდი ტიალ მინდორთან. საითაც წავალ, სიბნელეა, ვიცი უცილოდ, არაფერია სიბნელის და არაფრის გარდა. არღვევს სიჩუმეს მხოლოდ შორი ზუზუნის ქართა, ღამეს უძილოს ენაცვლება ღამე უძილო. განდობილი მაქვს რიჟრაჟისთვის გულისნადები... მე მასთან მუდამ ახლად ვწნდები და ვიბადები!

*ნამწამების მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“.

ალვა

მე რომ მეგონა გამივლიდა, არ გამიარა, მტკივა სისხამზე, მტკივა დღისით, მიმწუხრზე მტკივა, ცეცხლი მედება, თითქოს ვიყო გამხმარი თივა და იარაზე შემატება ისევ იარა.

თოვლი მოსულა, მე კი არა გამიგია რა, მოგონებები ასხმულია ცრემლების მძივად. მე შენ მჭირდები, როცა მცხელა და როცა მცვივა, და როცა შორს ხარ, თავზე მადგას დარდის ტიარა.

ამოვიარე აღმართები, ცოტალა დარჩა ბოლო მიჯნამდე... ქარაფი და კბოდეა შემდეგ და მათ გადაღმა მარტოსული შრიალებს ალვა.

ის ალვა შენ ხარ, იქ შენს გარდა არავინ არ ჩანს. მე ბევრი რამე ვისწავლე და ბევრს ვსწავლობ დღემდე, მაგრამ ვერაფრით ვერ ვისწავლე ტკივილის მალვა!

მიზაჲ-შაღაბი

მიზეზს რა დალევს, თუ შედეგი წინასწარ იცი, რომც არ იცოდე, შედეგს მაინც ვინ გაქცევია! ველს გადაივლი და ველს მიღმა უკვე ხევი და ლალატს უდრის გატეხილი სიტყვა და ფიცი.

ჭიხინებს სადლაც, თითქოს რემას მომწყდარი კვიცი, გაიხედავ და: ტყე — ნატყევი, გზა — ნაგზევი, ზუზუნებს ქარი... ასე მხოლოდ ზამთარს სჩვევია, და უცხოდ მოჩანს გასაყარი ცისა და მიწის.

ჩვენ ბოლოს ვხვდებით, საქმე ასე რატომ წავიდა და არა ისე, როგორც თვითონ გავგახარებდა, რატომ ჩაირთო, ვთქვათ, შუამანი და არა ბიზე,

და სანამ ვცოცხლობთ, ჩვენ ცხოვრებას ვინყებთ თავიდან, ვდგავართ, ვლოცულობთ იმედების მალალ კარებთან და აღარც ვარკვევთ განსაცდელის და მარცხის მიზეზს.

და... ორთაჭალის სანახებში ყივის ხონოზი...

თბილისურ ზამთარს ვეგუები... უცნაურ ამინდს... ხან წვიმა მოდის, ხან ქარია, ხანაც დარია. შორი დაისი დაფერფლილი დღის ღაღარია და ამ ღაღარში ნაპერწკალს ჰგავს ყოველი წამი.

ვიხსენებ ქუჩებს, შესახვევებს, სახლებს, სართულებს, ბევრი გამქრალა, ბევრსაც კიდევ ვერ მივაგენი. ნასულან უკვე ჩემი სათნო მოამაგენი, აქა-იქ ვხვდები უშქარ ხალხში ტკბილმოქართულეს.

დავდივარ, როგორც ჩამოსული დროის მანქანით, ველარ გამომაქვს შინაარსი ქართულ აბრიდან. და ჰა, ნანატრი ფანტელებიც შემომაფრინდა და ბავშვის ხელით გადაწერილს ჰგავს ფილაქანი.

ვიტოვებ სივრცეს ოცნებაში, ჩემთვის მოლობილს, ვაგრძელებ ძებნას სიჭაბუკის ნაფეხურების... ვაცეცებ თვალებს, ქცეულია სმენად ყურები და... ორთაჭალის სანახებში ყივის ხონოზი.

...და თოვლის მტრადი გაფრინდება ზამთრის უბიდან

ყინვის ეშვებით ალიონი კარებს ანვება, მაგრამ აკავებს ჩემი დარდის მძიმე ურდული. ნუხანდელს აქეთ გრძნობებისგან ვარ გაქურდული და თუ მიშველის — ეს ზამთარი ცისფერღანვება.

მე დავდგამ ყავას, გავიხედავ თუ მოდის მტკვარი, სანაპიროზე მანქანები თუ მიმოდინან. ეს გათენება ჩემს სხეულზე თითქოს ლოდია, და მე არ ვიცი, ცოცხალი ვარ თუ უკვე მკვდარი.

ცისკრის ვარსკვლავმა ჩემს ფანჯარას შუქი ასხურა, დღისთვის ერთია, ის თენდება, გილხინს თუ გიჭირს, ვუსმენ ქუჩაში მეეზოვის ურიკის ჭრიჭინს, ასანთს პასუხობს ლურჯი ალით ფიცი გაზქურა.

სიყვარულს ჩემსას გუშინ ჰქონდა დაბიღები და ახლა გლოვა აქვს, დაუშვია მრუმე ფარდები, მაგრამ გაუვლის... მალე ისევ შეეყვარდები და თოვლის მტრედი გაფრინდება ზამთრის უბიდან.

„მტკვარი ახლოა...“

„მტკვარი ახლოა...“ არა, თავის დახრჩობა არა! უბრალოდ, ლექსი გამახსენდა, ლექსიდან — ფრაზა... შორ მოგონებებს საგანგებო ავხსენი რაზა, ალტკინებისთვის, ო, რა ცოტა, რა ცოტა კმარა!

„მტკვარი ახლოა!..“ — ამეშალა ფიქრების ფარა, ვიხსენებ შორი სიჭაბუკის შნოსა და ლახათს, როცა ოცნებამ ლაჟვარდებში წრეები ხაზა, და ვნების ცეცხლმა არ იცოდა რას ნიშნავს: „კმარა!“

„მტკვარი ახლოა!..“ — ერთი წლის წინ ის იყო შორი, და მე ვხედავდი დაჟინებით, თითქოს ნაპირთან აბია ნავი და იალქნებს ჯიუტად არ შლის...

ახლა კი მტკვრისგან მე მაშორებს ნაბიჯი ორი, ცხოვრებამ ერთხელ ამისრულა, რასაც დამპირდა და ჩემი ლანდი ირეკლება ახალწლის მტკვარში.

და ნელთაღრიცხვას ჩვენ დავიწყებთ ისევ თავიდან...

ჩემი ოჯახი სამგან ხვდება ახალ წელს ახლა, შვილი — კიევში, შვილიშვილი — ლისაბონში და თბილისში — მე და ერთი შვილი... ისე მომშვიდა კვლავ ერთად ყოფნა... ღამისთევა...

ალერსით დალლა, რომ აღარც ვიცი, როგორ ავხსნა ამგვარი განცდა: ველარ ვიძინებ, ვერც ვერავის ვშველი აქედან!.. ნუხელ ჩვენს სახლთან

კვლავ მოფრინდა თურმე რაკეტა და, როგორც მითხრეს, მადლი უფალს, მცირედით ასცდა.

ამხელა მინა როგორ დანვეს, როგორ დაბუგეს, როგორ აქციეს ნაცარტულად ქვეყანა-ბალი! თითქოს დამექცა თავზე ჩემი წარსულის თალი, თითქოს ხანძარი წაუკიდეს ჩემს სიჭაბუკეს! სხვა რალა დამრჩა!.. გამარჯვების რწმენით ავიტან მე ამ დარტყმასაც... მოვესწრები უმცროს-უფროსთა კვლავ ერთად შეყრას

საზეიმოდ გაშლილ სუფრასთან... და ნელთაღრიცხვას ჩვენ დავიწყებთ ისევ თავიდან.

კიდეჲ კარგი, რომ მე სისხლიანს გავცდი ნაპირებს...

მოსაწყენია ჩემი გვერდი... მხოლოდ ლექსები! ლექსებს ყველა წერს, ჩემი ლექსი ვის უნდა, აბა, როცა გარშემო უთვალავი შრიალებს კაბა და მხოლოდ მათკენ მიილტვიან გზები, ეს გზები! აქაც სიცივე, სიმარტოვე, კანკალი, შიში და გულგრილობის უსამველოდ თმენა და თმენა. მე შევისწავლე, მგონი, კიდევ დუმილის ენა და ამ ენაზე ვლაპარაკობ შფოთიან ძილში. ჩემი წიგნები თაროებზე ბელურებს ჰგვანან და რა ხანია არ მსმენია ჟიჟივი მათი, ელვარე სხივებს თითქოს სხვაგან აგზავნის მნათი და სიბნელეში ბედნიერი ვიქნები განა! მე მთელი წელი დაუნდობლად წამართვა ომმა, რომელიც დღემდე გაჩერებას აღარ აპირებს. კიდევ კარგი, რომ მე სისხლიანს გავცდი ნაპირებს და თავშესაფრად ულალატო ლექსები რომ მაქვს.

მიდი და სცადე გაარკვიო მტყუნ-მართალი!

მე არ ვკითხვლობ, ერთმანეთზე რას წერო ყრუები, მით უფრო — ბრმები!..

და ის ყუთიც არ მაქვს ჩართული, სადაც სულს ღაფავს ღვთაებრივი ენა ქართული... და მე ამ ყოფას, რა ვქნა, ვერა, ვერ ვეგუები. როგორ მეგონა, როგორ მწამდა, როგორ მჯეროდა, რომ ჩვენ ვიყავით უფრო დიდი, უფრო მაღლები, მაგრამ ვყეფთ როგორც ცოფიანი ავი ძაღლები და ნაღველს ვანთხევთ სიძულვილის შავი ჩეროდან. ესაა ჩვენი „ცხოვრება“ და ჩვენი „აზმანი“, და შიგ რას ჩავწერთ,

თავს მყოფადთან რით გავიმართლებთ! ჩვენს ნათურებში ინურება თითქოს სინათლე და წინაპრებთან შედარებით ვართ მონაზმანი. სხვის ომში შმაგებს საკუთარში არ გვყავს სარდალი, სხვის საქმეს ვარჩევთ, საკუთარში ვართ დაბნეული. ენა მას ამბობს, უკარნახებს რასაც სხეული... მიდი და სცადე გაარკვიო მტყუნ-მართალი!

ჩემი სამშობლოს ბრანო და ყრუნი!

რომ შეაყენონ კოცონზე მართლა,
რამდენი იტყვის: „ის მაინც ბრუნავს!..“
თუ ხედავთ სადმე, თუნდ ჰორიზონტზე
თანამედროვე ჯორდანო ბრუნოს?
დღეს ერთს ამბობენ, ხვალ კიდევ სულ სხვას,
ზეგ კი არ ახსოვთ არც ერთი უკვე
და მე არ მიკვირს, არ მიკვირს როცა
მტერი თავის მტერს გუნდრუკს რომ უკმევს.
მტერი?... ეს იქნებ არის თამაში
და ჩვენ თვალეში ნაცარს გვაყრიან.
სხვა რა ახსნა აქვს, ძველი მოქიშპის
წინ მოქიშპეს რომ თავი დახრია.
მოდით, მოგროვდით, იგრძენით ერთად
ჩემი სამშობლოს ბრანო და ყრუნი,
როგორ ტრიალებს სანუთროს ჯარა
და ბრუნავს თავის საფლავეში ბრუნო!

ღამეული ღოცვა

ხუთ წუთში დაწერილი ლექსი

ომმა ანენა ჩემი ცხოვრება —
ლისაბონშია პანია ევა
და ჩემს გულსა და სხეულზე გადის
მსოფლიოს ბზარი და ფუძის რყევა.
თითქოს ვიცი, მაგრამ მე ვტირი,
თითქოს მე ვდგავარ, მაგრამ მე ვწევარ
სისხლში, ტალახში, მუხლამდე თოვლში,
რადგან შორსაა კუდრაჭა ევა.
მე ზოგჯერ ვფიქრობ: სულ სხვა ვინმე ვარ,
და უცებ ვხვდები: ეს მე ვარ, მე ვარ,
ვისაც ევროპის ბოლო სამანთან
გახიზნული ჰყავს სისხლ-ხორცი ევა.
ღმერთო, რის გამო ამდენი ტანჯვა,
ამდენი შიში და ღამის თევა!..
შენ დაიფარე ტარასის მიწა,
ჩემი ოჯახი და ციციქნა ევა.

ბარბარა

ჟაკ პრევერის მოტივზე

შენ გახსოვს, ბარბარა,
მწანამულ თალებთან
მზე დილას ალებდა
და იყო ჟიჟიჟი
მხიარულ ჩიტების,
შენ პიანისტივით
გითრთოდა თითები
და დაკვრას ცდილობდა
სხივების არფაზე...
შენ გახსოვს, ბარბარა,
ვეება დარბაზი
და ტაშის გრიალი,
იქ თითქოს შემთხვევით
გამოჩნდა გრაალი
და შენ მუხლმოყრილად
თასის წინ ილოცე.
შენ გახსოვს, ბარბარა,
უნათლეს ტილოზე
უბადლო ოსტატმა
როგორ გამოგასახა.
შენ ხან ახლოსა ხარ
და თანაც შორსა ხარ,
ბარბარა!
შენ გახსოვს, ბარბარა,
ის წამი შეხვედრის,
როდესაც ნისლევის
მორევში შეხვედი
და გაუჩინარდი,
ბარბარა!
მე არა, არ ვფარავ,
იმ ნაღველს, იმ ტკივილს
და შენს ნაფეხურებს
კვალდაკვალ მივიკვივ:
ბარბარა!
შენ გახსოვს, ბარბარა,
დაუშვა წვიმა და
სიცივემ იმატა
და მე ზეცისფერი
ქოლგა გაგიშალე,
შალე არ ჩანდა და
გული გაგიშალე,
ბარბარა!
დღეები გაფრინდნენ,
როგორც მწყერჩიტები
და მე მოგონების
ძაფებს ვეჭიდები,
როცა გვასველებდა
ჩვენ ცაიერადი
და ჩემად გასახვდა
ოცნება ფერადი,
ბარბარა!
ის ბიჭი გამხდარი,
ოდნავ ნირნამხდარი,
თან რომ მოგყვებოდა,
შენ გახსოვს, ბარბარა!
ბარბარა!..



გიო ზედვაკელი

სიზმარი სიზმარში

დიდი ხანია, მძინავს, სიზმარში სიზმარს ვხედავ,
არაინაა ირგვლივ გამლები ხმის და ჩქამის.
მხოლოდ შენ მოხვალ ჩემთან, თმაშევერცხლილო დედა,
და მოგიყვები ჩემზე — უკვე მომხდარს და ჩავლილს,
მაგრამ ვერ ვიზამ ისე, რომ შენც დარდისგან დადნე.
შევალამაზე ამბებს, როგორც ნაძვისხის ტოტებს.
კი ვტყუი, მაგრამ თავთან ხომ მართალი ვარ ცამდე?
მინდა, სასთუმლად შენი თბილი კალთა რომ მქონდეს.
ბარდნის. მარტო ვარ, მცივა. რა შურიანი გავხდი:
ფანჯრიდან მოსჩანს ტაძრის ეზო — არც ისე ვრცელი,
გადავსებულა უკვე უფლის მოშიში ხალხით,
თითქოს ერთ ასკეტს მეძებს ათასი მომლოცველი.
მე რომ არც ღმერთის მჯერა,
მე რომ არც მოძღვრებს ვუსმენ,
ვერ მორევია ჯერაც ყინვა ჩემს შიშველ ქუსლებს.
როგორ ვინამო ვინმე, ჩემი თავის რომ არ მწამს,
მე ვერ გავხდები გუბე, მე ვერ მოვიშლი წანწალს:
მე გადავლახავ ანდებს, მე გადავლახავ მონბლანს.
ემშაკი ჯოხით დამდევს და სადაცაა მომკლავს.
ვიბორილებ ქარში და ქარებისგან ვნებულს,
კანს დამიფარავს ციდან მოსული სიტყვის თოვლი.
აი, ამ ლექსით ვინყებ რიგით მეორე კრებულს
და ჩემი სულის ოთახს ისევ არეულს ვტოვებ.

ხვალდან კარგად არაფერი აღარ იქნება


ხვალდან კარგად არაფერი აღარ იქნება,
სახლიდან სიცილი გაიქცევა და ეზოგადაღმა
რომელიმე ორმოში დაიდებს ბინას,
თავზე ხმელ ფოთლებს ნაიფარებს
და ჩემს განწირულ ხმაზე ბავშვივით დაიმალება,
იატაკიდან მორიელეები ამოვლენ:
სულს რომ დამიკბენენ,
მერე გულის გზებს მოიძვევენ ყიჟინით.
გამელვძიება:
თვალეებს მოვიფშვნებ —
და როცა უნდა გავილიმო,
და როცა შვება უნდა ვიგრძნო,
და როცა უნდა გამიხარდეს,
რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო,
ცხადის კოშმარი შემომიღრენს და
ცოცხლად დამინყებს ჭამას...

ას იყო ჩემი ცხოვრების კინო

ამ ქარს რა უნდა,
მკვდარს რომ შემომდგა,
და დამტვრეული ტოტებით მლენავს?
სულ ერთი არის, ახლა ამაგლეჯ,
თუ დამიტოვებ სხეულზე ზენარს —
მკვდარი ვარ, ღმერთო —
და განწირული...
ისმის ჩემი ხმა ბნელი ხაროდან.
მეც ბედნიერი ვიყავი ერთ დროს,
მეც ვილიმოდი,
მეც მიხაროდა.
ეს იყო ჩემი ცხოვრების კინო,
გასდევდა მუდამ ცრემლის ტიტრები.
როგორც ჟანგისგან შეჭმული რკინა,
მინაზე ვგდივარ და მეფიქრები!

ვინა ვარ?

ვინა ვარ? თუ ამ ლექსის დასაწყისს
შეხედავთ, სიტყვით ისე დაცურავ
სიტყვაზე, როგორც ძველი სერფერი,
ისე უშიშრად და მამაცურად...
მინაზე ფეხით როგორ გავივლი?
პოეტებს ლურჯი ზღვები შეგვფერის!
გულზე დამდგარი ჩემი თავივით,
მძულს დედამინა — უმნო, ბებერი.
ვინა ვარ? ზოგჯერ ნისლთა მარეკი,
ცაზე მწყემსების მწარე სახრეთი.
ხან ეშმაკები შემეფარებენ,
ხან ღმერთთან ახლოს დავესახლები.
ხან ჩრდილოეთის მხარეს გავქუსლავ,
ხან შემეფარებს ცივი სამხრეთი.
დიდი ხნის წინათ მიხმო ბახუსმა,
რა თავს ვინონებ ლოთის სამხრეთი?
გუშინ ცას მოვწყდი მკვდარი ჩიტვივით,
მლოცავს ქუთათელ-გაენათელი.
დილით ვრგავ ბაღში კიტრის ჩითილებს,
სალამოს უნდა ვთვალო სანთელი,
ვისთვის — პოეტი — დამენათევი,
ვისთვის სიკეთით სავსე მნათე ვარ.
მაგრამ, ვინ იცის, რომ ჩემი თავის
დიდი მტერი და მოლაღატე ვარ?!



დაბიუტი

ნუცა ხრიკული

 რა რთულია, იყო მარტივი...
 შენ, მეგობარო...
 შენ, ვისაც არასდროს შეგშინებია,
 ჩაგეხედა ჩემს დღენაკლულ სულში...
 შენ, ვისაც ფეხის ტერფებზე ტალახივით აკრული
 თან დაგყვება წარსულის სევდა.
 და განა მხოლოდ წარსულის?
 რა არის ჩვენი სიცოცხლე...
 ჩვენი, ვინც ვერ ვისწავლეთ სიმშვიდე,
 გავაცდინეთ ყველა გაკვეთილი,
 და ჩავრჩით...
 სკოლის მერხებმა შეგვიზარდეს...
 და ბავშვური გულბრყვილობით
 დღემდე ყველაფრის გენამს...
 რად ღირს ჩვენი მარცხენა ნახევარსფერო,
 თუკი არავინაა წამკითხავი...
 და მითუმეტეს — მკითხველი...
 დრომ გადალენა ყველა სხივი,
 ისევ ილიმი, როგორც ადრე,
 ან უფრო ფართოდ...
 სახეზე — უდარდლობა,
 სულში კი უტრილოს სიგიჟე.
 შენ, მეგობარო...
 შენ, ვისაც არასდროს შეგშინებია,
 ჩაგეხედა ჩემს დღენაკლულ სულში...
 და გეთქვა...
 — „რთულია, იყო მარტივი...
 მაგრამ კიდევ უფრო რთულია,
 იყო ის, ვინც ხარ...“
 შენ, მეგობარო,
 შენ უნდა გითხრა...
 ადრე თუ გვიან, ყველაფერი მწყობრში ჩადგება...
 და თუ მაინც გვიან აღსრულდა,
 მით უკეთესი...
 განა მე და შენ, მეგობარო, ჩვენივე ნებით
 არ ავირჩიეთ ქაოსი? —
 ღვთაებრივი კომედია.

შუალაის მონოლოგი
ოქტომბერი ჩემი თვეა

ზის შემოდგომა ჩემს ფანჯრებთან და ველარც ტირის...
 თითქოს ტკივილებს გულში იკლავს, ან შეეგუა...
 ცივი ქარები ბოლოსკენ და ერთბაშად იცის,
 ჩემს ხასიათსაც ამ თვის ყველა შტრიხ-კოდი დაჰყვა.
 დრო ახლა მხოლოდ საკუთარ თავს მიათრევს გზაზე...
 დღეს ღამე შეცვლის და ოცნებობ, აღარ გათენდეს.
 მე ისე მიყვარს შემოდგომა, ძვირფასო ელის...
 მზად ვარ ახლავე, მის მკლავებში უდროოდ მოვკვდე...
 შენ, მეგობარო, ჩემზე დიდად ნულარ იღვლევა...
 მე ამ თვემ მშობა, მის ხელშია ჩემი სიცოცხლეც...
 სევდას კაემანს შემოდგომას ვერ დაუმალავ,
 როგორც გაზაფხულს სიყვარულს ან ზამთარს —
 ცივ ღამეს...
 რა ვუყოთ, თუკი გაჩენიდან სიკვდილზე ვფიქრობ,
 ხმელი ფოთლების სუნი ასდის ჩემს შეშლილ ფიქრებს...
 მე წელსაც ძველი ნაცნობისგან წერილებს ველი —
 ის, რა თქმა უნდა, ჩემთან მოსვლას დააგვიანებს...
 ისევ აქვე ზის შემოდგომა და მე დამტირის...
 ალბათ ტკივილებს ველარ იტევს, ვერც შეეგუა...
 მე ისე მიყვარს ოქტომბრის თვე, ძვირფასო ელის...
 მზად ვარ, ახლავე მის მკლავებში თავი მოვიკლა...
 ცივ ღამეს...

 ქარის ხმაურია მხოლოდ,
 რატომ აგიჩქარდა პულსი...
 მე და ღამემ ვიცით მხოლოდ,
 რამდენ ნილაბს მალავ სულში.
 ქარის ხმაურია მხოლოდ,
 რატომ გაგელვიდა ღამით,
 რატომ გეეჭვება, იქნებ
 შევძლო დახმარება რამით.
 ქარის ხმაურია მხოლოდ,
 გარეთ გეშინია გასვლა...
 როგორც ივინყებენ ამინდს,
 ისე დაგივინყა ხალხმაც...
 ქარის ხმაურია მხოლოდ,
 ასე მეგონა და ახლა
 ფარდებს აფრიალებს ქარი...
 შენი სილუეტიც გაქრა...
 ახლა მარტოობა მიჩვევს,
 ახლა გავერჩიო, როგორ,
 შენი ხმა არის თუ ისევ
 ქარის ხმაურია მხოლოდ.

 მე თავად ვარ იმ ყველაფრის არქექტიპი,
 რაც აქამდე მიწერილია
 და რასაც დავწერ...

გამარჯობა,
 მე ვერ გამომსახავ ერთი სიმბოლოთო
 გამოქვაბულის კედელზე,
 რადგან შენ ვერასდროს გაიმარჯვებ ჩემზე...
 და თუკი ოდესმე კიდევ გამოიგონებენ ბორბალს,
 მას აღარ ექნება სფეროს ფორმა,
 რადგან არ არსებობს სრულყოფილება,
 რომელსაც არასდროს მოვუყვანივარ შენამდე...

როცა შენი ცოლი
 მაყვლის საკრეფად გამოდიოდა,
 მე ტუჩებზე ვისრესდი
 მისი კალთიდან მოპარულ
 მაყვლის ნაყოფს...
 და მას ვერც კი წარმოედგინა,
 როგორ გავინყებდა ყველაფერს —
 იისფერი ტუჩის სურნელი...
 შენ იყავი სიყვარულის ერთმნიშვნელიანი გამყოფი
 და შენი სიმბოლო იყო — 7.
 და იყავი ერთადერთი, რომელიც მიხვდა,
 რომ მე ვიყავი — 8,
 თუმცა არასდროს დახატავდი შენს სახლში
 ჩემს პორტრეტს ქვის კედელზე...
 განა იმიტომ, რომ
 საკუთარი თავის სიმცირეს შეგახსენებდა,
 ან ცოლი იეჭვიანებდა...
 შენ იცოდი, რომ ის 1 იყო და
 ვერასდროს მიხვდებოდა რას ნიშნავს — 8...

მაგრამ გავიოდა წლები
 და მოვიდოდა
 ვილაც უცხო...
 იხილავდა პორტრეტს
 და
 სხვა მნიშვნელობით
 უკვდავმყოფდა ისტორიაში...

შენ სულ ამაზე ფიქრობდი ნადირობისას
 და
 სახლში დაბრუნებულს
 ცოლი ნახშირს გაჩეჩებდა ხელში...
 და შენი ცოლი გავდა
 დამარცხებული მამონტის ცოლის თვალებს...
 და შენ აღარ ბრუნდებოდი ჩემთან...
 ტუჩებზე ისრესდი მაყვლის ნაყოფს...
 და იყავი სიყვარულის ყველა განაყოფი...
 შენ 7 იყავი...
 და მოკვდი სამუდამოდ...
 მე კი უსასრულო რვიანი...
 ანუ საკუთარი თავის არქექტიპი...

მე უარყვავი სფერო,
 რომელმაც ვერასდროს მომიყვანა შენამდე...
 მე გამოვიგონებ ბორბალს,
 რომელსაც მაყვლის ფორმა ექნება.

 ღმერთო,
 შენ თუ მაპატიე
 მისი სიყვარული?
 რა არის სწორი...
 მინდა ნიშანი.
 და თუკი
 მისი თითების მწამს,
 როცა მეხება თრთოლვით,
 გცოდავ, უფალო?
 და თუკი გავჩნდი
 მხოლოდ იმისთვის, რომ მყვარებოდა...
 რატომ არ ქვია ჩვენს სიყვარულს
 შენი სახელი.
 მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...
 არა ვარ მეტი, არც ნაკლები,
 ვინც ევა იყო...
 რადგანაც ვჭამე ნაყოფი სიყვარულისა
 და ვუნწილადე...
 და გავაშიშვლეთ ეს სულელები სხეულებისგან
 და დავინახეთ უხილავი სისუსტეები...
 და მაინც გვიყვარს...
 უფალო, თუკი რამე შეგცოდავ,
 მხოლოდ იმიტომ, რომ
 საკუთარ თავს
 დანიშნულება ვერ მივანიჭე,
 გარდა ერთისა...
 და სანამ, ღმერთო, სამოთხიდან გამოგვიშვებდი,
 რატომ არასდროს არ გავაფრთხილე,
 რომ სიყვარული, რომელიც დარგე...
 რომ სიყვარული, რომელიც მორწყე...
 რომ სიყვარული, რომელიც გვერგო —
 არ გვეკუთვნოდა...
 რომ დავკარგავდით
 სამოთხეს და
 სულის სიმშვიდეს...
 და — ერთმანეთსაც —
 დროებით და
 გაუთავებლად...
 შემინდე, ღმერთო,
 შენს სახელს რომ თითებზე ვიხევე...
 და მაპატიე,
 რომ არ ვნანობ ჩემს სიყვარულს
 და
 ან და მარადის
 უკუნიითი უკუნისამდე
 მასზე ვილოცებ...
 ღმერთო, შენ კი ნუ გენყინება...
 დავიმსახურეთ...
 გაძევება, გადასახლება...
 სხეულჩაცმულნი რომ დავდივართ
 არა მხარდამხარ...
 ან ჩემი სულის უკვდავება გადაიფიქრე...
 ან დამაბრუნე ისევ იმ ხესთან,
 კვლავ მასთან ერთად...
 რომ კიდევ ერთხელ მისი მნიფე ნაყოფი
 ვიგემო და
 ვუნწილადო...
 შენ ხომ მაპატიე
 მისი სიყვარული,
 ღმერთო...

 თეორიები დამტკიცებებს მოითხოვენ...
 აქსიომები ძლიერი მოქმედების,
 თუმცა მხოლოდ დასამახსოვრებლად და
 გასაზეპირებლად
 საჭირო ელემენტებია...
 გულში ხვრელებია...
 გალაქტიკის მასშტაბით
 ყველაზე გამანადგურებელი
 შავი ხვრელები...
 შთანთქმეს ყველა მზის სხივი...
 ჩამითრის უსასრულო მოძრაობაში
 გაჩენის დღიდან სიკვდილისჯილ
 ვარკვლავებთან ერთად...
 დამარხეს ამ გაურკვევლობაში...

ხაზები...
 ფერები...
 შავი...
 ჩემი ფერია შავი...
 ყველაფერი ერთად...
 ქაოსური სიმშვიდე...
 და ენითაუნერელი
 უნდობლობა
 საკუთარი ფერის...
 საკუთარი თავის...
 უნდობლობა და
 შიში
 სიბნელის...
 საფეთქლების ყრუ ტკივილს
 ერთვის
 მხრების
 დაძაბულობა
 და
 მე ვხდები
 რობოტულად უხეირო...
 ამას დამტკიცება არ სჭირდება,
 ყველაფერი სახეზეა...
 უფრო თვალეში...
 მტკივა
 უშენობა
 და
 ეს ტკივილი თუ არასდროს გაივლის,
 მე ვიცოცხლებ დიდხანს...
 სანამ იქნები შორი...
 სანამ იქნები
 შეუცნობელი...
 სანამ
 ისე გამიშინაურდები,
 რომ
 ღამით შუქის ჩაქრობა
 მხოლოდ წინა თვის ქვიტორის
 სამი ციფრის გამო
 იქნება პრიორიტეტი...
 ვენამები ტკივილებს,
 რომლებიც
 მკვებავს...
 და ეს უტოპიური
 კავშირია
 ყველა ალოგიკური გრძნობის
 და მოქმედების
 სანყისი...
 მომწონს, რომ მტკივა
 და მტკივა, რომ მომწონს...
 ის, რასაც ვერასდროს ავხსნი...
 საფეთქლები მიხურს...
 ვიბრაციულ მოძრაობას ვგრძნობ გულამდე,
 საიდანაც რამდენიმე დღის წინ
 სულ სხვანაირად გადაიტუმბებოდა სისხლი...
 გაზაფხულია.
 როგორც ყოველთვის...
 როცა
 რაღაც უნდა შეიცვალოს...
 მე კი ვერსად გავიქცევი.
 ამჯერად...
 მოვკვდი ამა და ამ დღეს
 აქ და აქ ამიტომ და ამიტომ...
 მე შევძელი შეყვარება, კიდევ ერთხელ.
 რ.დ.გ.
 ანუ რისი დამტკიცებაც გვინდოდა.

 მაპატიე, დედა...
 რომ არ ვამართლებ შენს მოლოდინებს...
 რომ ისევ ვათენებ თეთრად ღამეებს...
 რომ ისევ ვიღვიძებ წითელი თვალეებით...
 და რომ არასდროს ვამბობ სიმართლეს,
 როცა განიცდი...
 აღარ ვარ ძველი...
 არ ვუსმენ რჩევებს...
 და მაპატიე,
 იისფერ დღეებს შავთეთრად ვღებავ...
 და ხშირად გულში შეპარულ ღიმილს
 უნდობლად გიკლავ
 სულ ერთი სიტყვით...
 როგორც გენებოს...
 დე, მაპატიე...
 რომ აღარ ძალგდის, დამსაჯო ისევ...
 აღარ გამიშვა წვეულებაზე...
 არ მიწილადო ტკბილული...
 ხმა აღარ გამცე...
 დავაგვიანე ყველა ზეიმზე...
 დე, ახლაც როცა თვალეებს მისერავს შენი სინამდის...
 მსურს, გაგიტეხო ტკბილი ძილი
 და როცა მინდა, ქურდივით მოვპარო ღამეს
 შენი კანის სურნელი...
 კვლავ ვაგვიანებ...
 სიმწრისგან ვჭმუჭნი
 შენს გაუთოვებულ ზენრებს...
 სიმწრით ვასველებ გამზეურებულ ბალიშებს...
 დე, მაპატიე...
 რომ ნაოჭებმა ისე იბარტყეს
 შენს სახეზე,

როგორც წლების წინ ბებიას სახლში
 კამელიებმა...
 მე კი დაორთქლილ ფანჯრებს მიღმა
 შუალამისას კვლავ არა ვჩანვარ...
 მიყვარხარ, დედა...
 რა იშვიათად ვამბობ — განვიციდი...
 და როცა ვფიქრობ შენს არსებაზე,
 სისხლს მიდედებს საფეთქლებთან
 შენი არარსებობა...
 დე, მაპატიე...
 რომ შენი შვილი
 კვდება...
 ნელი და გარდაუვალი გარდაცვალებით...
 რადგან ეს სისხლი
 მიედინება
 ჩემი ყველა ლექსის ვენაში...
 რამდენს ვეყოფი...
 შენ არ იდარდო, დედა...
 ჩემი ყველა გზა შენს გულამდეა...
 არა აქვს აზრი,
 რომელ საათზე ვბრუნდები სახლში...
 ან სად ვბრუნდები...
 სანამ ვბრუნდები...
 ბოლო წვეთამდე
 ხომ შვილი მქვია...
 დე, მაპატიე...
 ცრემლები...
 შენი და ჩემი...
 და ორივესი ...
 გთხოვ, მაპატიე, რომ სხვის გამოც
 გატირებ ხოლმე...
 ასეა დედა...
 ჩემი ხარ, მაგრამ...
 ასე მგონია,
 მთელ მსოფლიოს დედად ეკუთვნი...
 უნდა შეიცვალოს რაღაც...
 უნდა შეიცვალოს ხალხი...
 დაე ყველა, ყველა ჩემ გარშემო...
 ოღონდ მე არა...
 მაპატიე, დედა...
 რომ არ ვამართლებ შენს მოლოდინებს...
 მაგრამ იმედებს...
 ღმერთმა ნუ ქნას, ზურგი ვაქციო...

 ჩემი სული უდაბნოა...
 რომელიც უნდა გავიარო...
 ის მომენტია,
 როცა ყველაზე უკეთ გესმის
 მათი, ვინც
 საკუთარი ნებით მოუსწრაფა
 სიცოცხლე თავს...
 გესმის და
 გშურს —
 მათი გამბედაობის...
 სიმამაცის...

მე ისევ იმ ქვაზე ვზივარ,
 სადაც ოდესღაც
 ერთმა ბიჭმა
 სიკეთესავით დამტოვა
 და ველი
 მის დაბრუნებას...
 გზაჯვარედინები შეერთდნენ
 და

ერთი გზა დამრჩა...
 პირდაპირ სავალი...
 წინსვლა ან უკან დაბრუნება...
 თითქოს ვილაცამ
 ხელები ამაფარა თვალეებზე...
 გულისარევამდე მატრიალა და გზაზე დამტოვა...
 თვალეებს ვისრეს...
 და ვერ ვხვდები, სვლა რომ განვაგრძო,
 უკან დავბრუნდები
 თუ წინ წავალ...
 ფეხი მერევა...
 გონება მერევა...
 და გული...
 გული მერევა
 ყველაფერზე,
 რაც ირგვლივ კი არ ტრიალებს,
 ზარივით დამეცა თავზე და
 გაბრუნებული დამტოვა ბედის ანაბარა...

ცა არასდროს გაიხსნება,
 რომ ხსნა იქ ვიპოვო...
 რადგან ცა — ჩემს თვალეებში ჩაგუბდა
 და
 შენი სხეულიდან აორთქლილ
 ტკივილებს ტირის...
 დაუსრულებლად...
 აქ აღარაა ოაზისი,
 რადგან ჩემი უდაბნო
 მირაჟულ ტროპიკებად იქცა...
 რამდენი რამის გაგება,
 ნახვა და გასინჯვა შეგიძლია...
 და არ დგამ ნაბიჯებს...
 აქ სულ ცხელა, ცხელა, ცხელა...
 მერე ერთხელაც ისე ინვიმებს,
 ჩამოიტანს ცას მიწაზე,
 როგორც ყველა ოცნებას
 ოდესღაც —
 საოცარი იუმორის გრძნობით
 დაჯილდოებული ღმერთი...

ყველაფერი სასრულია...
 სიცხეც, სიცივეც...
 ახლა მთავარია,
 რომელი რომლით დასრულდება...
 მე მოვალ წვიმად
 და ჩემსავე დაგვალულ მინას დავატენიანებ...
 მერე შენ გადანყვიტე —
 ეს ტალახია,
 თუ ხსნა...
 გადარჩენა გაუდაბურებისგან...

ჩემი სული უდაბნოა...
 რომელიც უნდა გავიარო...
 უნდა გადავლახო...
 ეს ოაზისები,
 თუ მირაჟები...
 ეკ მირაჟები...
 დროის კარგვა
 დასალამებლად განწირულ გზაზე...
 ვუბრუნდები ქვიშას...
 და ვგრძნობ,
 რომ არასდროს ყოფილა სიარული
 ასეთი მძიმე...
 მძიმე...
 მძიმე...
 წერტილი.



08:00 — სამუშაო შეხვედრა პარტნიორგანიზაციასთან.
 09:00 — საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამმართველოების თანამშრომლებთან შეხვედრა.
 09:20 — სექციის წევრთა შეხვედრა.
 10:15 — შეხვედრა დონორთა საკოორდინაციო საბჭოსთან.
 10:45 — სტატისტიკოსთან შეხვედრა სტატიაზე კონსულტაციისთვის.
 11:00 — ტრენინგ-პროგრამების სემინარზე დასწრება (სავალდებულო).
 12:00 — სოციალური ლანჩი.
 13:00 სააქტო დარბაზში თანამშრომლის გაცვლების ცერემონია.
 14:15 გასაუბრება დამწყებ თანამშრომელთან.

ემიმ ამოისუნთქა და მეორე დღის სამუშაო განრიგის გადახედვა გააგრძელა. ამ დროს ქმრისგან შეტყობინება მიიღო, რომ საცობში იყო გაჭყდილი და ბავშვების სკოლიდან წამოყვანას ვერ შეძლებდა.

— კრის, რა ხდება? — დაურეკა ქმარს.
 — მოძრაობა გაჩერებულია. როგორც ჩანს, დიდი ავარიაა, ნახევარ საათზე მეტია, ერთ ადგილას ვდგავარ.

— კარგი იქნებოდა, ადრე მცოდნოდა, ანგარიში მაქვს დასამთავრებელი, დღის ბოლომდე უნდა მოვასწრო, ყოველი წუთი ძვირფასია!

— ვწუხვარ, ემი, მაგრამ რა ვიცოდი, „განტვირთვის“ ასეთი საშუალება თუ მომეცემოდა, — გაიცინა კრისმა, თუმცა ხმაზე შეეტყო, რომ ხუმრობის ხასიათზე არ იყო...

ემიმ მანქანა დაწყებითი სკოლის ავტოსადგომზე გააჩერა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა შენობაში. გახანგრძლივებული პროგრამის ჯგუფში რამდენიმე ბავშვიდა დარჩენილიყო. დილანი ხატავდა, ეველინი კითხულობდა. შენუხებულმა ემიმ მასწავლებელს მოუბოდიშა.

— ამ კვირას უკვე მესამედ დაგაგვიანდათ, — უთხრა ეველინმა, როცა საკლასო ოთახიდან გამოვიდნენ, — შენ და მამას დროის უკეთესი მენეჯმენტი გჭირდებათ.

— მეორედ, — შეუსწორა ემიმ სიცილით და ბავშვები მანქანაში ჩასხა, — შემდეგი კვირიდან ვეცდებით, გამოვსწორდეთ. ხვალ პარასკევია, პიცა და ფილმის ნახვის საღამო გვაქვს, — შეეცადა მოწყენილი ბავშვების გახალისებას ემი, — დილან, ხვალ შენი დღეა, შენ აგვიჩვენე ფილმს.

— წინაზე რომ შეარჩია, იმეღია, ისეთს არა, — ბუზღუნს დაიწყო ეველინმა და უცებ დაიყვირა, — დილან, რატომ წამართვი ნახატი?

— დილან, დაუბრუნე! — უთხრა ემიმ, — ეველინ, ჩვენ ხომ შევთანხმდით, ერთმანეთის არჩევანზე კომენტარს არ გავაკეთებდით, შემდეგ პარასკევს შენი რიგია და რომელი ფილმის ნახვაც გსურს, იმას აარჩევ.

კამათი ამით არ დასრულდებულა, ორივე ყვირილზე გადავიდა.

— თუ არ დანებდებით, იძულებულს გამხდით, სადილის შემდეგ ტკბილეული არ მოგცეთ!

— ცოტა ხნით გაჩუმდნენ.
 — დილანი ისევ აგრძელებს, ენას მიყოფს და მეტყვანება!

— არაფერიც, — დაიყვირა დილანმა, — ნახე, თვითონ როგორ იტყვანება!

— თავიდან იწყებთ? — მკაცრად უთხრა ემიმ, — იცოდეთ, ბოლო გაფრთხილებაა!

სახლში მისულ ემის უმცროსი შვილის, თედის, ძიძა წასასვლელად გამზადებული დახვდა. ემიმ მოუბოდიშა და დაგვიანების მიზეზი აუხსნა.

— დღის მეორე ნახევარში თედი უგუნებოდ მეჩვენა, სიცხე გავუზომე, არ ჰქონდა. საღამოს მაინც შეუმონშეთ, — დაუბრა ძიძამ წასვლისას.

ამასობაში კრისიც დაბრუნდა და სადილის მზადება დაიწყო. ემიმ ფარდა ჩამოაფარა და შუქი აანთო.

დადგა ტიპური ოჯახური საღამო ჩვეული მოვალეობებით: ბავშვების დახმარება საშინაო დავალებების მომზადებაში, გაშვებულება, ძილის წინ კითხვა. ბოლოს, როცა ყველაფერი მიწყნარდება ხოლმე და ერთმანეთთან მშვიდად დალაპარაკების საშუალება ეძლევათ, ხშირად მთელი დღის დაღლილებს ბავშვებთან ერთად სწყდებათ კისერი...

— დილა მშვიდობის, ეველინ, — ემიმ ფარდები გადასწია და მზის სხივები ოთახში შემოუშვა.

ეველინი თვალის გახელას არ ჩქარობდა.

— აირჩიე, რომელი ზედა გინდა ჩაიცვა: ვარდისფერი, წითელი თუ მწვანე!

— მე იასამინისფერი მინდა, გუშინ არივლს იასამინისფერი ეცვა, — სწრაფად გამოფხიზლდა ეველინი.

მაია ციციშვილი

ამიშების ღვეზელი



— იასამინისფერი დღევანდელ არჩევანში არ შედის, აქედან უნდა აირჩიო. ყოველთვის არივლს რატომ უნდა მიბაძო, შენ თვითონ ფერების მშვენიერი აღქმა გაქვს.

ეველინი ისევ გაბუტული იყო, სატირლად გამზადებული.

— მოდი, მაშინ შევთანხმდეთ, თუ დღეს შენ იასამინისფერს აირჩევ, მომავალი კვირიდან ერთი დღით ნაკლები არჩევანი გექნება, განიხილავ?

ეველინი დაფიქრდა და თავი დაუქნია.

— ნახეთ, დილანმა ისევ ზედმეტი აჭამა თევზებს, ერთი თევზი წყალშია ამოყირავებული! — დაიყვირა ეველინმა.

— დილან, ხომ იცი, რომ ზედმეტი არ შეიძლება, თევზებს თავიანთი კვების რაციონი აქვთ!

— შენ რომ იმდენი გაჭამონ, რომ ძლივს ინძროდენ, გაგიხარდება? — ნიშნის მოგებით შეეკითხა ეველინი.

— დაახ, ბევრ ნაყინს თუ მაჭმევენ, ძალიან გამიხარდება!

— მოამზადეთ სკოლის ნივთები! — უთხრა ემიმ ბავშვებს, თვითონ სააბაზანოში შევიდა, ონკანი მოუშვა და დიღხანს შეყოვნდა.

სააბაზანო მისი „თავშესაფარია“, სადაც ბავშვების გაუთავებელ კამათსა და ხმაურს ცოტა ხნით მინც შეუძლია გაერიდოს.

— თედის სიცხე გავუზომე, კარგად ჭამა, — უთხრა კრისმა სააბაზანოდან გამოსულ ემის.

— მე, ეველინმა და დილანმა შაბათის საუზმე გავამზადეთ! — გამოაცხადა კრისმა, — ემი, ნახე, რა გემრიელი ბლინები გავაკეთეთ!

ემიმ მაგიდას გადახედა.

— ყოჩაღ სამივეს! — მოუწონა ნახელავი.

ბავშვებს სიხარული დაეტყობო.

— დილან, რას შვრები, რამდენ შაქარს აყრი ბლინებს, ხომ იცი, ბევრი ტკბილი არ შეიძლება!

— მე დავინახე, დილანი დილას კანფეტებს იპარავდა, — ბოროტი ღიმილით თქვა ეველინმა.

დილანი სიბრაზისგან განითლდა.

— მე დავინახე, რომ ეველინი დედას ჩანთაში ხელებს ისევ აფათურებდა.

— ტყუის, — განითლდა ეველინი.

— არ გტყუი! — დაიყვირა დილანმა და ოთახიდან გაქცევა დააპირა.

— დილან, სად გარბიხარ? — დაუძახა

ემიმ, — ორივემ იმუშავეთ, გემრიელი საუზმე გაამზადეთ, ოღონდ ამ კარგ საქმეს უაზრო კამათს ნუ გადააყოლებთ. ჩვენ ხომ შევთანხმდით, დილით არც კანფეტების ჭამა არ შეიძლება და არც სხვის ჩანთაში ხელების ფათურა მოსაწონი საქციელი. იმედი მაქვს, შემდეგში ასე აღარ მოიქცე-

მაია ციციშვილი

ამიშების ღვეზელი

ემიმ, — ორივემ იმუშავეთ, გემრიელი საუზმე გაამზადეთ, ოღონდ ამ კარგ საქმეს უაზრო კამათს ნუ გადააყოლებთ. ჩვენ ხომ შევთანხმდით, დილით არც კანფეტების ჭამა არ შეიძლება და არც სხვის ჩანთაში ხელების ფათურა მოსაწონი საქციელი. იმედი მაქვს, შემდეგში ასე აღარ მოიქცე-

ვით. მოდი, ახლა გემრიელად ვისაუზმოთ!

ამ ლაპარაკში თედიმ დრო იხელთა და მაგიდის გადასაფარებელი მთელი ძალით თავისკენ გაქაჩა, ბლინებიანი თევზი იატაკზე აღმოჩნდა. კოკო მივარდა და სანამ გამოაცლიდნენ, მოასწრო რამდენიმეს გადასასვლა, ნასიამოვნები კმაყოფილები-სგან წკმუტუნებდა. ეველინმა ლოყებზე შემოირტყა ხელი, დილანმა დაიყვირა, მაგრამ უკვე ვეღარი იყო.

— თედი ყველაფერს აფუჭებს, რამდენი ვიმუშავეთ და ამან რა ქნა, — თვალეზზე ცრემლები მოადგა დილანს.

— თედის ბრალი არაა, — უთხრა კრისმა, — თედის ხელს შენც არ გესმოდა, რას აკეთებდი. ყურადღება რომ მიგვექცია, ეს არ მოხდებოდა. მოგვიწვეს ბლინების გარეშე საუზმოზე.

ბავშვებმა ცრემლები უხმოდ გადაყლაპეს და უხალისოდ შეუდგნენ შვრის ფანტელის ჭამას.

სამსახური, საოჯახო საქმე, დილანი ბენისბოლის ვარჯიშზე, ეველინი ბალახის ჰოკეის გაკვეთილზე, დილანის „თამაშის დღე“, მეგობართან მიყვანა, ეველინის დანტისტანტან შეხვედრა, თედის ექიმთან მიყვანა, მარკეტში პროდუქტებზე, სამსახური, საოჯახო საქმე, სამი დღე შაბათამდე, ორი, ერთი...

— კრის, კარგი აზრი მომივიდა, კვირას პარკში წასვლის ნაცვლად, მოდი, ამიშებთან წავიდეთ. წინა შაბათს ლინდა ყოფილა და ვაშლის ღვეზელი უყიდა, მითხრა, ასეთი გემრიელი ღვეზელი დიდი ხანია აღარ მიჭამიაო. ბავშვებსაც შევუცვლიდით გარემოს, შენ რას ფიქრობ?

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ამიშების ღვეზელი დიდი ხნის წინ მაქვს გასინჯული და დღემდე მახსოვს მისი გემო.

ამიშების ქალაქი პენსილვანიის შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვაშინგტონსა და ფილადელფიას შორის მდებარეობს. ამიშები პროტესტანტული სექტის, მენონიტების, ნევრები იყვნენ. 1600 წელს შვეიცარიელი იაკობ ამინი და მისი თანამოაზრეები რელიგიური უთანხმოების გამო მიენიჭეს ვაშინგტონს, დევნას თავი აარიდეს და ევროპიდან ამერიკაში გადასახლდნენ. დღესდღეობით აშშ-ის 22 შტატში დაახლოებით 250 ათასი ამიში ცხოვრობს. ამერიკაში ჩამოსულ ამიშებს გარშემო მცხოვრებლებმა „Dutch“ — ჰოლანდიელები შეარქვეს, თუმცა მათ ჰოლანდიელებთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი შვეიცარი-

ელი გერმანელები არიან, რომლებიც დღემდე ძველ გერმანულ დიალექტზე საუბრობენ. ამერიკელმა მეზობლებმა „Deutsche“ და „Dutch“ ერთმანეთში აურიეს. ასე გაჩნდა ეს ეთნოგრაფიული ნონსენსი. ამიშები უსიტყვოდ მისდევენ ძველ ალტემას, მიიჩნევენ, რომ სწრაფი განვითარებით თანამედროვე სამყარო ღვთის სიტყვის წინააღმდეგ მიდის. მათი არქაული, ცივილიზაციასთან განუზავებელი ყოფა პროგრესის ალტერნატივის დემონსტრირებაა, თუმცა ისინი არ ცდილობენ, სხვები დაარწმუნონ თავიანთი ცხოვრების წესის სისწორეში. მათი რელიგია არ ცნობს მისიონერობას.

ამიშების სოფელში ჩვეული სიმშვიდე დახვდათ. ეველინმა და დილანმა მანქანაში ხანგრძლივი ჯდომის შემდეგ თავისუფლება იგრძნეს და მინდორში მხიარული შეძახილებით დარბოდნენ, მინაზე გაგორებული კრისი ღიმილით შეჰყურებდა თედის, რომელიც დიდ კალიას გაკვირვებული ათვალევრებდა.

— ისეთი სიმშვიდეა, აქედან ნასვლა არ მოგიწდება, — თქვა ემიმ.

სინყნარეს მხოლოდ ბავშვების შეძახილები და მწერების ჭრიჭინი არღვევდა.

— ახლა გავსინჯავთ ამიშების ცნობილ ღვეზელს, — სადილის შემდეგ სადღესასწაულო ხმით გამოაცხადა ემიმ.

ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს. ცოტა ხანს ხმას არავინ იღებდა.

— რა გემრიელია! — მოწონების ნიშნად თავი გადააქნია ემიმ, — ეტყობა, რომ ნატურალური პროდუქტებისგან არის გაკეთებული.

ამიშები სასუქებში ქიმიური დანამატების გარეშე ახერხებენ კარგი მოსავლის მიღებას, ალბათ მათი ბრძნული და გამოცდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შედეგია, რომ მინა, რომელსაც რამდენიმე ასწლეულია ამუშავებენ, არ გამოიფიტა, — თქვა კრისმა, — დღეს ერთ-ერთ ამიშს გამოველაპარაკე. მითხრა, რომ მინათმოქმედება მათთვის რელიგიის ნაწილია, რაც მეტად მოიხრო ქედს მინის წინაშე, მით მეტს მოგვეცხრო. ამიშების 92% ფერმერია. შვილებს რვა წელზე მეტს არ ასწავლიან, ფიქრობენ, რომ მეტი ცოდნა არ სჭირდებათ.

— განათლების მთავარი მიზანია, გამოზარდოს თათბა, რომლისთვისაც ახალი აღმოჩენები, სიახლეა მნიშვნელოვანი და არა უკვე გაკეთებულის გამორება, რასაც ნაკლები ცოდნა სჭირდება, — თქვა ემიმ.

— რა გემრიელია! ყველა ვაშლის ღვეზელზე უკეთესია, — თითები გაილოკა ეველინმა, — შეიძლება კიდევ ერთი ნაჭერი?

— მეც, მეც, — დაიყვირა დილანმა.

ჩვეულებად ექცათ ამიშებთან ვაშლის ღვეზელის ყიდვა, რომელიც ოჯახის უსაყვარლესი ტკბილეული გახდა.

ერთ-ერთ მისვლაზე ამიშების სახლები დაათვალევრეს. ამიშები არცთუ ისე დიდი ხალხით უშვებენ თავიანთ სამყაროში უცხოებს, თუმცა მათი ცხოვრების სტილით დაინტერესებული მნახველების მიმართ კეთილგანწყობილი არიან. მათი სახლები, მიუხედავად ზედმეტი სისადავისა, იდეალური წესრიგისა და სისუფთავის გამო სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. სახლებს მეხმარეები არ აქვს, რადგან რელიგიური დოგმა კრძალავს, მეხი ღმერთის რისხვად ითვლებას. ზამთარში სახლს ღუმლით ათბობენ, კედლებზე ვერ ნახავთ ხატებს, სურათებს, ოჯახურ ფოტოებს, რადგან ძველი ალტემა უარყოფს ყველანაირ გამოსახულებას.

— ფოტოსურათების განთავსება ჩვენი სხეულის განდიდებას მიანიშნებს, ბიბლია კი საპირისპიროს გვასწავლის. მთავარი ადამიანი შინაგანი ბუნებაა, გარეგნობამ არ უნდა მოახდინოს გავლენა ადამიანის შეფასებასა და მისადმი დამოკიდებულებაზე, — აუხსნა ამიშმა ქალმა, რომელიც სახლებს ათვალევრებინებდა.

ამიშები გაემიჯნენ სახელმწიფოს და საკუთარი ავტონომია შექმნეს, არ ცნობენ არჩევნებსა და ძალაუფლების ორგანოებში არ მონაწილეობენ, არ მუშაობენ საჯარო სტრუქტურებში, არ სარგებლობენ სოციალური დახმარების პროგრამებით. ისინი გამოხატული პაციფისტები არიან. არათუ უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე, არამედ უარყოფენ ყველაფერს, რაც სამხედრო ძალასთან ოდნავ მაინც არის დაკავშირებული: არ ატარებენ ულვაშს, რადგან ულვაში მილიტარიზმთან ასოცირ-

დება, შარველებს პერანგზე რეზინით იმაგრებენ, იმიტომ, რომ ღლილები სამხედრო ფორმასთან არის გაიგივებული.

— ამიშების უნიკალურობა ცხოვრების დაკონსერვებულ წესშია, რომელიც სხვებისგან განსხვავდება. ჩაცმა-დახურვის სამსაუკუნოვან სტილს არ ცვლიან. მათთვის მხოლოდ მშვიდი და მუქი ფერებია ნებადართული. ქალები ტრადიციულად გრძელ, წინაფრიან სადა კაბებს და თავზე ნაქსოვ ჩაჩებს ატარებენ, კაცები — თეთრ პერანგებსა და შავ შარველებს, თავზე ცილინდრის ფორმის შლაპები ახურავენ. ცოლიანებს წვერი აქვთ მოშვეებული.

— რატომ აცვიათ ასე ერთფეროვნად? — დაინტერესდა ამიშების ჩაცმულობით ეველინი, — მე მიყვარს სხვადასხვა, მხიარული ფერი, დედა, შენ მოგწონს მათი ტანსაცმელი?

— ამიშებისთვის სისადავეა მნიშვნელოვანი, არქიტექტურაში, სახლის დეკორაციებში, ჩაცმის სტილში, ყველაფერში. მათი აზრით, ზედმეტი და მოდური ნივთები ადამიანებს გადაჭარბებულ სიამაყესა და ამპარტანობას სძენს, რაც სულს აზიანებს, — აუხსნა ემიმ.

— ბავშვებსაც ასეთი ტანსაცმელი მოსწონთ თუ მშობლები აიძულებენ ასე ჩაცმას? — იკითხა ეველინმა.

— ვფიქრობ, ბავშვებიც თავიდანვე მიჩვეული არიან მინიმალისტური პრინციპით ცხოვრებას, — აუხსნა ემიმ.

— თუ მშობლები ბავშვებს აძალებენ, როგორც თვითონ უნდათ, ყველაფერი ისე აკეთონ და არასდროს ეკითხებიან მათ აზრს, მაშინ ცუდები ყოფილან, — გაბრაზდა ეველინი.

— ეველინი, — უთხრა ემიმ, — შეიძლება, ჩვენ არ მოგვწონდეს ადამიანების განსხვავებული ცხოვრების წესი, არც მათი აზრები და ქცევები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ცუდები არიან.

ეველინმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს.

— რატომ არ უნდათ ტექნიკა, კომპიუტერები, ბავშვებს ხომ ბევრი რამის თამაში შეუძლიათ, მე ვთამაშობ, მაგრამ ხომ არ გავხდი ამაყი? — იკითხა დილანმა.

— ამიშები თვლიან, რომ თანამედროვე ტექნიკა ადამიანებს ერთმანეთისგან აშორებს, შიშობენ, რომ ერთმანეთისთვის ნაკლებად საჭირო გახდებიან, მათ კოლექტიური ცხოვრება ურჩევნიათ, — აუხსნა კრისმა.

— გავიგე, — ჩაილაპარაკა ჩაფიქრებული დილანმა.

კრისმა ემის გადახედა. ორივეს გაელიძა დილანის სერიოზულობაზე.

სალამოს, ბავშვების დაძინების შემდეგ, ამიშების ცხოვრების დეტალებით დაინტერესებული კრისი ემის ინტერნეტიდან ინფორმაციას უკითხავდა: ამიშები უმეტესად ცხენებით გადაადგილდებიან, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ავტობუსებით და ავტომანქანებითაც მგზავრობენ. რადგან ცხენი სატრანსპორტო საშუალებად ითვლება, მართვის მოწმობა საჭირო. ამიშებს ნებას რთავდნენ, მართვის მოწმობაში ფოტოები არ ჰქონოდათ, მაგრამ 2001 წლიდან პირის იდენტიფიცირების საერთო სტანდარტის დასაცავად, ფოტო სავალდებულო გახდა. ამიშებმა, რომლებიც ზოგადად კანონმორჩილები არიან და ცდილობენ, თავიდან აიცილონ სასამართლო განხილვები, ეს მოთხოვნა რელიგიური გრძობების შეურაცხყოფად მიიჩნიეს. ამიშთა სუბკულტურის მიგნითაც არიან ლიბერალები და კონსერვატორები. კონსერვატორმა ამიშებმა უმაღლეს სასამართლოში იჩილეს და გაიმარჯვეს. ასევე სადავო გახდა ცხენების საბარგულეზე მკვეთრი ფერის უსაფრთხოების ნიშნების დამატება. ამიშები საგზაო შემთხვევების მსხვერპლნიც გამხდარან, მათ შორის ყოფილან ბავშვებიც. ისინი გლოვობდნენ მსხვერპლს, მაგრამ პასუხი ერთი იყო: „ღმერთმა მოგვცა, ღმერთივე წაიღებს“.

კრისმა ემის გადახედა.

— ღმერთო ჩემო, — ჩაილაპარაკა ემი...

— ბავშვებო, მომეხმარეთ, დავასუფთაოთ ეზო და გრილზე ხორცი შევწვათ, დღეს ხომ იცით, ძია ჯემისი და დეიდა ჯინი ბიჭებთან ერთად სტუმრად მოდიან.

— რა კარგია! — გაიხარა დილანმა, — ეველთან და ალანთან ვითამაშებ!

— შეიძლება, მე შევწვა ხორცი სტუმრებისთვის? — იკითხა ეველინმა.

— არა, მე, მე უკეთ ვიცი, როგორ იწვება! — დაიყვირა დილანმა.

— ხორცს და ბოსტნეულს ერთად შევწვავთ, წინა კვირას ერთად რომ გავაკეთეთ, ძალიან გემრიელი იყო, — უთხრა კრისმა ბავშვებს.

— ეველინი, დილან, — დაუძახა ემიმ, — მომეხმარეთ, გამხმარი ფოთლები აქ, ამ ადგილას, მოვაქუჩოთ.

ბავშვები ემის დასახმარებლად გაიქცნენ.

— ჩვენ ვაგროვებთ და ქარი რომ დაუბერავს, ფოთლები ისე ტრიალებენ, თითქოს ქარში ცეკვავენ, — გაეცინა ეველინს.



— ნახეთ, რამდენი ფერია, რა ლამაზია ერთად! — აღტაცებას ვერ მალავდა ემი, — შემოდგომა მიილია და თითქოს ფერთა ბოლო ჩვენებას აწყობს, ცდილობს, დაგვანახოს, რომ ამქვეყნად მუდმივი არაფერია და ჯობს ლამაზად წასვლა.

რამდენიმე საათში ეზოს კვამლისა და შემწვარი ხორცის მადის აღმძვრელი სუნი მოედო. ყველას მოეწონა გრილზე შემწვარი ხორცი და ბოსტნეული.

— ეტყობა, რომ კარგად იყო დამარინებული, — შეაქო ჯემისმა.

— ეს ჩვენი საერთო ნახელებაა, — თქვა კრისმა და ბავშვებს გადახედა.

— მე დახმარების გარეშეც შემიძლია ხორცის შეწვა, — თავი მოიწონა დილანმა.

— დესერტისთვის ამიშებთან ნაყიდი ვაშლის ღვეზელი გვაქვს, — თქვა ემიმ, — ბოლო ხანს ამიშების სოფელში ხშირად დავდივართ.

— ევენს და ალანსაც უყვართ იქ მისვლა, ფერმაში ცხენების ნახვა, — თქვა ჯინმა, — იქიდან როცა გამოდის, ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ძველი კინოს ფრაგმენტებს უყურებ.

— კი, დრო იქ თითქოს ნელა მიდის, — დაეთანხმა ემი, — სტრესიც ნაკლებად იგრძნობა.

— საშუალო ამერიკელის აქილევსის ქუსლი კრედიტით ცხოვრებაა: სწავლა, სახლი, მანქანა, ავეჯი, ყველაფერი კრედიტითაა. სამსახურის დაკარგვა გუშინდელ კეთილდღეობასთან დამშვიდობებას ნიშნავს, მატერიალურ და მორალურ კოლაფსს, რაც სტრესულს ხდის ცხოვრებას, ამიშებს კი ეს პრობლემა არ აქვთ, — შენიშნა ჯინმა.

— არც უმუშევრობის პრობლემა ანუხებთ, — დაეთანხმა კრისი, — მათი ეკონომიკური სტაბილურობის მთავარი ფაქტორი ოჯახური შრომაა. ოჯახში ზოგჯერ 10-12 მუშახელია, რაც იმის გარანტიაა, რომ შიმშილით არ დაიხოცებიან.

— ისინი დღემდე ახერხებენ, გაექცნენ ცივილიზაციას, ამავე დროს არ გაურბიან გარე სამყაროსთან კონტაქტს. მიკვირს, როგორ ინარჩუნებენ დისტანციას, მნახველებთან, ტურისტთან ყოველდღიური შეხება უკვალოდ ხომ არ ქრება, — შენიშნა ჯინმა.

— ნაკითხე, რომ დისტანცია ნელ-ნელა მცირდება, — თქვა კრისმა, — თანამე-

დროვე ყოფა თანდათან იჭრება მათ ცხოვრებაში, მთავარი მაცდუნებელი მაინც ბიზნესია. ამიშთა დასახლებებში ტურისტული სოფლები გაჩნდა სასადილოებით, პროდუქტებისა და სუვენირების მაღაზიებით. ზოგჯერ მათი ნაწარმი ქალაქის მაღაზიებშია, დღევანდელ დღეს რამდენიმე მილიონიან ქალაქებში ბიზნესს თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე ვერ აწარმოებ. ელექტრონული მონყობილობების საშუალებით კი ახალგაზრდა ამიშებისთვის სივრცე დიდ სამყაროში იხსნება.

— სადაც სიცოცხლეა, იქ ცვლილებებიცაა. წარსულისადმი უსიტყვო მორჩი-

ლებით, როცა სოციალურ სტრუქტურაში არსებული დოგმები არ გაძლევს საგნების ახლებურად აღქმის საშუალებას, დამოუკიდებელ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდები, სიცოცხლის ბოლომდე თემის ერთ-ერთ წევრად დარჩები, — თქვა ჯემისმა.

საუბარში შეუმჩნევლად მოსალამოვდა. მზემ თითქოს ნელ-ნელა უკან დაიხია, ბოლოს მთლიანად მიილია და ეზოში შემოდგომის გრილი საღამო შემოიპარა.

— ჩვენი წასვლის დროა, — თქვა ჯინმა, — გმადლობ ლამაზი საღამოსათვის! მეგობრებთან ერთად გატარებული შაბათ-კვირა შინაარსს სძენს ამ დღეებს და მთელი კვირის გადალას აბათილებს.

— უკეთესი ბალანსისთვის შაბათ-კვირას შორის ერთი ზედმეტი დღეც რომ იყოს, აჯობებდა, — გაეცინა ჯემისმა.

— ევენ, ალან, გაემზადეთ! მივდივართ, — გადასახა ბავშვებს ჯინმა.

— დატოვებთ რა ცოტა ხანს, — შეეხვეწა დილანმა.

ემიმ ამიშებთან ღვეზელი, კარაქი და თაფლი იყიდა. ბავშვები და კრისი გარეთ ელოდებოდნენ, შემდეგ თავიანთი მანქანისკენ გაემართნენ. ცოტა ხანში უკან დარჩა ამიშების სოფლის ტიპური სურათი: ჰაერზე მხიარულად მოთამაშე ბავშვები, მათ გარშემო მორბენალი ძაღლები, გასაშრობად გაფენილი თეთრული, რომელსაც ამინდის მიხედვით ხან მზე აჭრის და ხან ქარი აფრიალებს. ამიშები მორალურ იმპერატივებს არ ცვლიან, ადრე ოჯახდებიან, არ ცნობენ განქორწინებას, სწამთ, რომ საქორწინო აღთქმა ღმერთისთვის მიცემული პირობაა და არა მეორე ადამიანის წინაშე დადებული ფიცი. ქმრის უფროსი ღმერთია, ცოლის — ქმარი. ცხოვრობენ ბევრ შვილთან ერთად. მოხუცებზე მათივე შვილები და შვილიშვილები ზრუნავენ, მათ არ უჩნდებათ მარტოობის განცდა.

— ცხოვრობენ ერთად დიდხანს და ბედნიერად, როგორც ზღაპრებშია, არა? — გაეცინა ემიმ, — ერთი შეხედვით, სრული სულიერი სიმშვიდე სუფევს ამ უღრუბლო ოაზისში. აქ არ არსებობს დრამა, მაგრამ რამდენადაც ბედნიერი არ უნდა ჩანდეს მათი ცხოვრება შორიდან, სინამდვილეში მათ დაკარგული აქვთ მთავარი რამ ამქვეყნად, არჩევანი, როცა შენს ცხოვრებას დაბადებულ სიკვდილამდე განაგებს ტრადიცია.

— ტრადიციის ერთგულებას არავინ დაუკნინებია, — შენიშნა კრისმა, — მაგრამ სწორი ნათქვამია: „ტრადიცია ფერფლის თაყვანისცემა კი არ უნდა იყოს, არამედ ცეცხლის შენარჩუნება“.

მარკეტში ემიმ რამდენიმე სახის ტკბილეული ურიკაში ჩააწყო.

— მომენატრა მრავალფეროვნება, ბედნიერებაა ფართო არჩევანი! — თქვა სიცლით.

— არჩევანი და მისი უფლება, — გაეცინა კრისსაც, — ამიშების ვაშლის ღვეზელი აღარ გინდა?

— რატომაც არა, როცა მომენატრება.

— ბავშვებო, ემი გვთავაზობს, ეს კვირა ტკბილეულის კვირად გამოვაცხადოთ, დღეს შეგიძლიათ, თქვენი საყვარელი დესერტი შეარჩიოთ. მომავალი კვირიდან კი ისევ ნორმალურ ყოფას დავუბრუნდებით, ზომიერი ტკბილეულით, — შეუთანხმდა კრისი ბავშვებს.

ბავშვებმა ტაში შემოკრეს.

— მომენატრა ხაჭოს ნამცხვარი, — დაიყვირა ეველინმა.

— მე ბრაუნისები, — მხარი აუბა დილანმა.

გახარებულები გაიქცნენ და მალევე დაბრუნდნენ თავიანთი არჩეული ტკბილეულით ხელში.

— სანამ ავტომატთან მივალთ, მოგვცხმარეთ, დავითვალთ, რა ღირს ჩვენი პროდუქტები. დილან, ურიკაში ხილი შენ იანგარიშე, ეველინი ბოსტნეულს დაიანგარიშებს!

— მე ბოსტნეულის დათვლა მინდოდა, — გაიბუტა დილანმა.

— ბოსტნეულისა მე მითხრეს, — ნიშნის მოგებით უთხრა ეველინმა, — შენზე ორი წლით უფროსი ვარ და უფრო სწრაფად დავითვლი.

დილანი აღშოთდა.

— დილან, წყვირი, ანუხებ ხალხს, — მკაცრად უთხრა ემიმ.

პროდუქტებით დატვირთული ურიკა მანქანისკენ წაიღეს. კრისი ბავშვებს ჩასხდომაში დაეხმარა.

— შეიძლება, ჩაგვიროთ მუსიკა? მე „ქაუნთონ მის“ მოსმენა მინდა, — მოითხოვა ეველინმა.

— არა, — დაიყვირა დილანმა, — წინაზე ხომ მოვუსმინეთ, ახლა ჩემი ჯერია.

— ნუ ყვირით, — უთხრა კრისმა, — ჩავრთავთ მუსიკას, რომელიც თედისაც უყვარს, თედისაც აქვს თავისი არჩევანი, მერე რა, რომ ჯერ თვითონ ვერ ამბობს, ტაშს უკრავს, ცეკვას იწყებს თავის საყვარელ სიმღერაზე.

კამათი ისევ გამწვავდა.

— ეველინი, დილან, შეწყვიტეთ კამათი, მოუსმინეთ მუსიკას. ნავედიით!

კრისმა გზატკეცილზე გამავალ პირველივე გასასვლელში გაუხვია, თანდათან მოუმატა სიჩქარეს და სხვადასხვაფერად მოელვარე მანქანების კოლონას შეერია...

ანდერძი, როგორც ქართული ლექსის ერთი სახეობა, ყურადღებას იქცევს ქართულ პოეზიაში და ეს საკმაოდ ნაცად მხატვრულ საშუალებად გამოიყურება რუსთაველიდან დღემდე.

ანდერძი — „მოკვდავისაგან დარიგება“ (საბა) ანუ გარდაცვალებულის მიერ სიცოცხლეშივე ზეპირად ან წერილობით გამოთქმული სურვილი, დანაბარები — მიქმელების სიკვდილის შემდეგ შესასრულებელი... მკაცრად განსაზღვრულ ამ კლასიკურ განმარტებაში, ერთი შეხედვით, არაფერია პოეტური, მაგრამ იქვე, უპირველეს ყოვლისა, დამონმებულია ვაჟა-ფშაველას პოეტური ტექსტი:

ანდერძს გიტოვებთ: მგოსნობის
ვისაც გჭირთ გულის ფრიალი —
დიდიცა გქონდეთ გულშია
თავის სამშობლოს ტრფიალი.

აქ ცხადად ჩანს, რა შთამბეჭდავად მოერგო ანდერძის ფორმა პოეტის სათქმელს — თვითგამოხატვისათვის, „თავის სამშობლოს ტრფიალი“, — ესაა ის, რისთვისაც უცხოვრია, უღვანია, როგორც მგოსანს და ამასვე უბარებს ანდერძად მგოსნობით შეპყრობილებს...

დიდებულად ჩამოქნილი პოეტური ანდერძის კლასიკური ნიმუშია „ანდერძი ავთანდილისა როსტევეან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“. ავთანდილი, როგორც ღირსეული პიროვნება, სიცრუისა და ორპირობის მგომბელი, განსწავლული, ანდერძის ადრესატებს შეაგონებს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა...“ და ამ ლოგიკით ამართლებს თავის გაპარვას ძმადნაფიცთან. ამ ანდერძში, როგორც პოეტურ-გამომსახველობით ფორმაში, გენიალურად ჩანს „რენესანსული ადამიანთმცოდნეობა, რომელიც გულისხმობს ჰარმონიულ პიროვნებას, სრულყოფილ სულითაც და ხორციითაც“ (რევაზ სირაძე), რომელიც მწყობრად ჩამოაყალიბებს ყოველივეს ისე, რომ ყველაფერი გასაგებია ყოველ მისთვის სათაყვანებელი მეფისთვისაც და „უსწავლელნი კაცნიც“ შეაჯეროს. ითხოვს მეფისგან მისთვის შენდობას, არ ურჩევს მას „უსარგებლო ცრემლთა დენას“, სჯერა უფლის, განგების... ის, რომ „არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომ ყოველგვარ მოსახვეჭელს, მონაპოვარს სახელის მოხვეჭა სჯობს. აყალიბებს სიკვდილ-სიცოცხლის აზრს, არსს.

ავთანდილი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე დიდი, ყველაზე ღრმად მოაზროვნე პერსონაჟია. უმთავრესი სათქმელი პოეტისა და, ზოგადად, სრულყოფილი პიროვნებისა, მის ნათქვამში, კონკრეტულად — მის ანდერძში ჩამოყალიბდა.

„თუ სანუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხო-ბელმან“, — ასეთ შემთხვევაში უნდა ახსოვდეთ მეფეს და საზოგადოებას, რომ „სცდების და სცდების, სიკვდილისა ვინ არ მოელის წამისად“. ავთანდილის უშურველობაც, სიკვდილის შემთხვევაში, მისი ქონების განაწილება სახელმწიფოსა და ღარიბებზე, პიროვნული თვისების ის ნაწილია, რომელიც ქმნის სწორედ რენესანსულ ჰარმონიულ პიროვნებას... ანდერძი ავთანდილისა პოეტური ჰარმონიაა, პოეტური მწვერვალია „ვეფხისტყაოსნისა“...

ქართულ პოეზიაში მრავალია ლექსი, რომელთაც სათაურად აქვთ შერჩეული „ანდერძი“, თუმცა, ბევრ შემთხვევაში, დასათაურების გარეშე, შესაძლებელია, გამოიყონ ანდერძად დანაბარები. მეფე თეიმურაზის უადრესად ტრაგიკული ბიოგრაფიის გამოხატველ პოეზიას, გოდებით — „რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ...“ ანდერძის სახით კრავს გულისწყრომას, მიმართავს მუხანათი ნუთისოფლისადმი, რომ, სიკვდილის შემთხვევაში, მისგან მიწაც არ უნდა განსასვენებლად: „მოვკვდე, მიწაც აღარ მიწადა, ჩემზე მზეცი მოაწივნი“ — ეს ერთი და მეორე — შენდობის თხოვნა, რომელიც საზოგადოებას მიემართება და კეთილი ნებით უნდა აღუსრულონ გარდაცვლილ პოეტს, ტანჯულ ადამიანს:

მცირე რამ მქონდა, მიძღვნია,
არა ვარ ბრძენი ათენი,
ყველამ შენდობა მიბრძანეთ,
წყალობა მიყავთ ამდენი.

მოცემული ციტირებები მოტანილია თეიმურაზ პირველის ტექსტიდან „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, იგივე — „გაზაფხულშემოდგომიანი“ (გამოყოფილი ცალკე „სოფლის სამედურავიც“). კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებებში სოფლის, ამქვეყნიური ცხოვრების მდურვა და საყვედური მოცემული — ამ მხრივ ისინი ერთმანეთის მონათესავენი არიან“ (კორნელი კეკელიძე, „თეიმურაზ პირველი“. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1981, გამომცემლობა „მეცნიერება“).

საკმაოდ ტრაგიკული ბიოგრაფიის პოეტის, სიყვარულის პოეტის, ბესიკ გაბაშვილის საანდერძო სიტყვა, რომელიც გარდაცვლილს უნდა შეუსრულონ, ჩართულია „ტანო ტატანოში“ და, რა თქმა უნდა, მიემართება მიჯნურს:


მოდით, მიჯნურნო, შემობრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტყრეთ, დამფალთ სამარეს!

მისი სატრფიალო ლირიკის ერთგვარი რეზიუმეცაა, წინასწარმეტყველური, რომ მის თხოვნას, ანდერძს აღსრულება არ ეწერა. მან უცხო მხარეში დაიდო სამუდამო ბინა, ყველასგან შორს, მარტოობაში... კორნელი კეკელიძე ბესიკის ლექსიდან სამ ტაეპს იმონებს: „მკვდარი ბესიკი, მოდი, მნახე, ჩამიადგი სული / თუ გინდ მიწასაც მიმბარე მოყვრის ენითა. / მკვდარი მიჯნური დამიტყრეთ, დამფალთ სამარეს!“ და ადარებს მას რუსთაველს, რომ

მელმაც, მეცნიერის აზრით, ტონალობა მისცა მას სიყვარულის სიმღერაში:

დავუძღურდი,
მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი.
„რუსთაველის შემდეგ, ასე მძაფრად, ღრმად და შთაგონებულად არავის გამოუვლინებია სიყვარული, გრძნობა, როგორც ეს მოახერხა ბესიკმა“ (კორნელი კეკელიძე, „ბესიკ გაბაშვილი“, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1981, გამომცემლობა „მეცნიერება“).

ზოია ცხადაია ანდერძის სტილური მოდულიკაციები ქართულ ლექსში



თანამედროვე კვლევებმა აჩვენა (გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი კენჭოშვილი, მერაბ ნაჭყებია), რომ XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, რომელსაც კორნელი კეკელიძემ ეგრეთ წოდებული „ალორძინების ხანა“ უწოდა, ისეთ თემებსა და მოტივებს ამუშავებს, რომლებიც ევროპული ბაროკოს ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი, რომ ამ პერიოდის ქართველ ავტორთა თხზულებებში ამკარად არის წარმოდგენილი ბაროკოს მსოფლმხედველობა. ქართველი ავტორები ამუშავებენ ევროპული ბაროკოს ანალოგიურ თემებსა და მოტივებს: სამყაროს ცვალებადობა, სოფლის მდურვა, ცხოვრება — სიზმარია, სიკვდილის თემა (მერაბ ნაჭყებია, „პირველცოდვილი თემა ქართული ბაროკოს ლიტერატურაში“, მხატვრული ტექსტი ლიტერატურულ მიმდინარეობათა კონტექსტში, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა „საჩინო“, 2022).

ყველა თავისი ყოფითი სივრციდან, შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე ქმნის ანდერძის პოეტურ ტექსტს. ანდერძისთვის სახასიათო სრულყოფილებით გამოირჩეულია დავით გურამიშვილის კრებულის ერთ-ერთი თავი თხუთმეტეტროფიანი „ანდერძი დავით გურამიშვილისა“. აქ გამოკვეთილია პოეტის ტრაგიკული ცხოვრების უმთავრესი შტრიხები: „ცრუვმან სანუთრომ მარიდა პირი, არ აღმისრულა მან დანაპირი...“ „გამხადა მწირი...“ „საყვარლისგან მქნა განაწირი...“ „გული მიშავა, ვითა ნახშირი...“ „პირი დამიჭნო, ვითარცა ჩირი...“ და ახლა, როცა მოუახლოვდა „მწარე სიკვდილი, ცელ-გალესილი, ხრმალამონვდილი“ (შემზარავი მეტაფორული წარმოსახვით), ითხოვს შენდობას:

ვინ ხართ ღვთიანი და მადლიანი,
კოდ-სასწორ მართალ, სწორ-ადლიანი,
გთხოვ, შემობრალეთ, როს მკვდარი მნახით,
შენდობა მითხრათ, როცა დამმობხით.

აქ არის უაღრესად ქრისტიანული, ადამიანური მორალი მოკვდავისა, რომელმაც კარგად უწყის, რა სჭირდება ადამიანს გარდაცვალების შემდეგ: „არა ყმა, სახლ, ბაღ, ბოსტანი, თეთრი თუ ფარჩა“, რომელიც აქ რჩება, არამედ უბრალოდ შეკრული, წასაღებად მსუბუქი „სამი ფიცარი“, არც მოხატული, არც შეღებილი, „ფასს ნუ დაჰკარგავთ დაცხატავად, თეთრი გაუფრთხილდით დასაფანტავად...“ რომ ეს ყველაფერი ფუჭი და ამაოა... შეიძლება ითქვას,

ნატურალისტური სიზუსტით, პირდაპირ, შეულამაზებლად ხსნის პოეტი ამ „ფუჭი ამაოების“ მიზეზს: „მალ მოემულებს მას სილაზაზე, — მიწა ეყრება, ქვა, სილა მაზე...“ ახლა არჩევანი ანდერძის ადრესატებზეა, გაუგებენ თუ არა პოეტს, შეუსრულებენ თუ არა ანდერძს. ეს უკვე მათს სინდისზეა, მიცვალებული მაინც ვერაფერს გაიგებს:

თუ გინდათ კიდევ მაგინოთ თქვენა,
ვერ გავიგონებ, დამიდეგა სმენა,
აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქმენა,
მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა.

პოეტის, როგორც ქრისტიანი მოკვდავის, სურვილია, მის ცოდვილ სულს შეენიოს „მღვდლის წირვა-ლოცვა, საკმეველის კმევა, მშვირთა ჭმევა, შიშველთა ცმევა“:

სჯობს, არ ჩაიცვათ ტანთ ძაძა-ფლასი,
მიმიცეთ რამე მღვრედელთ წირვის ფასი...

აქ ძალზე საინტერესოა დავით გურამიშვილის მღვდლებისადმი მიმართვა ცალკე თავში „მღვდელთ ვედრება გურამიშვილისა“. პოეტი მიმართავს მღვდელს, რომ მას უფლისგან უსასყიდლოდ მიემადლა ღვთის მსახურების ნება, კურთხევა და მანაც უსასყიდლოდ უნდა გაუწიოს სხვებს სამსახური:

მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა
ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხ-სამკვდროსა!

როგორც მკვდარს უნდა სიკვდილის დროს პატრონი, ასევე უნდა პატრონობა და შენახვა ქვრივ-ობოლთ... პოეტის თხოვნა-ვედრება ღვთის მსახურისადმი, ერთგვარად, დამრიგებლურიცაა (კრიტიკულიც, გამომდინარე უთუოდ ცხოვრებისეული რეალობიდან):

ცოცხალი რომე პატარად ვლირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვდლო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი —
რაც მოგიტვალონ, მას მიითვლიდი.

„საფლავის ქვაზედ დასანერი“ (ეპიტაფია) ასრულებს ამ დიდებულ ანდერძს.

21 წლის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში წერს ლექსს „დაე, თუნდ მოვკვდე“, რომელშიც მთელი სიცხადით იკითხება ჯერ მხოლოდ იდეაში, პოეტის გულში არსებული საქვეყნო ინტერესები, რომელიც შემოქმედებით ცხოვრებად უნდა ქცეულიყო... რომ მისი სიკვდილის შემდეგ დარჩენილიყო ღირსებით განვლული ცხოვრების კვალი... რომ მის საფლავზე „დაყუდებულ“ პოეტისათვის უსაყვარლეს ქართველს მშვიდობა და მყუდროება ესურვებინა განსვენებულისათვის. ნახევარი საუკუნით ადრე დაწერილი ეს ანდერძი საოცარი სიზუსტით დაემთხვა დიდი მწერლისა და მამულიშვილის საფინალო სათქმელს, სულის ანდერძს (Духовное завещание — გიორგი ჩუბინაშვილი):

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩემი ხმითა:

იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა.
თქვას, შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

აკაკი წერეთლის პატრიოტულ შედეგში „განთიადი“ პოეტის სიკვდილის შემდეგ შესასრულებელი ანდერძი მიემართება ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან სამშობლოს, მის სიყვარულს, რომელიც შარავანდედს ჰფენდა მგოსნის, როგორც მოკვდავის, საველ გზას:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო.

დასაწყისში ვახსენეთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ანდერძისთვის დამონმებული ვაჟას ერთი ლექსი. გარდა ამისა, პოეტს აქვს ძალზე საინტერესო მეორე ლექსიც, „ანდერძი“, რომელშიც თავმოყრილია სურვილი მამათა, რომელთაც, ბევრი რამ საქვეყნო საქმე დარჩენიათ გასაკეთებელი, რადგან „დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერანი...“ ვაჟა მამათა სახელით ითხოვს შენდობასაც და იმასაც, რომ მკვდარსაც გააგებინონ საქართველოს მომავალი ბედისწერა.

ეგებ თქვენ დაიჯილავით
ბარათაშვილის მერანი!
მინდოდა, მკვდარსა გამეგო
ქართველთა ბედისწერანი,
რად უნდა დარჩეს ტიალად
ცრემლით მორწყული მღერანი?!
მინდოდა, ჩამოგვძახებდით
საფლავში ერთად ყველანი:
შვილთ აგისრულეთ ნანატრი,
ან განისვენეთ ტკბილად,
ჩვენაცა დავინერენით
ქართველ მამულიშვილთადა.

ამდენად, ვაჟამ ანდერძის ფორმა ლაკონურად და ემოციურად მოარგო თავის გულისთქმას.

ანდერძი სახეობა, ერთგვარად, გამომწვევით, განსწორების მოტივსაც მოიცავს. განსწორების მოტივი კი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მოტივად და იგი ევროპულ პოეზიაში ვალეტას უანრით არის წარმოდგენილი (ლათინური ვალე-დან — მშვიდობით).

ვალეტას ვარიაციების ყველაზე ხშირი სტილური მოდიფიკაციებია: გამომშვიდობება ადამიანთან, შეყვარებულთან, სიცოცხლესთან, გამომშვიდობება ადგილთან, ძირითადად — მშობლიურ მხარეებთან... როგორც თეორეტიკოსები აღნიშნავენ, ეს ვარიანტი ურთიერთგადანუხლია და ამიტომ მათი განსხვავება პირობითად მიიჩნევა. ამის საილუსტრაციო მაგალითებს შორის დასახელებულია იროდიონ ევლოპის „დამშვიდობება გადასახლებულისა“ (Б. П. Иванов, Стихотворения Валета: жанрологическое описание, Наукові праці Кам'янецького Подільського національного університету імені Івана Орієнка. Филологічні науки, „алсіома“, 2013). ამდენად, ჩვენთვის საინტერესოა ეს ლექსი, რომელიც შექმნილია როგორც განწინების უკანასკნელი სიტყვა სამშობლო-სადმი. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს სამშობლოში გამწარებული ყოფის გარდა არაფერი რჩება, მაინც სამუდამო ტკივილად მიჰყვება მასზე მოგონება, ფიქრი და ნაღველი:

არც აქა მქონდა სახლი და კარი,
საცა მივდივარ, არც იქ მექნება.
მაგრამ სამშობლო მე გაძევებულს
მომავლენდება, დამენატრება.

არც აქ მქონია ტკბილი სიცოცხლე,
საცა მივდივარ, არც იქ მექნება —
იქ დანაღვლებულს და დაფიქრებულს
მაინც სამშობლო მომავლენდება.

„მშვიდობით, ჩემო მორთული მონავ“, — მიმართავს თავის ძვირფას ქვეყანას და ამით მიანიშნებს, რომ მისი ქვეყანა მტრისგან დაბეჩავებული და უმოქმედოა, არ ჩანს დაბრუნების, ისევე შეხვედრის პერსპექტივა:

მომავლენდება იმისი ქვენა,
ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი
და მათთან ერთად, ვით სთქვა პოეტმა,
ძილშიც კი მწარე ამოძახილი...

პოეტი მიანიშნებს, რომ მის ბედს ბევრი მასავით ბედკრული ქართველი იზიარებს უდანაშაულოდ:

ხელს გამოძინვდის და მკითხავს, ძმაო,
მითხარ, როგოა სამშობლო... ხალხი?..

კახური დილაღეცის ფორმით ნათქვამი „როგოა“ განსაკუთრებულად ემოციურს, საგრძნობს ხდის ჩრდილოეთის ყინულის ველზე ორი დასჯილი ქართველის უმწეო დიალოგს, რადგან, პოეტის სიტყვით, მას სანუგეშო პასუხი არ აქვს... პასუხი მთელი ეს ტექსტია, ტრაგიკული, სასონარკვეთილის უპასუხო კითხვებით.

ანალოგიური შინაარსი და განცდით გამოირჩევა ერეკლე მეორის შვილიშვილის, პოეტისა და ღირსეული მამულიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსი „გამოსალმება“ (1834). იგი იყო 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი. ფარული ორგანიზაციის ათ მთავარ ხელმძღვანელს (ასე მოიხსენიებდნენ მათ) 1834 წელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს „ღირსების აყრითა“ და საქართველოდან გადასახლებით. ვახტანგ ორბელიანი გადასახლებულს კალუგაში, საიდანაც 1837 წელს დაბრუნდა. მის ორსტროფიან ლირიკულ ტექსტში სამშობლოსთან განშორების სევდა და ტკივილია:

მშვიდობით, ველნო, საყვარელნო,
ზურმუხტნო ველნო!
ბორცვნო, ჭალაკნო მშვენიერნო, ტურფა არენო,
მთანო ამაცნო, ახოვანნო, ცად მიბჯენილნო,
წყალნო აღმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო!
მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირთ ძეთ სამარეო,

იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!
გამომშვიდობება ადგილთან, მშობლიურ მხარესთან ემოციურად და ღრმადგააზრებული ფიქრებითაა გადმოცემული ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის ლექსში „ყვარლის მთებს“. ეს იყო სიყვარულის, სულიერი განუყრელობის, მარადიული ხსოვნისა და ერთგულების ფიცი, რომელსაც დებდა სამშობლოდან პეტროპოლსკს სასწავლებლად მიმავალი:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავინებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
...
მშვიდობით, ჩემო,

თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდან კვლავ მოგანვდენთ
ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

ვალეტას ვარიაციების ყველაზე ხშირი სტილური მოდიფიკაციად მიიჩნევა გამომშვიდობება შეყვარებულთა, ადამიანთან. ქართულ პოეზიაში ამის გამორჩეული ნიმუშია გალაკტიონის „უკანასკნელი მატარებელი“. ტრაგიკული ემოციები: სევდა, მწუხარება, ეპოქის სუსხი და სულთა განწინებულობა ისმის მატარებლის გულისგანმგმირავ თვედში. სამარადისო განშორების და უსასრულო ტანჯვის ხმა მთელი ტექსტი. 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწინააღმდეგებოდა გალაკტიონის მეუღლე ოლია (ოლდა) ოკუჯავა. იგი 1936 წელს დააპატიმრეს, მის ბინაში „აღმოჩენილი“ ტროცკისტული ფურცლებისათვის. ოლია ოკუჯავას რეაბილიტაციის დროს, დაკითხვისას ვინმე შაფიროვმა აღიარა, მაიორ ძიძიგურის დავალებით ტროცკისტული ფურ-

ცლები იატაკის ქვეშ მე ჩავანყვეო... (ოლია ოკუჯავას საგამოძიებო საქმე. შსს არქივი — N 9033). მას 10 წელი მიუსაჯეს. მისჯილი ვადის ამონაწერად გერმანიის შემოჭრის გამო იგი, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, დახვრიტეს ტყეში, ქალაქ ორიოლთან.

გალაკტიონისთვის ცხადი იყო, რომ ეს განშორება უკანასკნელი, სამუდამო განშორება იყო... მატარებელი კი 5 წუთში გადიოდა. ისტორიული 5 წუთი ლირიკისთვის, უკანასკნელი 5 წუთი ერთად ჰყოფნისა:

ჩემი სიცოცხლის გამმწარებელი
სულ მალე გავა მატარებელი.
მივმეზავრება იმედი ჩემი,
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება,
რა საჭიროა ეხლა გოდება?
მატარებლის წინ როს მიმიღია
ან თანავგრძნობა, ან შეცოდება?

მატარებელი თვლემს, როგორც ლავა.
მატარებელი ხუთ წუთში გავა.
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდეგ ვაკონებს. მახრობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!

ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი,
ყოველუთს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ხუთუ არეინ არს პოეტის მეტი?

23 წლის ასაკში წერს ლაღო ასათიანი ლექსს, „ანდერძ“, რომელიც, სამწუხაროდ, დროული აღმოჩნდა. ლაღო უკვე მძიმე სენით იყო დაავადებული, მაგრამ, მიუხედავად გარდაუვალი საბედისწერო განაჩენისა, რომელსაც ცხოვრება უმზადებდა, ყოფიერება მისთვის აბსურდამდე არ დასულა, არ გაუცხოებულა მისგან, მთელი არსით შეიგრძნობდა სიცოცხლით მონიჭებული ბედნიერების მცირედსაც... მაგრამ რეალობა თავისას ითხოვდა და ისიც თავის ძვირფას ადრესატს, რომელთანაც, ეს-ეს არის, სიყვარულით შექმნა ოჯახი და რომელიც მალე სამუდამოდ მარტო დარჩებოდა, მომავლის გზას დაულოცავს ანდერძის სახით:

...ნუ მოისურვებ სხვა ქვეყნის ამინდს,
ციყვარდეს მხოლოდ შენი მამული
და თუ ტირილის დაგიდგეს ჟამი,
მონახე ჩანგი და სალაშური!
იყავი მუდამ ასე წარმატებული,
არ შეარცხვინო შენი მანდილი,
გახსოვდეს მუდამ შენი ვაჟკაცი,
ბნელ უკუენთში გადავარდნილი...

ლექსის პირველი სტროფი მეთრეპი დასასრულს, როგორც უმთავრესი სათქმელი ადრე წასასვლელი ტრაგიკული ჭაბუკისა...

საინტერესოა დახვრეტილ „სამანელთა“ შორის ყველაზე ახალგაზრდა (20 წლისა) არჩილ კიტაშვილის ლექსი „ანდერძი“ (1941 წელი), რომელიც მოსალოდნელი სიტუაციის რეალისტური ხედვა უფროა, ალბათ, ვიდრე ავიწინათგრძნობა (ან — ორივე):

რომ მოვკვდე, მთებში დამმარხეთ,
მთებშია ჩემი სამარე,
მთებში, სად ლალი არწივი
სცემდეს ირაო-კამარებს.
სად არს ნისლები სამეფო,
შავფერ ჯანლების დულილი,
სად მარად სიდიადეა,
ელვა, ზათქი და ქუხილი,
სად უცნობია ამ სოფლის
ყოველი ზრუნვა, ნუხილი...

მისი საფლავი უცნობია. როგორც ყველა დახვრეტილი, ისიც სადღაც გაურკვეველ, ქვადორღიან ქართულ მინაში განისვენებს.

სიცოცხლესთან გამომშვიდობებას ორიგინალურად გამოხატავს პოეტისა და მთარგმნელის რეზო თაბუკაშვილის „ანდერძი“. უკვე კარს მომდგარ აღსასრულის ჟამს მხნეობას ინარჩუნებს, რადგან სიკვდილიც ყოფილა თურმე ერთგვარი ხიბლი. ასე მიაჩნია მას, სიკვდილის პირისპირ დარჩენილ ადამიანს. აქვს ამის არგუმენტები:

მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შევერთვები ზღვას უნაპიროს!
ქარს იმქვეყნიურს დავახვედრებ მღვს ნინაპრას,
დიდებულობა, გარდღვიქვევი უცებ ნინაპრად!
და მაინც... რეალობა ის არის, რომ ეს გამგზავრება
ნამების გზაა, სიკვდილ-სიცოცხლის გაყრის ჟამია. უპირველესი მისი თხოვნა, ანდერძი ისაა, რომ სიკვდილი არ ახსენონ, რადგან მისთვის სანუგეშო და მშვენიერი სიტყვა გამოუგონიათ ჩვენს ნინაპრებს — გარდაცვალება:
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა ნამებას.
სიკვდილი მაინც არ დაარქვიათ გარდაცვალებას.
...და ირაკლი აბაშიძის უსათაურო ლექსი „შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს“. „შენ დაგიტოვებ“, — ამ მიმართვის ადრესატი ირაკლი აბაშიძისთვის უნდა იყოს ის, ვინც (რაც) იყო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი ლირიკის ინსპირატორი, სულისჩამდგმელი ანუ ხალხი და ქვეყანა, შთამომავლობა...

შენ დაგიტოვებ ყველაზე ლამაზს,
ყველაზე ძვირფასს,
რაც გამაჩნია —

ჩემს განძს:
ჩემს ათას უძილო ლამეს,
წყეულმა იჭვმა რომ დამაჩნია.

ამ „განძის“ ჩამონათვალშია პოეტის „რიხით და სიტყვით, ლხინით და ღვინით“ ნათქვამი სიტყვები, „დაღლილი ღიმილი“ თუ სხვა — „გულში ჩამწყდარი“ და გამოუთქმელი... „უხმარი“ ანუ შეუკავებელი ცრემლები, უთქმელი სიზმრები, ლხენაც და წყენაც, რაც ვერ ითქვა, რაც ითქვა... ყველაფრის შემფასებელი უნდა იყოს დრო და შთამომავლობა („სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას და სხვა-ას არავის“, — ესეც ირაკლი აბაშიძეა, სხვა ტექსტიდან):

დაადე კლიტე
და სკიპრის ძროში
ჩასჭედე, ჩადე ჩუმად და ფრთხილად
და სთხოვე, გახსნან იმ დიად დროში —
შთამომავლობის იმ სასტიკ დილას...

გივი გეგეჭკორის ანდერძის შემცველი ლექსი „მე იმ ქალაქში“ დაწერილია 1972 წელს. 70-იანი წლები განსაკუთრებული იყო პოეტისთვის სიუხვით, თემატიკისა და მხატვრული გამოსახვის საშუალებებით (სცემს სამ კრებულს — 1970, 1974, 1977); „მეორე მდინარე“ (1974) ამ სახელწოდების კრებულში შემავალი ლექსის სათაურია და მეტაფორულად გამოხატავს პოეტის სულიერ მდგომარეობას. პირველი მდინარე მტკვარია, „აქ ყველა ქუჩა მტკვართან თავდება“, „ქვეყნად გაქრება მხოლოდ მეორე მდინარე — შმაგი და უჩინარი“. ეს თავანყვეტილი მდინარე ლირიკული გმირის სულიერ სამყაროში მდინარეებს: წარსულიდან მომავლისკენ, მომავლიდან — წარსულისკენ, შმაგად, უჩინრად, უეცრად, ქაოსურად. ამ ლექსში იგრძნობა არარაობის, უეცარად წასვლის, ბნელში გაქრობის ადამიანური შიშიც და ასევე — სულიერი ამაღლებისკენ სწრაფვაც, სანუთროს თვალში ჩახედვა და ფიქრი იმაზე, „როცა გაქარწყლდება მშვენიერი მითოლოგია — შენს მიერ შექმნილი და ხორცშესხმული“, „როცა შენი გასაღები არაფერს მოესადაგება და არ იქნები, აღარ იქნები ბედნიერების ნამცვეცების შემგროვებელი“ („სიმღერა“, „დარღვეული რიტმი“, „შოპენი, კონცერტი, მინორი“)... ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად მძაფრად განცდილი და დრამატულია პოეტის სათქმელი ანდერძად ნათქვამი ლექსში, ეს ანდერძიცაა და ავტობიოგრაფიკული — ბიოგრაფიული დეტალებით, პიროვნული ნიშნებით, სადაც სრულყოფით ჩანს შემოქმედის ადამიანური ნატურა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა გივი გეგეჭკორის შემოქმედებაში. მიმართვის ადრესატი, სათქმელის შესაბამისად, არის ის, ვინც სათუთად უვლიდა იმას, „უმწეო ხელი რასაც ზღაჯნიდა“. პოეტმა იცის, რომ ეს „ნაბლაჯნი“ ბევრისთვის („ბრმათათვის“) გაუგებარია... გაუგებარია ისიც, „თუ ეს ცხოვრება რაა მწერლისთვის...“ ამიტომაც შემოქმედის საზრუნავად მიიჩნევა იმას, რომ არ იყოს „გაუმადლარი ანდა მლიქნელი...“ „და შენი სულის ამღვრეულ ფშანში გადაარჩინე უბინო ბავშვი...“ „ამღვრეული ფშანი კი“ (მეტაფორულად) ცხოვრების ორომტრიალია თავისი ცდუნებებით.

ლექსის მეორე ნაწილი (თხრობის, სათქმელის ეტაპით), როგორც კონკრეტულად საანდერძო მონაკვეთი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ლექსის სემანტიკურ ველში უმთავრესია სიტყვა „გიტოვებ“, რომელიც თავს უყრის ლირიკული გმირისთვის ყველაზე ძვირფასს, ყველაზე მთავარს, ყოველივეს — არდავინებულს. ამ სიტყვაში სიყვარულთან ერთად განშორების სევდაც დევს — შეუმჩნეველი, ღირსებით დამალული — საგანგებოდ, ნიჭიერი პოეტისა და მეტად მოკრძალებული, პატივისცემით მოსაგონარი ადამიანისა... ვინც უმცროსებსაც კი თავდახრილი, გაღიმებული ესალმებოდა ჩუმად... თბილად:

გიტოვებ ქალას,
მე ის მიყვარდა
და იყო ჩემი მესაიდუმლე,
გაშუქებული დგას ნაროცალა,
მატარებლებით კივის დიდუბე...
მე რომ უთქმელი სევდით მიყურებს —
გიტოვებ მთვარეს და ამის გარდა
ძველი აივნის დამსკდარ რიკულებს
და დარეჯანის სასაპირის ჩარდახს.
გიტოვებ კიდევ მტკვარსა და მტეხს,
წყალზე დახრილი სახლების ტივტივს,
მე არაფერი არა მაქვს მეტი,
ეგ არის ჩემი ძვირფასი ნივთი...
რადგან ოდესმე მე ამ ქალაქში
კვლავ დავბრუნდები, როგორც დერვიში,
უნდა დავეტოვო სიტყვა ხალასი
და არა ოქრო, ანდა სერვიზი.
მე არას ვაქნევ უძრავს და მოძრავს
და გავრეულვარ სანამ ლანდებში,
გიტოვებ ჩემი სამშობლოს ლოცვას...
ეგ არის-მეთქი, ჩემი ანდერძი.

(1972 წელი)

გივი გეგეჭკორი ყველა მოანდერძეთაგან განსხვავებულია რწმენით, რომ ის ოდესმე თავის ქალაქში კვლავ დაბრუნდება, როგორც დერვიში... შეიძლება ითქვას, მისმა პოეზიამ კიდევ უფრო მეტად დაიპყრო მკითხველის გული, რაც აღარ არის, რაც წავიდა... ყოველი გახსენება და გულში გამოტარება პოეტის ლირიკისა, დაბრუნებაა საყვარელ ქალაქში.



ალექსანდრე ნარსია

ბრონეულაბი

უდანაშაულო იყო, მაგრამ არ ჰყავდა პატრონი, ამიტომ დამნაშავეებმა მას გადმოაბრალეს...

მოსამართლემ შეხედა ცალი თვალით ბრმას, კოჭლს, უპატრონოს და განაჩენიც გამოუტანა — საგიჟეთი... საგიჟეთში კი მიხვდნენ, რომ ის სულაც არ იყო გიჟი, მაგრამ შემდეგ იმასაც მიხვდნენ, რომ ჭკვიანის გაგიჟება უფრო დიდი საქმეა, ვიდრე გიჟის დაჭკვიანება...

გააგიჟეს. ერთ-ერთმა ექიმმა, შესაძლოა, ამ ექსპერიმენტულ თემაზე დისერტაციაც კი დაიცვა, ვინ იცის...

დაბრუნდა სოფელში — თვალეზრაცვენილი, გაყვითლებული და წელში მოხრილი...

ედებოდა ღობე-ყორეს. ხილი შეაყვარეს ფსიქიატრიულში — აძვრებოდა ხეზე, კრეფდა ვაშლებს, ინყობდა ჯიბეში და არაფრის აძლევდა სხვას, თითქმის არ საუბრობდა...

გიჟია, თქვა ერთმა... გიჟია, გაიმეორა სოფელმა... — ბავშვებს არ დაუშავოს რამე... — მაგას თურმე უბეში ბომბები უნყვია... — საშიშია, საშიში ძალიან... — ნეტა გადაიკარგებოდეს სადმე...

სოფლის თავში ჩოჩქოლი და ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა, დაეჭირათ და პირქვე დამხობილისთვის ცდილობდნენ, უბე შეესნათ...

— მოგვეცი ბომბები... — გინდა, აგვაფეთქო ხომ?! — რას მალავ იქ? გადმოაბრუნეთ, ბიჭებო, გადმოაბრუნეთ!...

ჯვალოს მოსაცმელი მაგრად შემოეხვია, მკერდზე შემოეჭირა ორივე ხელი და ვერაფრით ახერხებდნენ მის პირალმა შემობრუნებას...

ტოკავდა, ბორგავდა და ქვასავით ჩაჰკვროდა მიწას...

ასე უძლებდა დიდხანს, შემდეგ კი შეწყვიტა ღრიალი...

დადუმდა ყველა... — ვაითუ მოკვდა, — აღმოხდა ვიღაცას...

მიუახლოვდა სოფლის თავკაცი გარინდულს. შეშინდა, გრძელი ჯოხი მიაბჯინა შორიდან მხარზე და გადმოაბრუნა...

გაგულულიყო... ცალი თვალი დარჩენოდა ღია, მკერდიდან წითელი სითხე უფონავდა...

გაუკვირდა ყველას, ის ხომ არავის დაუჭრია...

შეუხსნეს ჯვალოს მოსაცმელი და... უბიდან, მძიმე ბომბების ნაცვლად, ძირს გადმოცვივდნენ ბრონეულები...

შეცბნენ... თავჩაქინდრული იდგა ბრბო... და გიჟს კი არა, მათ ელაგათ მკერდში ბომბები...

ამის შემდეგ აღარავის უკვირდა, რომ იმ სოფელში არ ყვაოდნენ ბრონეულები...

კალენდარი

ხუთი წლის უნახავი შვილი ჩამოუვიდა...

ომბალოს, რძისა და კვამლის სუნით გაულენთილი წინსაფარი მოიხსნა და ჭიკრისაკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯებით...

გულში ჩაიკრა... სიხარულის ცრემლები ნაოჭებში მოკალათდნენ...

— დე, სახეზე ამდენი ნაოჭები საიდან, დე?! — არაფერია, შვილო, ეს უშენოდ გატარებული წლების კალენდარია...

თოჯინების ექიმი

— თქვენი, რატომ ტირი? — დღეს ჩემი საყვალელი ბაბის და-



ბადების დღეა (ხელში გატეხილი თოჯინა უჭირავს) და ის საბამ დაამტვლია...

— საბა ცუდი ბიჭია? — საბა ჩემი ძმია...

— თეკლა, ვინ გინდა, გამოხვიდე, როცა დიდი გაიზრდები?..

(ცრემლს ინმენდს პატარა, ბალიშივით რბილი თითებით და მპასუხობს)...

— თოჯინების ექიმი...

გიჟი ნოე

— რომორ ხარ, ნოე? — ვოლიერში დამწყვედელი მგელივით.

— მთელი სოფელი იძახის, რომ ნოე გიჟიაო, როგორ ეგუები?! — ცხოველები მიყვარს და იმიტომ.

სამი მგელი, ორი დათვი და არწივი მოვიშინაურე... შველიც მყავდა, ზალიკაანთ ოთარამ მომიკლა. ოხ, მე მაგის... — იქნებ სოფელს ერჩიან შენი მეგობარი დათვები?

— არა, ისე გავზარდე, არავის ერჩიან... — ასე რამ შეგაყვარა ცხოველები?

— მათ ადამიანზე ძლიერი შუბლის ძარღვი აქვთ, არასოდეს უწყდებათ... არ იტყუებინან... — ნოე, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეს და გაცოცხლება შეგეძლოს მკვდრისა, ვის გააცოცხლებდი?

— სინდისს გავაცოცხლებდი, სინდისს... ხალხში მკვდარსა და გათვლილ სინდისს...

გამომგონებელი

— რა ბძვინა? — თედო. — თედო, რამდენი წლის ხარ? — რვის. — სკოლაში მარტო დადიხარ? — ბალშიც მარტო დავდიოდი. — გიყვარს სწავლა? — კი, სულ ცხრები და ათები მყავს...

— ვინ გინდა, გამოხვიდე, როცა დიდი გაიზრდები?

— გამომგონებელი.

— რა საინტერესოა, რა უნდა გამოიგონო?

— ტელეფონი.

— თედო, ეს ხომ უკვე გამოიგონეს?! ყველას გვაქვს.

— არა, მე სხვანაირი უნდა გამოიგონო.

— რანაირი?

— ცაში რომ დარეკოს, ღმერთთან!.. — საინტერესოა... და რატომ ღმერთთან?

— ბებო მითხრა, რომ ჩემი დედიკო მასთან არის... მინდა, დაველაპარაკო დედას...

ავტობუსში

— დეე, შეხედე, გოგი პაპას არა ჰგავს? ზუსტად იგივე წვერები აქვს.

— შეხედე, რა საცოდავია.

— გაინიე იქით, როგორ აგვაყროლე. — ღმერთო, უშველე ამ უბედურს.

— ნუ უდგები, გოგო, გვერდით, დღე და ღამე ნაგავში იქექება, რა იცი, რას გადმოგდებს.

— ღმერთო, რამდენი მანანწალაა ამ ქალაქში.

— თუუჰ...

მასაც ხომ ჰყვარებია, იქნებ ჩვენზე მეტადაც კი.

იქნებ დღემდე ათბობს მისი თმების სუნი, ბაგეების სითბო და ტკბილი მოგონება დააქვს გულისჯიბით.

იქნებ იმ გოგოს ნინა ერქვა.

„ნინა... ნინა...“

რამდენჯერ გამთბარა ამ სახელის ჩურჩულით, როცა მინდვრის ყვავილებით რთავდა ყოველ კვირას მის ნაწნავებს.

იქნებ ლურჯი მონატრება ჯერაც არ გახუხუხებულა...

რა ლამაზია მზის ამოსვლა, მაგრამ ჩვენს გულებში თუ ბნელა?!

წერტილი

ოთახში, ხის სანოლზე, გულადმა წევს და ფიქრობს.

შვილმკვდარი მამაა, სევდა შემოსწოლია.

ბოლო სიტყვები ჩაესმის: „არ მიმატოვო, მამი, მეშინია“.

შემდეგ, ხელებში, სიცივე და სიმძიმე. წვიმს...

ისლის სახურავის შეთხელებულ ნაწილს წყალი შეეპარა, სადაცაა გაატანს.

გადის ხუთი წუთი.

პირველი წვეთი წყდება ჭერს და ცხელ შუბლზე ეცემა.

კაცი გამოერკვა, წამში მოფხიზლდა, შუბლი მოიწმინდა და წამოდგა.

სევდას წერტილი დაუსვა ღმერთმა...

სევდა

სოფლის გზაზე მიდიან ორნი. გზა სასაფლაოსკენ მიდის.

ერთს ხელებში იეზის კონა უჭირავს, მეორეს სანთლები და ბოთლით ღვინო.

ორივეს სტიკვა გულთან ახლოს... ერთს — მამა, მეორეს — ქმარი.

სასაფლაო ჩუშია, პეპლები დაფარფატებენ უდარდელად.

ქალი საფლავის ქვასთან ჩაიმუხლებს. სიჩუმეა...

პეპლების ფრთები და სევდა...

დე, არ წავიდეთ?!

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მინისტრის სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4